

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობების სპეციალობა

საერთაშორისო რეგიონული ინტეგრაციის უპირატესობები  
თურქული და ქართული კომპანიებისათვის

სადოქტორო ნაშრომი

ილიას ჩილოღლუ

ხელმძღვანელი: პროფესორი ირინა გოგორიშვილი

თბილისი

2009

შესავალი;

**თავი I. რეგიონული საბაჟო ურთიერთობების თეორიული ანალიზი;**

1.1. რეგიონული ინტეგრაციისა და ევროკავშირის განვითარების ეკონომიკური ტენდენციები.;

1.2. ევროპის საბაჟო კავშირის პოლიტიკა;

1.3. თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობების მიმოხილვა;

**თავი II. თურქეთის საბაჟო კანონმდებლობის შეფასება;**

2.1. თურქეთის მიერ ევროკავშირთან საბაჟო კავშირის ჩამოყალიბებისათვის გადადგმული ნაბიჯები;

2.2. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან;

**თავი III. საბაჟო კავშირის გავლენა თურქეთის სავაჭრო ურთიერთობებზე;**

3.1. საბაჟო კავშირში მონაწილეობის გავლენა თურქეთის საგარეო ვაჭრობაზე;

3.2. თურქეთის საგარეო ვაჭრობის რეგრესიული ანალიზი;

**თავი IV. თურქული კომპანიების დამოკიდებულება საბაჟო კავშირის მიმართ;**

4.1. ფაქტორული ანალიზი თურქული კომპანიებისათვის;

4.2. საიმედოობის ანალიზი;

**თავი V. ქართული კომპანიების დამოკიდებულება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობისადმი;**

5.1. ფაქტორული ანალიზი ქართული კომპანიებისათვის;

5.2. საიმედოობის ანალიზი;

დასკვნა;

დანართები.

**რრორ! ოკმარკ ნოტ დეფინედ.**

## შესავალი

*პრობლემის აქტუალობა:* მეოცე საუკუნის დასასრულს რეგიონული ინტეგრაციის საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხდება. ქვეყნები სულ უფრო და უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს და სხვადასხვა საშუალებებს იყენებენ ურთიერთობის გასამყარებლად. რეგიონული ვაჭრობის შეთანხმებები საშუალებას აძლევს განვითარებად ქვეყნებს განავითარონ სამრეწველო დარგები და ამ დარგების პროდუქციის ექსპორტის მოცულობის გაფართოებით საერთაშორისო ბაზარზე გავიდნენ. რეგიონული ინტეგრაციის მომხრეთა აზრით, პროტექციონისტური პოლიტიკა ზღუდავს ქვეყნების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს. დაბალი კონკურენციის გამო პროდუქციის ხარისხიც დაბალია, საწარმოების მფლობელები არ ცდილობენ ტექნოლოგიების გაუმჯობესებასა და ახალი ბაზრების მოძიებას, რაც მომხმარებელს აიძულებს შეიძინოს დაბალი ხარისხის პროდუქცია მაღალ ფასად. რეგიონული ინტეგრაცია კი ამცირებს ან ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ აუქმებს პროტექციონისტურ ბარიერებს და აძლევს მომხმარებლებს სხვადასხვა ფირმების მიერ წარმოებულ მაღალი ხარისხის პროდუქციას შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას. მეცნიერი ლიფსი<sup>1</sup> (ლიფსი მიჩნეულია საბაჟო გაერთიანებების თეორიის თანაავტორად) რეგიონული და საბაჟო გაერთიანებების წარმატებად ეკონომიკურ ლიტერატურასა და პრაქტიკაში სავაჭრო საბაჟო ნაკადების გაფართოებასა და დივერსიფიკაციას მიიჩნევს. განვითარებადი ქვეყნების მიერ ეკონომიკური განვითარების პროცესებში მიღწეული წარმატებები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რეგიონულ და საბაჟო გაერთიანებებში მათი მონაწილეობის ინტენსიურობაზე. ქვეყნები მსოფლიო ვაჭრობაში თავიანთი წილის გაფართოებას ცდილობენ და ამის მიღწევის ერთ-ერთი გზა კი რეგიონული ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებაა. განსაკუთრებით 1950-იანი წლებიდან ქვეყანათა ეკონომიკური განვითარებისათვის რეგიონული თანამშრომლობა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების გადამწყვეტ ფაქტორად იქცა. დღეს მსოფლიო ვაჭრობის ნახევარზე მეტი ამა თუ

---

<sup>1</sup> Lipsey, R.G. (1957), "The theory of customs unions: trade diversion and welfare", Journal of Economics 24, გვ. 40-46

იმ საბაჟო გაერთიანების ან ორგანიზაციის ფარგლებში მიმდინარეობს. მსოფლიოში უკვე 250-მდე ასეთი გაერთიანება არსებობს.

ევროკავშირი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონული ინტეგრაციაა რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს. ევროკავშირის მთავარი, მიზანი მის ფარგლებში მცხოვრები 400 მილიონამდე ადამიანისათვის კეთილდღეობის, სიმშვიდისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაა. შესაბამისად, საუკეთესო რეგიონული ინტეგრაციის ევროკავშირის ეკონომიკურ სივრცეში გაერთიანება თურქეთისთვის მთავარი მიზანია. ასევე დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოსთვის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ევროკავშირთან ურთიერთობა. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ინტეგრაციის წინააღმდეგობები მძიმე დასაძლევია, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მათ ეკონომიკური აგენტების ცნობიერება და მენტალიტეტი წარმოქმნის.

მრავალი წლის მანძილზე თურქეთი ევროკავშირში შესვლას ცდილობს. ამ დიდ გზაზე საბაჟო გაერთიანების შექმნა ქვეყნებისათვის ერთ ერთი აუცილებელი მოთხოვნაა. თურქეთმა მიზნად დაისახა ევროკავშირში სრული ინტეგრაცია. ეს საკითხი მუდმივი განხილვის თემაა მეცნიერთა, ბიზნესმენტა, პოლიტიკოსთა და უბრალო ადამიანთა წრეებში. აქამდე სადავო საკითხად რჩება, თუ კონკრეტულად რას მოუტანს ქვეყანას ამ ორგანიზაციის წევრობა. 1980-იან წლებში საბაჟო გაერთიანების შექმნის დასრულება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც ლიბერალიზაციის შემდეგ თურქეთის ეკონომიკაზე ახდენდა გავლენას.

თურქეთმა გაულო კარი ევროკავშირს, ამავდროულად ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა მიიღო. შეთანხმების ხელმოწერიდან 12 წლის შემდეგ გამოიკვეთა შეთანხმების როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. დღეს ევროკავშირი თურქეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საბაჟო პარტნიორია - თურქული ექსპორტის თითქმის ნახევარი ევროკავშირზე მოდის. წარმოდგენილი ნაშრომი მოიცავს ორ კვლევას რეგიონული ინტეგრაციის საკითხზე, რომელთაგანაც ერთი იკვლევს ქართული კომპანიების დამოკიდებულებას შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია და რეგიონის სამრეწველო განვითარებას, ხოლო მეორე ანალიზებს

თურქული კომპანიების დამოკიდებულებას ევროკავშირის საბაჟო გაერთიანების მიმართ და მისი გავლენის ასახვას სავაჭრო ურთიერთობებზე.

**კვლევის მიზანი და ამოცანები:** ნაშრომში დავისახეთ შემდეგი მიზნები:

1. თურქეთის ევროკავშირის საბაჟო ხელშეკრულებაში მონაწილეობის უპირატესობების დახასიათება;
2. რეგიონული ინტეგრაციის გავლენის ანალიზი საბაჟო შეთანხმებაში მონაწილე ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობაზე თურქული კომპანიების მაგალითზე;
3. საბაჟო შეთანხმებაში მონაწილე ეკონომიკური სუბიექტებისათვის რეკომენდაციებისა და რჩევების შემუშავება;
4. ეკონომიკური სუბიექტებისათვის რეგიონული ინტეგრაციის საბაჟო შეთანხმებაში მონაწილეობის მომგებიანი შედეგების გამოვლენა.

მოცემული მიზნების მიღწევისათვის დასახულია შემდეგი ამოცანები:

- 1) ქვეყნისათვის რეგიონული ინტეგრაციის შედეგების შესწავლა თურქეთის მაგალითზე და ამ მიზნით მისი საგარეო ვაჭრობის ანალიზი ევროკავშირის საბაჟო კავშირში გაერთიანებამდე და გაერთიანების შემდეგ;
- 2) კერძო კომპანიების მიერ რეგიონული ინტეგრაციის შესახებ შეფასებების წარმოჩენა და საბაჟო კავშირის შეთანხმების გავლენის ანალიზი მათ საქმიანობაზე; ამ მიზნით თურქულ და ქართულ ეკონომიკურ სივრცეში ჩატარებული ემპირიული კვლევის შედეგების წარმოჩენა;
- 3) რეგიონულ გაერთიანებაში მონაწილე ქვეყნების, მათი მთავრობებისა და კომპანიებისათვის საბაჟო შეთანხმებების სარგებლიანობის დამადასტურებელი მასალების გაანალიზება.
- 4) დასაბუთებული რჩევებისა და რეკომენდაციების შემუშავება მთავრობების, კერძო კომპანიების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზოგადოებისათვის მათი საბაჟო კავშირის შეთანხმებაში ეტაპობრივი ინტეგრაციისა და წარმატებული საქმიანობისთვის. აგრეთვე შევეცადეთ გვეჩვენებინა კერძო კომპანიების დამოკიდებულება.
5. ქართული კომპანიების დამოკიდებულების დახასიათება და ანალიზი რეგიონულ ინტეგრაციაში მონაწილეობისა და კერძოდ შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მიმართ.

**კვლევის მეთოდოლოგია და კვლევის შედეგად მიღებული სიახლეები:** დასახული მიზნებისა და ამ მიზნებიდან გამომდინარე შედარებითი კვლევის საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა შედეგები, რომლებიც აქამდე არ იყო გამოკვლეული. სავაჭრო კავშირისა და მისი შედეგების შესასწავლად თურქეთში ჩატარებული კვლევების გაანალიზების საფუძველზე, უახლესი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით განვახორციელეთ ამ შედეგების სხვადასხვა გზებით მიღების მცდელობა. კვლევის მონაცემები გაანალიზებულია სტატისტიკური პროგრამით (SPSS). ფაქტორ ანალიზის ვარიმაქს-როტაციის მეთოდი (Varimax Rotation- რომელიც გვეხმარება შეკითხვების ფაქტორთან დავაკავშირებაში, T-ტესტის, ANOVA ტესტის, უოლერ-დუნკანის (Waller-Duncan) ტესტის, მან-უიტნის (Mann-Whitney) ტესტის და ქრონბახის ალფის (Cronbach Alpha) საიმედოობის ანალიზის გამოყენებით. რეგრესიული ანალიზის შედეგების გამოსათვლელად კი პროგრამა Excell-ი იქნა გამოყენებული.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე მიღებულია შემდეგი შედეგები:

1. რეგრესულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ევროკავშირის საბაჟო კავშირის შექმნამ დადებითი შედეგები მოუტანა თურქეთის საგარეო ვაჭრობას. გაფართოვდა საბაჟო ნაკადები და მოხდა სამრეწველო და აგრარული პროდუქციის დიფერენცირების გაღრმავება. (გვ.78).
2. რეგრესული ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგების სახედობის შემოწმება კერძო კომპანიებისათვის ჩვენ მიერ შედგენილი სპეციალური კითხვარებით განხორციელდა. კითხვარების შედეგები რეგრესიული ანალიზის შედეგებს დაემთხვა (გვ.88). ამ შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობა დადებითადაა განწყობილი საბაჟო გაერთიანების მიმართ. ისინი თვლიან, რომ საბაჟო კავშირი აძლევს თურქულ ფირმებს ახალი საბაჟო ურთიერთობების ჩამოყალიბების საშუალებასა და თავიანთი მაღალხარისხიანი პროდუქციის ახალ ბაზრებზე გატანის შესაძლებლობას. თურქულ კომპანიებში (რომლებსაც სავაჭრო ურთიერთობა აქვთ ევროკავშირთან) ჩატარებულმა გამოკითხვამ დაადასტურა რეგრესიული ანალიზის შედეგები საბაჟო კავშირის დადებითი გავლენის შესახებ. საბაჟო კავშირის გაფორმების შემდეგ თურქულ ბაზარზე იმპორტის გაფართოებამ ადგილობრივი ფირმებისა და კომპანიების ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის

ამაღლების აუცილებლობის პირობა შექმნა, რის შედეგადაც მათ დაიწყეს ახალ ბაზრებში შეღწევა.

3. ჩატარებული კვლევის შედეგად ნაშრომში დახასიათებულია ქართული ფირმების დამოკიდებულება შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) და რეგიონული ინტეგრაციის მიმართ. გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, რომ რეგიონული ინტეგრაციისაკენ გადადგმული ნაბიჯები ქართული კომპანიების წარმომადგენლების მიერ მიჩნეულია დადებითად. მათი პასუხების მიხედვით, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის ისინი აუცილებელ პირობად თვლიან რეგიონულ პროცესებში ჩართვას ( $r=.32.p=.01$ ) აქ აღინიშნება მაღალი კორელაცია და საქართველოს ეკონომიკის დამოკიდებულება შავი ზღვის რეგიონის განვითარების პროცესებთან. მათ სჯერათ, რომ ნებისმიერი დეზინტეგრაციის ტენდენცია რეგიონში უარყოფითად აისახება მათ ბიზნესზე, ხოლო თანამშრომლობა სტაბილურობის საწინდარი იქნება. აგრეთვე აღსანიშნავია გამოკითხულთა სამომავლო იმედები – ისინი თვლიან, რომ BSEC-ში მონაწილეობა ევროკავშირის წევრობისაკენ მიმავალი გზაა.

4. მეორე გამოკითხვით შესწავლილ იქნა ქართული კომპანიების პრაქტიკული მზადყოფნა თანამშრომლობისათვის. ამ მხრივ აგრეთვე შემუშავდა რამდენიმე რეკომენდაცია საქართველოს მთავრობისათვის ეკონომიკური პოლიტიკის, ეფექტურობის ზრდისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავების კუთხით. შესწავლილ იქნა, აგრეთვე, თუ ქართული ეკონომიკის რომელი სექტორი მუშაობს ყველაზე წარმატებულად და გაკეთდა მოსალოდნელი პროგნოზი ამ მიმართულებით.

**კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა:** კვლევა შედეგადაც ვაჭრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძო ფირმებისა და რეგიონული ინტეგრაციის პროცესების გაანალიზებით მიღებული შედეგებისაგან. ასე რომ, ის შეიძლება გამოყენებულ იქნას ეკონომიკის სამინისტროს, სავაჭრო პალატის, ვაჭრობის სამინისტროს, კერძო კომპანიებისა და საზოგადოების მიერ იმისათვის, რომ შეიცნონ რეგიონული ინტეგრაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ეკონომიკის მინისტრის მოთხოვნით დისერტანტის მიერ (08.01. 2009 წელს) გადაგზავნილია რეკომენდაციების ჩამონათვალი.

**კვლევასთან დაკავშირებული ძირითადი პუბლიკაციები:**

- 1- The Effects of Customs Union Agreement on Turkish Economy, ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა”, 2005 წლის ნომერი 5, გვ. 52-61
- 2- Customs Union and Turkey- Historical Perspectives, ჟურნალი სოციალური ეკონომიკა 2005 წლის ნომერი 3, გვ. 52-61
- 3- Attitudes of Turkish Firms toward Customs Union, Seventeenth Annual World Business Conference, FHR Lim A Po School of Management, Paramaribo Suriname, June,18-22,2008.  
website:[http://www.imda.cc/IMDA/IMDAWEB/imda/17%20World%20Business%20Congress/Total\\_Final\\_Program\\_2008-IMDA4.pdf](http://www.imda.cc/IMDA/IMDAWEB/imda/17%20World%20Business%20Congress/Total_Final_Program_2008-IMDA4.pdf)
- 4- Attitudes of Georgian Firms toward Regional Integration, საქართველოს ეკონომიკური პრობლემები 2008, მეცნიერთა ხედვა, 31,12,2008



## თავი I. რეგიონული საბაჟო ურთიერთობების თეორიული ანალიზი

### *1.1. რეგიონული ინტეგრაციისა და ევროკავშირის განვითარების ეკონომიკური ტენდენციები.*

მეოცე საუკუნე მთელ მსოფლიოში ცნობილია, როგორც რეგიონული საბაჟო ინტეგრაციის ერა. აღნიშნულ პერიოდში ცვლილებები განიცადა, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკამ. საბაჟო პოლიტიკა ამ ეტაპზე გახდა უმნიშვნელოვანესი ბერკეტი სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისას. ქვეყნების ეკონომიკური განვითარების საკითხში საერთაშორისო შეთანხმებებში მონაწილეობის ფაქტორი გადამწყვეტი იყო. 1947 წელს 23-მა ქვეყანამ მიაღწია შენევაში საერთო შეთანხმებას საბაჟო ტარიფებზე. შეთანხმების მთავარი მიზანი იყო დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირება მთელ მსოფლიოში. მომდევნო წლებში აღნიშნული გაერთიანების წევრი გახდა ბევრი განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანა. 1995 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ჩამოყალიბება დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ფუნქციონირებს როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია, რათა აწარმოოს მოლაპარაკებები საბაჟო ბარიერებისა და კონკურენციის შემაფერხებელ სხვა წინააღმდეგობათა შესამცირებლად. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ძირითადი მიზანია, მოახდინოს მსოფლიო სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაცია და ამით წვლილი შეიტანოს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში.<sup>2</sup> მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი თითქმის ყველა 145 ქვეყანა ნაწილობრივ მაინც რეგიონული შეთანხმების მონაწილეა.

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები უმეტესწილად ხორციელდება საბაჟო გაერთიანებების წევრებს შორის. აღნიშნული სახის შეთანხმება უამრავ მოვალეობას აკისრებს წევრ ქვეყნებს. ამ მოვალეობათა ნაწილი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერაა შექმნილი. ისეთი ქვეყნები, როგორცაა საქართველო, სადაც

<sup>2</sup> <http://ffas.usda.gov/info/factsheets/wto.html> (ბოლო ვიზიტი: 24. 08, 2008)

მთლიანი შიდა პროდუქტის წილი ერთ მოსახლეზე შეადგენს 1401.8 USD<sup>3</sup> დოლარს და თურქეთი, სადაც მთლიანი შიდა პროდუქტის წილი ერთ მოსახლეზე 8000 დოლარია ერთი და იმავე რეჟიმის ფარგლებში მოქმედებენ. მეცნიერი ვინერის<sup>4</sup> თანახმად, განსხვავებული პირობების გამო საბაჟო გაერთიანებები შესაძლოა ეკონომიკური კეთილდღეობის მაჩვენებლების გაუარესების მიზეზი გახდეს არა მარტო არაწევრ ქვეყნებში, არამედ მთლიანად მსოფლიოში, რადგანაც რესურსების მოხმარება არათანაბრადაა განაწილებულია სხვადასხვა ქვეყანაში.

დღევანდელი მდგომარეობით, 170-ზე მეტი რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმება მოქმედებს, ხოლო 70 ჩამოყალიბების პროცესშია. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მონაცემებით, მიმდინარე შეთანხმებების დასრულების შედეგად რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებათა საერთო რაოდენობა 300-ს მიაღწევს (Altomonte C. , 2007).<sup>5</sup>

1996 წლის მონაცემებით, ყველა განვითარებული ქვეყანა (გარდა იაპონიისა), სულ მცირე, ერთი რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმების წევრი იყო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თავდაპირველად ევროგაერთიანება ექვსი წევრისაგან შედგებოდა და შემდგომ მათი რიცხვი 27 წევრამდე გაიზარდა

რეგიონული ინტეგრაციის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია აშშ-ს მიერ კანადასა და მექსიკასთან ერთად NAFTA-ს ჩამოყალიბება. რეგიონულ გაერთიანებაში მონაწილეობის შედეგად წარმოქმნილი პოზიტიური შედეგები უბიძგებს სხვა ქვეყნებს მსგავსი ქმედებისაკენ. აზიური და წყნაროკეანური ეკონომიკური გაერთიანება (Asia Pasific Economic Cooperation) რეგიონის თანამშრომლობა ახდენს ვაჭრობის, ინვესტირებისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისა და სხვა საბაჟო გაერთიანებებისგან განსხვავებით, აღნიშნულ თანამშრომლობას არ გააჩნია შეთანხმების ვალდებულებები და მოთხოვნები მისი წევრი ქვეყნების მიმართ. გადაწყვეტილებები მიიღება მხოლოდ კონსენსუსისა და მოლაპარაკებების შედეგად. აზიური და წყნაროკეანური ეკონომიკური გაერთიანებაში (Asia Pasific Economic

<sup>3</sup> [http://www.investingorgia.org/about\\_us/faq/](http://www.investingorgia.org/about_us/faq/)( ბოლო ვიზიტი: 19.12, 2008)

<sup>4</sup> Viner, J. (1950). The Custom Union Issue. New York: Carnegie Endowment for International Peace

<sup>5</sup> Carlo A. (2007). "Regional Economic Integration and the Location of Multinational Firms, Review of World Economics, Vol. 143, gv. 277-303

Cooperation) თანამშრომლობა აერთიანებს 21 წევრ ქვეყანას, (ამ რეგიონულ გაერთიანებაში მსოფლიო მოსახლეობის 41%-ია, მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის 55% და მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობების, ექსპორტ იმპორტის თითქმის 49%<sup>6</sup>).

52 ქვეყნის მონაწილეობით მოხდა აფრიკული გაერთიანების ჩამოყალიბება. არსებობს აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკური ინტეგრაცია<sup>7</sup> ქვეყნებს შორის რეგიონული კოოპერაციის განვითარების მიზნით. შექმნილია ასევე ანდიანის გაერთიანება, ასევე “ისლამური ქვეყნების ორგანიზაცია” და სხვა. ქვემოთ მოცემული ცხრილისა და გრაფიკის თანახმად, შეთანხმებათა დიდი ნაწილი სამოცდაათიან წლებში შეიქმნა, რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებები აქტიურად განახლდა ოთხმოცდაათიან წლებში. საბოლოო გააქტიურება კი მოხდა 1998 წელს შეთანხმებათა რაოდენობამ უკვე არსებული შეთანხმებების საერთო რაოდენობის 52%-ს მიაღწია. უკანასკნელი მონაცემებით, მსოფლიოში ქვეყნების უმეტესობა, სულ მცირე, ერთი რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმების მონაწილეა და მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობების ერთი მესამედი მაინც რეგიონული ინტეგრაციის პარგლებში ხორციელდება.

**ცხრილი 1.1. რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებათა საერთო რაოდენობა 1949-2008 წწ.**


წლები	რაოდენობა
1949-1959	3
1960-1969	17
1970-1979	42
1980-1989	13

<sup>6</sup> [http://www.apec.org/apec/about\\_apec.html](http://www.apec.org/apec/about_apec.html) (ბოლო ვიზიტი: 24.08.2008)

<sup>7</sup> ეკონომიკური ინტეგრაცია აღმოსავლეთ აზიაში მკაცრად ორიენტირებულია ბაზარზე. ოთხმოციანი წლების მცდელობა, ჩამოეყალიბებინათ აღმოსავლეთ აზიის რეგიონული ეკონომიკური დაჯგუფება, მარცხით დამთავრდა რამოდენიმე მიზეზის გამო. 1997-1998 წწ. ფინანსურმა კრიზისმა გააძლიერა ქვეყნების რეგიონული თავდაცვის მექანიზმი აღნიშნული კრიზისის დასაძლევად და სამომავლო დანაკარგების თავიდან ასაცილებლად. რამაც გამოიწვია ინტეგრაციისათვის რამოდენიმე საფინანსო პროგრამის შექმნა, მათ შორის სავალუტო ჰეჯირების ღონისძიებები, რომელიც ცნობილია “Chiang Mai Initiative”-ის სახელით.

1990-1998	87
1999-2008	61
სულ	229

წყარო: [http://www.wto.org/English/tratop\\_e/region\\_negoti\\_e.htm](http://www.wto.org/English/tratop_e/region_negoti_e.htm) (ბოლო ვიზიტი: 20.10.2008)



წყარო: [www.wto.org](http://www.wto.org) (ბოლო ვიზიტი: 20.10.2008)

რეგიონული ინტეგრაციის გამოშვებმა მიზეზებმა და შედეგებმა მძაფრი დებატები გამოიწვია მკვლევარებსა და ინტეგრაციის პოლიტიკის გამტარებლებს შორის. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ რეგიონული ინტეგრაცია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხარჯზე დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებათა დადებითი გავლენა ინვესტიციებზე აიხსნება საბაჟო ლიბერალიზაციის შედეგად რეგიონული ბაზრების ზრდით და საბაჟო პოლიტიკის დისციპლინის შექმნით, ახალი საინვესტიციო წესების შემოღებით, რის შედეგადაც ხდება ბაზარზე შესვლის გამარტივება (მაგ. ახალი მომსახურების შეთავაზებით), ასევე ახალ ინვესტორთა დაცვითა და მთავრობის პოლიტიკის მიმართ ნდობის გაზრდით (Bernar Hoekman and Richard Newfarmer 2005)<sup>8</sup>

ზოგადად საბაჟო რეფორმები იყოფა სამ ჯგუფად. 1-ტარიფების ცალმხრივი შემცირება, 2-ფართოდ გავრცელებული მრავალმხრივი მოლაპარაკებები, 3-რეგიონული საბაჟო ხელშეკრულებები. პირველი სახის შეთანხმება

<sup>8</sup> Hoekman B. and Newfarmer R. (2005), Preferential Trade Agreements, Investment Dicipines and Investment Flows, Journal of world Trade (39/5), გვ. 949-973

დამოკიდებულია ქვეყნებზე, რომლებსაც სურთ ტარიფების პროცენტის შემცირება ერთმანეთს შორის. ერთ ქვეყანას შეუძლია ჰქონდეს შეთანხმება მეორე ქვეყანასთან, რათა შეამციროს ტარიფები. მეორე არის გლობალური შეთანხმება (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საზღვრებში) და ბოლოს ქვეყნებს შორის შეთანხმებები, რომლებიც შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: თავისუფალი ვაჭრობის ზონა (FTA), საბაჟო კავშირი (CU), საერთო ბაზარი (CM), მონეტარული კავშირი (MU) და ეკონომიკური კავშირი (EU).

როგორც ზემოთ აღინიშნა, რეგიონალური საბაჟო შეთანხმებები ძალიან დამახასიათებელია დღევანდელი მსოფლიო რეალობისათვის და სახელმწიფოებისათვის გარდაუვალია ამ მათში მონაწილეობის მიღება. თურქეთმა ეს ძალიან ადრე გაიგო და მიმართა საბაჟო კავშირს. ბევრი კვლევა ჩატარდა ამ საკითხთან დაკავშირებით.

საბაჟო კავშირი 50 წლის განმავლობაში ეკონომისტების შესწავლის საგანს წარმოადგენს. 1970-იან წლებამდე ისინი საბაჟო კავშირს მხოლოდ თეორიად თვლიდნენ, მაგრამ 1970-იან წლებში, შიდა მრეწველობის განვითარების შემდეგ რეგიონული საბაჟო ლიბერალიზაციის იდეა დაიბადა. გაჩნდა მეტი ოპტიმიზმი ინტეგრაციის როლის შესახებ მას შემდეგ, რაც მოხდა ვაჭრობის გაანალიზება ბარიერებით და ბარიერების გარეშე. მაგრამ კვლავ გრძელდება დისკუსია საბაჟო კავშირის შესახებ. ანტონ ჯ. ვენაბლესმა (Anton J. Venables<sup>9</sup>) 2003 წელს გაანალიზა რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებების შედეგები და სცადა ეპასუხა კითხვაზე, თუ როგორ ნაწილდება საბაჟო კავშირში მონაწილეობის სარგებელი და დანაკარგები მონაწილე ქვეყნებს შორის. შედეგები დამოკიდებულია წევრების შედარებით უპირატესობებზე ერთმანეთთან და დანარჩენ მსოფლიოსთან. ქვეყნები, რომლებსაც აქვთ შედარებითი უპირატესობა პარტნიორებთან და დანარჩენ მსოფლიოსთან, მეტ მოგებას იღებენ.

1965 წლამდე ეკონომიკური ინტეგრაცია ორ პერიოდად იყოფა. პირველ პერიოდში ვინერის<sup>10</sup> მიერ გამოკვლეული იყო საბაჟო კავშირის გავლენა წარმოებაზე,

<sup>9</sup> Venables Anthony J. (2003), Winners And Losers From Regional Integration Agreements, The Economic Journal, 113 (October), გვ. 747-761. \_ Royal Economic Society.

<sup>10</sup> Viner, J. (1950). The Custom Union Issue. New York: Carnegie Endowment for International Peace, New York

მოხმარებასა და სავაჭრო ნაკადებზე. ლიფსის<sup>11</sup> მიხედვით, საბაჟო კავშირის შექმნით მიღებული სოციალური მოგების ან წაგების ხუთი შესაძლო წყარო არსებობს: 1) სპეციალიზირება შედარებითი უპირატესობის მიხედვით, 2) მასშტაბის ეკონომია, 3) ცვლილებები ვაჭრობის პირობებში 4) ცვლილებები ეფექტურობაში უცხოური კონკურენციის გამო, 5) ცვლილებები ეკონომიკურ ზრდაში.

მეორე პერიოდში 1960 წლის შემდეგ ეკონომისტებმა თავიანთ თავს დაუსვეს კითხვა - თუ რა იყო მათი, ინტეგრაციის გეგმაში ჩართვის, რეალური მიზნები. მანამდე მეორე ღირსშესანიშნავი თეორიის განვითარებით ეკონომისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თავდაპირველად ნებისმიერი შეთანხმება ვაჭრობის რეგიონული ლიბერალიზაციისათვის, ნორმატიული შეხედულებებიდან გამომდინარე, არ არის აუცილებლად პოზიტიური, თავად პარტნიორებისთვისაც კი. ლიფსი და სხვა მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ საბაჟო კავშირი მომავალში იქნებოდა მომგებიანი მისი წევრებისთვის. მეცნიერების ჯონსონის<sup>12</sup>, მასელის<sup>13</sup> და ბერგლასის<sup>14</sup> გამოკვლევები იყო ამ შეხედულებათა საუკეთესო გამოხატულება.

ევროგაერთიანებაში საბაჟო კავშირის შექმნის პირველ ეტაპზე ბევრი ეკონომისტი ფიქრობდა, რომ ეს იყო უფრო პოლიტიკური და კულტურული კავშირი, ვიდრე ეკონომიკური, მაგრამ მოგვიანებით რეგიონული გაერთიანების უფრო მეტი ეკონომიკური გავლენის გამო პოლიტიკური და კულტურული დაბრკოლებები გაქრა, რამაც ეკონომისტებს ათქმევინა, რომ ევროკავშირი არის ერთადერთი რეალურად წარმატებული ინტეგრაცია.

ვაჭრობაზე საბაჟო კავშირის ეფექტები გამოიკვლიეს მანდელმა, კემპმა და მიურეიმ (Mundell 1965<sup>15</sup> და Kemp, Murray 1964<sup>16</sup>). ეარსმა შეაჯამა მათი შედეგები და დაასკვნა, რომ საბაჟო კავშირის მიზანი არის მსოფლიო შემოსავლების კეთილსინდისიერი განაწილება წევრ ქვეყნებს შორის დანარჩენ მსოფლიოსთან ვაჭრობის პირობების გაუმჯობესებით. საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება უფრო რეკომენდირებულია პატარა ქვეყნებისათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ

<sup>11</sup> Lipsey, R. (1960) "The Theory of Customs Union: A General Survey," Economics Journal

<sup>12</sup> Jhonson H. (1965). An economic theory of protection, tariff bargaining and the formation of Customs Union, journal of political economy, გვ. 256-283

<sup>13</sup> Marsell B. (1965). A new look a customs union theory. Economic journal, გვ. 742-757

<sup>14</sup> Berglas E. (1979). "Preferential Trading Theory: The n Commodity Case". JPE; V.87-#2, გვ.315-331.

<sup>15</sup> Mundell R. (1964). "T ariff Preferences and the Terms of Trade". Manchester School; V.32-1, გვ. 1-13.

<sup>16</sup> Kemp, Murray, C., (1964), The Pure Theory of International Trade, Prentice-Hall, Englewood Cliffs, N.J., 176-177.

დამოუკიდებლად მოახდინონ გავლენა ვაჭრობის პირობებზე. საბაჟო კავშირთან შეერთებით ქვეყანას შეუძლია გააკეთოს ის, რასაც ვერ შეძლებდა მარტო.

ზოგადი მოდელების საშუალებით (Vanek, 1968<sup>17</sup>) აიხსნება, თუ როგორ ნაწილდება მოგება წევრ და არაწევრ ქვეყნებს შორის. უმთავრესად ითვლება, რომ ქვეყანა, რომელსაც ჰქონდა სავაჭრო ურთიერთობა გაერთიანებამდე თავის მომავალ პარტნიორთან, სავარაუდოდ მოიგებს ინტეგრაციით, მაშინ, როდესაც პარტნიორები დიდი სავაჭრო ქსელებით დანარჩენ მსოფლიოსთან წააგებენ. ამ უკანასკნელთა გარდა, ყველას შეეძლო გაეუმჯობესებინა თავისი სავაჭრო პირობები. სავაჭრო პირობების გაუმჯობესება დამოკიდებულია სავაჭრო ურთიერთობების მოცულობაზე მესამე ქვეყნებთან.

გვიანი 1970-იანი წლებისა და ადრეული 1980-იანი წლების ყველა მცდელობა, მიეღოთ უფრო ნათელი დასკვნები მეტი საქონელისა და მეტი ქვეყნების ჩართვით მარტივ წინაკლასიკურ მოდელში, ჩაიშალა (Riezman<sup>18</sup> 1979, Collier 1979<sup>19</sup>, McMillan and McCann 1981<sup>20</sup>, Lloyd 1982<sup>21</sup>). პირიქით, ყველა ეს მოდელი უფრო ბუნდოვანს ხდიდა ისედაც დამაბნეველ ანალიზებს, რომლებიც ემბედნენ იმის მიზეზებს, თუ რატომ ერთვებიან ქვეყნები დისკრიმინაციულ სავაჭრო შეთანხმებებში. ამ ყველაფრის გამოსასწორებლად, ვაჭრობის პირობები შესახებ დებატებს ახლახანს დაემატა უფრო მკაფიო მინიშნება. კრუგმანი (Krugman 1991<sup>22</sup>) მიანიშნებს აშკარა ფაქტზე: მოსალოდნელია, რომ ოპტიმალური ტარიფი (Common External Tariff) იყოს უფრო მაღალი, ვიდრე გაერთიანებამდე არსებული ტარიფის პროცენტი წევრი სახელმწიფოებისათვის, რომელიც მიღებულია მათი გაერთიანებული მოქმედების შედეგად მესამე ქვეყნებთან კონკურენტუნარიანობის გაზდის მიზნით. კემპმა და უანმა კი დაამტკიცეს (Kemp და Wan (1976<sup>23</sup>), რომ საბაჟო კავშირები პოტენციურად კარგია იმის გამო, რომ ყოველთვის არის შესაძლებლობა, თავიდან იქნას აცილებული ვაჭრობის დამზარალელებელი შედეგები, მაგრამ კრუგმანი აღნიშნავს, რომ

<sup>17</sup> Vanek, J. (1968), "The Factor-Proportions Theory: The N-Factor Case", *Kyklos*, 21(4) გვ. 749-756.

<sup>18</sup> Riezman R. (1979). "A 3x3 Model of Customs Unions". *JIE*; V.9-, გვ. 341-354.

<sup>19</sup> Collier P. (1979). "The Welfare Effects of Customs Union: An Anatomy". *EJ*; V.89-, გვ. 84-95.

<sup>20</sup> McMillan J. and McCann E. (1981). "Welfare Effects in Customs Unions". *EJ*; V.91-, გვ. 697-703.

<sup>21</sup> -Lloyd P.J. (1982). "3x3 Theory of Customs Unions". *JIE*; V.12-, გვ. 41-63.

<sup>22</sup> Krugman, P., (1991), "The Move to Free Trade Zones," Symposium Sponsored by the Federal Reserve Bank of Kansas City, Policy Implications of Trade and Currency Zones.

<sup>23</sup> Kemp, Murray and Henry Jr. Wan. (1976). "An Elementary Proposition Concerning the Formation of Customs Unions", *J. of Int. Econ.* 6:1, გვ. 95-98.

საბაჟო კავშირი ამავდროულად ყოველთვის გამოიწვევს ვაჭრობის შედეგების ცვლილებას არაწვერი ქვეყნების კეთილდღეობის და ზოგ შემთხვევაში მთლიანად მსოფლიოს კეთილდღეობის მოსალოდნელი შემცირებით.

კორდენმა (Corden 1972<sup>24</sup>) გააანალიზა, თუ რა არგუმენტებია მნიშვნელოვანი პრაქტიკაში და აჩვენა, რომ ჩვეულებრივი ვაჭრობის განვითარებისა და მისი შედეგების გარდა არსებობს დამატებითი ეფექტი, რომელიც დაკავშირებულია ტარიფების მოხსნის საფუძველზე დანახარჯთა შემცირების ეფექტთან. საბაჟო კავშირში ყოფნა იწვევს პროტექციონიზმთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას ადგილობრივად მიწოდებულ საქონლზეც. 1970-იან წლებში მასშტაბის ეკონომიის არგუმენტი გაერთიანდა ინტრანდუსტრიული ვაჭრობის სწრაფი ზრდის თეორიასთან, რომელიც პირველად ჩამოაყალიბა გრუბელმა და ლოიდმა (Grubel and Lloyd 1975<sup>25</sup>). რითიც ის დაუპირისპირდა ჰეკშერ-ოლინის თეორიას.

ევროკავშირში მრავალი წელი იკვლევდნენ საბაჟო კავშირის თეორიულ ეფექტებს და ცდილობდნენ ეპასუხათ კითხვაზე, თუ რატომ შეიქმნა ის საერთოდ. 1960-იან წლებამდე მოდური იყო, ვინერის მოსაზრება რომლის მიხედვით საბაჟო კავშირების ანალიზის საფუძველზე სავაჭრო ურთიერთობები ფართოვდება თავისუფალი ნაწილობრივი უპირატესობის შეთანხმებებითა და საერთო ბაზრის შექმნით. ამის შემდეგ გამოჩნდა კვლევები რომლებიც ახასიათებდნენ თითოეული ამ ინტეგრაციის ფორმების წარმოშობას (Wonnacott, Lutz და Mark 1989<sup>26</sup>).

საერთო ბაზრის თეორია ჯერ კიდევ ნაკლებად არის განვითარებული მიუხედავად იმისა, რომ ფაქტორთა ბაზრების ინტეგრაციის შესახებ ევროკავშირში გამოკვლევები არსებობდა (Wooton 1988<sup>27</sup>, და Michael 1992<sup>28</sup>). უოტონის მიერ განხილული იყო საკითხი იმის შესახებ, რომ ექნებოდათ თუ არა მოგება წევრ ქვეყნებს საბაჟო კავშირიდან საერთო ბაზარზე გადასვლით. მან დაამტკიცა, რომ ყველაფერი დამოკიდებული იქნებოდა არჩეული ოპტიმალური ტარიფის (CET-ის)

<sup>24</sup> Corden W.M. (1972). "Economies of Scale and Customs Union Theory". JPE; V.80-#3, გვ. 465-475.

<sup>25</sup> Grubel, Herbert G., and Peter Lloyd. 1975. Intra-Industry Trade: The Theory and Measurement of International Trade in Differentiated Products, London

<sup>26</sup> Wonnacott, Paul and Lutz, Mark, (1989), "Is There a Case for Free Trade Areas?" in Schott, Jeffrey, Free Trade Areas and U.S. Trade Policy, Washington, D.C.: Institute for International Economics, გვ. 59-84

<sup>27</sup> Wooton I. (1988). "Towards a Common Market: Factor Mobility in a Customs Union". CJE; V.21-#3, გვ. 525-534

<sup>28</sup> Michael M. (1992). "From Customs Union to Common Market: The Need for Factor-Tax Harmonization". EcLets; V.39-#?, გვ. 79-84.



დონეზე. თუ ეს უკანასკნელი შეესაბამება მისაღებ დონეს, საერთო ბაზრის შექმნა კეთილდღეობის მომტანია. თუმცა ეს მტკიცებები არ არის საკმარისი. უოტონის შედეგი შენარჩუნებული იქნება იმ შემთხვევაში თუ წევრ ქვეყნებში საგადასახადო პროცენტი ფაქტორების შემოსავლების პროცენტის (ე.ი. საშემოსავლო გადასახადების) თანაბარია. სხვა სიტყვებით, საერთო ბაზარზე გადასახადების ჰარმონიზაცია აუცილებელი პირობაა. აქედან გამომდინარე, განსხვავებებმა შიდა პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის შეიძლება დააზარალონ ვაჭრობა ისევე, როგორც გარე ბარიერებმა, მაგალითად ტარიფებმა.

1980-იან წლებში არასრული კონკურენციის პირობებში მასშტაბის ეკონომიის არგუმენტი წარმატებულად დაუკავშირდა საერთაშორისო ვაჭრობის ახალ მოდელებს, რომელიც აშკარად სამრეწველო ეკონომიიდან გამომდინარეობდა (Krugman 1979<sup>29</sup>). ამ მხრივ საინტერესოა, საბაჟო კავშირის შექმნა რამდენადაა კონკურენციის პოლიტიკის შემცვლელი ან დამატება. ფიქრობენ, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციამ შეიძლება შეცვალოს კონკურენციის პოლიტიკა, რადგან ადგილობრივი მონოპოლიები საერთაშორისო კონკურენციით გაკონტროლდება. ეს არგუმენტი კვლავ აქტუალური გახდა შიდა ბაზარზე მოსალოდნელი სარგებელის ზრდასთან დაკავშირებით (Smith and Venables 1988)<sup>30</sup>.

ეკონომისტებს დღეს ნათელი სურათი აქვთ, თუ რატომ წარმოიშვა ყველა ეს გაუგებრობა საბაჟო კავშირის შექმნასთან დაკავშირებით. 1960-იანი და 1970-იანი წლების მოდელების უმეტესობა სავარაუდოდ გულისხმობდა, რომ ინტეგრაციის გეგმა ხორციელდებოდა მცირე და დიდი ქვეყნის (ან ქვეყნების ჯგუფს) შორის, რომლებიც არ იყვნენ მეზობლები მაშინ, როდესაც დანარჩენი მსოფლიო ვერც კი შეამჩნევდა, რა ხდებოდა. ამ კონტექსტში სავარაუდოა (მეცნიერი თოვასის მოსაზრებით 1978) რომ ცირე ქვეყნებს დიდ ქვეყნებთან შედარებით მეტი სარგებელი აქვთ, მართალია ამის დასაბუთება რთულია მაგრამ პრაქტიკა ამაზე მეტყველებს. ყველა მცირე ქვეყანა ცდილობს ინტეგრაციულ სავაჭრო შეთანხმებებზე მონაცილეობას. კონგრეტულათ ეს სჩანს შემდეგი ფაქტებიდან როდესაც გაერთიანებულმა სამეფომ გააფორმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, FTA (Free

<sup>29</sup> Krugman, P. (1979). Increasing Returns, Monopolistic Competition and International Trade. *Journal of International Economics* 9 (4): გვ.469-479.

<sup>30</sup> Smith A. and Venables A. (1988). "Completing the Internal Market in the European Community: Some Industry Simulations". *EER*; V.32-#?, გვ. 1501-1525.

Trade Agreement) ექვს მცირე ევროპულ ქვეყანასთან პორტუგალიამ მაშინ გადაწყვიტა EC-ში (Economic Community) ევროპულ თანამეგობრობაში შესვლა.

ზოგიერთი დიდი ქვეყანა, დაინტერესებული იყო პატარა ქვეყნებთან პარტნიორობით. თეორეტიკოსების უმეტესობას აინტერესებდა ამ შეთანხმებაზე ხელმოწერის ეკონომიკური აზრი ისეთი ქვეყნებისათვის, როგორებიც არის მაგ., დიდი ბრიტანეთი და აშშ ან ევროკავშირი. ეკონომისტები ფიქრობენ, შესაძლოა ასეთ შეთანხმებებს “მხოლოდ პოლიტიკური მიზეზი ჰქონდა” (“EC-ს შექმნის, “გავლენის სფეროების შექმნა”, “დემოკრატიის გაძლიერება”), მაგრამ აშკარაა, რომ ყველა საბაჟო კავშირი არ არის შექმნილი არარეგიონულ საფუძველზე რადიკალურად განსხვავებული ზომის ეკონომიკის მქონე წევრებით და პოლიტიკური თვალსაზრისით. თუ პოტენციური წევრების მასშტაბები თანაბარია, ურთიერთდახმარების ჩართვა ინტეგრაციის შეთანხმებებში, ყველა წევრს, როგორც ექსპორტიორს, აძლევს მოგების გარანტიას. როგორც იმპორტიორმა, მან შეიძლება ზოგჯერ წააგოს, ზოგჯერ მოიგოს. ეს შესაძლოა მომხდარიყო მაგ. ოთხი თანაბარი ზომის საბაჟო ტერიტორიების პირველადი გაერთიანების დროს - საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ბენილუქსის მიერ EC-ს შექმნისას. თავდაპირველად მათ დააწესეს “ეროვნული საბაჟო ბლოკი” დასავლეთ ევროპაში, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე. EC-ის გაფართოებამ ექვსიდან ცხრამდე და შემდეგ თორმეტამდე რეგიონული ინტეგრაციიდან გამომდინარე, მას წევრი ქვეყნებისათვის დამატებითი მიმზიდველობა შესძინა. ეს ქვეყნები დაინტერესებულნი იყვნენ, გაეზარდათ თავიანთი ექსპორტი.

EC პატარა “კავშირიდან” დიდ გაერთიანებამდე განვითარდა. მაგრამ მათი წარმატება ამით არ შემოიფარგლა: - მას შემდეგ, რაც ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი წესები დაწესდა, ტექნოლოგიურად განვითარებულ ქვეყნებში გაიზარდა მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მასშტაბი და გეოგრაფიული არეალი. ასეთ სიტუაციაში ახალი წევრების დამატება და ბაზრის გაფართოება, ბუნებრივია, ზრდის საწარმოების შესაძლებლობებს და აძლევს საშუალებას, აწარმოონ პროდუქცია, რომელსაც ადრე არ იწარმოებდნენ (მაგ: კომპიუტერის საცალო ღირებულება მცირედითაა მეტი არაწევრი ქვეყნებისაგან იმპორტირებულ იმავე საქონელზე). ეს ამცირებს კორდენ-ის ვაჭრობის აკრძალვის

ეფექტს (რომელიც EC-ის გაგებით არის “აუღებელი ციხე-სიმაგრე” წვერი ქვეყნებისთვის), თუმცა, რადგან ვაჭრობის ხვედრითი წილი დანარჩენ ქვეყნებთან მცირეა, მოსალოდნელია, რომ მანამდე არაწვერი ქვეყნებისაგან იმპორტირებული საქონლის ხარჯები გაცილებით გაიზრდება, რადგან ამ ქვეყნებში აღნიშნული საქონლის წარმოება შესაბამისად მცირდება (Venables 1987<sup>31</sup>).

თურქეთის უცხოურ ვაჭრობაზე საბაჟო კავშირის გავლენა გაანალიზებულია და გამოკვლეულია რეგრესიული ანალიზის მეთოდებით. თუ გავანალიზებთ ვაჭრობის სტატისტიკას თურქეთსა და ევროკავშირს შორის, აშკარაა, რომ საბაჟო კავშირის შემდეგ გაიზარდა როგორც თურქეთის ექსპორტი ევროკავშირში, ასევე იმპორტი ევროკავშირიდან. მაგრამ იმპორტის ზრდა ჭარბობს ექსპორტის ზრდას. ეს კი უარყოფით გავლენას ახდენს წმინდა ექსპორტზე. საბაჟო კავშირმა მეცნიერი სეკის მოსაზრებით არ გამოიწვია ვაჭრობის სტრუქტურის დიდი ცვლილება თურქეთიდან ევროკავშირისკენ (Seki, 2005)<sup>32</sup>.

თურქეთმა ევროკავშირთან საბაჟო კავშირის შეთანხმების ხელმოწერით მიიღო შესაძლებლობა, გაეზარდა მთლიანი შიდა პროდუქტის მოგება წლიურად 1-დან 1.5%-მდე. მაგრამ ამასთანავე მან შეიძლება დაკარგოს სატარიფო შემოსავლები რაც დაახლოებით მშპ-ს 1.4 %. დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) ფორმალური შემცირებაც კი მშპ-ს ზრდის პარალელურად აანაზღაურებს ტარიფების შემცირებით გამოწვეულ დანაკარგებს და გაზრდის საბაჟო კავშირიდან მიღებულ სოციალურ კეთილდღეობას (Glenn W. Harrison T. F. Rutherford David G. Tarr, 1996)<sup>33</sup>.

უტკულუ და სეიმენი (2004)<sup>34</sup> ადასტურებენ, რომ გადახრები მინიმალურ დონეზეა. საბაჟო კავშირის მონაცემების მიხედვით, არ არსებობს ტარიფები და კვოტები ინდუსტრიულ საქონელზე თურქეთსა და ევროკავშირს შორის. არსებული ფორმა, მართალია, ზრდის თურქეთის შედარებით უპირატესობას მსოფლიო ბაზარზე, თუმცა ამცირებს ევროკავშირის ბაზარზე, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია საბაჟო კავშირის შექმნით.

<sup>31</sup> Krugman, P. (1980), "Scale Economies, Product Differentiation, and the Pattern of Trade," Amer. Econ. Rev., 70:5, გვ. 950-959.

<sup>32</sup> Seki I. (2005), "Gümrük Birliği'nin Türkiye'nin Net ihracatı Üzerine Etkileri, 1985 – 2003".

<sup>33</sup> Harrison G. W., Rutherford T. F., Tarr D. G. (1996). "Economic Implications for Turkey of a Customs Union with the European Union".

<sup>34</sup> Utkulu, U. და Seymen, D. (2004): "Revealed Comparative Advantage and Competitiveness: Evidence for Turkey vis-a-vis the EU/15", European Trade Study Group 6th Annual Conference, 9-11 September.

რადგან ევროკავშირს 1971 წლიდან უკვე გაუქმებული ქონდა ტარიფები თურქეთთან იმპორტზე, საბაჟო კავშირს არ მოუტანია მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია თურქეთის ექსპორტისათვის ევროკავშირში. სამაგიეროდ, თურქეთის მხრიდან ევროკავშირისთვის ტარიფების თანმიმდევრულმა გაუქმებამ გამოიწვია თურქეთში ევროკავშირის იმპორტის უმნიშვნელო ზრდა. მაგრამ როგორც სტატისტიკიდან ჩანს, ცვლილებები იმპორტში არ იყო ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც ელოდნენ. საბაჟო კავშირი წარმოადგენს თურქეთის ევროკავშირში სრული ინტეგრაციისათვის მნიშვნელოვან წინადადებულ ნაბიჯს (Sertoglu\* & Ozturk, 2003)<sup>35</sup>.

ულგენის და ზაჰარიადის (Ulgen S. and Zahariadis Y. 2004<sup>36</sup>) აზრით, ევროკავშირ-თურქეთის საბაჟო კავშირის ამოქმედება მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია თურქეთის ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე. თურქეთი არის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა და ევროკავშირის საბაჟო გაერთიანების წევრი. ფაქტობრივად, თუ საქონლით ვაჭრობას მივიღებთ მხედველობაში, იგი ევროპული ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

საბაჟო ინტეგრაციის შემდგომი გაღრმავება შეიძლება მიღწეული იქნას შეთანხმების პირობების გადახედვით და არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრით. ასევე მასში ისეთი სფეროების ჩართვით, როგორცაა მომხახურება და სოფლის მეურნეობა. ზემოთ ნახსენები ავტორები ასკვნიან, რომ თურქეთ-ევროკავშირის საბაჟო კავშირს აქვს ბევრი დადებითი მხარე და საიმედო საწყისებზე ფუნქციონირებს. მაგრამ ამასთან აღნიშნავენ, რომ ორივე მხარემ უფრო მოქნილად უნდა იმუშაოს, საბაჟო აკრძალვების შესამცირებლად და საბაჟო ინტეგრაციის უფრო სრულყოფილი პირობების შესაქმნელად.

ნეიპტიმ, ტაშკინმა და უნგორმა (Neyapti, Taskin and Ungor<sup>37</sup>) გამოიკვლიეს, რომ მიუხედავად საბაჟო კავშირისა, შემოსავლები ექსპორტ-იმპორტიდან ევროკავშირის ქვეყნებისთვის დაბალია. ამავდროულად საბაჟო კავშირში ყოფნის ეფექტი თურქეთის ექსპორტზე უფრო ძლიერია, ვიდრე ადრე. იმპორტისათვის კი პირიქით: თურქული ლირის რეალური კურსის ზრდას დადებითი გავლენა ქონდა

<sup>35</sup> Sertoglu, K. და Ozturk I. (2003). "Turkey and European Union Relations: Concept of Customs Union". Pakistan horizon. Vol.56 No:3. გვ 15-25

<sup>36</sup> Ulgen, S. და Zahariadis, Y. (2004) The Future of Turkey-EU Trade Relations: Deepening vs Widening. CEPS EU-Turkey Working Papers No. 5.

<sup>37</sup> Neyapti, B., Taskin, F. და Ungor, M. (2007) "Has Customs Union Agreement Really Benefited Turkey's Trade?", Applied Economics, Vol 39: 16, pp. 2121-2132.

იმპორტზე, განსაკუთრებით კი ევროკავშირის ქვეყნებიდან. ეს ხდებოდა განსაკუთრებით 1993 და 2000 წლებში. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საბაჟო კავშირის შეთანხმებამ ხელი შეუწყო თურქეთსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის გაზრდას. გარდა ამისა, ვაჭრობიდან შემოსავლების ეფექტი მცირე იყო. ეს ნიშნავს, რომ თურქული ლირის მაღალი კურსის პერიოდში თურქეთის ევროკავშირთან ვაჭრობისთვის შეიქმნა დიდი რისკი, რაც იწვევდა ექსპორტის უფრო დიდ შეზღუდვას ვიდრე იყო ადრე.

მერსენიერმა და იელდანმა (Mercenier J. Yeldan E. 1997)<sup>38</sup> აღმოაჩინეს, რომ თურქული ეკონომიკა სავარაუდოდ განიცდიდა სოციალურ დანაკარგებს. ამის საპირისპიროდ ჰარისონმა, რუთერფორდმა და თარმა მიუთითეს სოციალური კეთილდღეობის მომენტებზე. (Harrison, Rutherford, Tarr, 1997<sup>39</sup>). ამისთვის მათ გამოიყენეს კომპიუტერზე დაფუძნებული ზოგადი თანაფარდობის მოდელი.

კომპიუტერულ გამოთვლებზე დაფუძნებული ზოგადი თანაფარდობის მოდელით გამოანგარიშებულია საბაჟო კავშირის გავლენა თურქეთისა და ევროკავშირის თანამშრომლობაზე. რადგან საშუალო ტარიფი არააგრარულ იმპორტზე 2%-ზე ნაკლებია, ვაჭრობის დივერსიფიცირების ხარჯები საბაჟო კავშირის პირობებში საკმაოდ მცირეა. მესამე ქვეყნის ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა (ევროკავშირის ორმხრივი შეღავათიანი ხელმისაწვდომობის შეთანხმებებით) იწვევს დიდ მოგებას, რაც უზრუნველყოფს თურქეთის მშპ-ს დაახლოებით 1-1.5%-ით გაზრდას. ევროკავშირის ხელშეკრულებასთან მიერთებით დღგ-ს შემოღება ფორმალურად (მისი გაზრდის მაგივრად სატარიფო შემოსავლების დანაკარგების ასანაზღაურებლად) გაზრდის სოციალური კეთილდღეობის მოგებას. (Harrison, Rutherford, Tarr 1997).<sup>40</sup>

საბაჟო კავშირში შესვლა ნიშნავდა ევროკავშირში ინტეგრაციისაკენ გადადგმულ ნაბიჯს. ამასთან არსებობს იმის ნიშნებიც, რომ მთავრობის კონკრეტული მიდგომის კურსის მოწინააღმდეგე პოლიტიკურმა ოპონენტებმა შეიძლება შეძლონ ვაჭრობის

<sup>38</sup> Mercenier, J. და Yeldan E. (1997). "On Turkey's Trade Policy: Is a customs union with Europe enough?" *European Economic Review* 41, გვ. 871-880.

<sup>39</sup> Harrison G., Rutherford, T. Tarr, D., (1997) Economic implications for Turkey of a Customs Union with the European Union, *European Economic Review*, Volume 41, Issues 3-5, გვ. 861-870

<sup>40</sup> Harrison G., და Rutherford, T., და Tarr, D. (1997). "Economic implications for Turkey of a Customs Union with the European Union," *European Economic Review*, Elsevier, vol. 41(3-5), გვ 871-880

სრული ლიბერალიზაციისათვის განხორციელებული ნებისმიერი სამომავლო მოქმედების დაბლოკვა. ანალიტიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ სოციალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა საბაჟო რეფორმის გაგრძელება და მომავალში არასატარიფო ბარიერების მოხსნაც ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობაზე.

დეარდოფისა და სტიმის (Deardoff and Stem (1994)<sup>41</sup> მოდელის შედარებითი უპირატესობა აჩვენებს, რომ საბაჟო გართიანების ფორმირება იწვევს გლობალური ეკონომიკური კეთილდღეობის უფრო მეტ ზრდას, ვიდრე ეს მოხდებოდა ქვეყანებს შორის მხოლოდ საბაჟო მოლაპარაკებების შემთხვევაში.

ბონდის (Bond 1996<sup>42</sup>) ანალიზი მოიცავს საბაჟო გაერთიანების გავლენას მცირე ეკონომიკაზე. ანალიზის თანახმად, ვაჭრობის მოცულობის ზრდა იმპორტირებულ საქონელზე ზრდის ეკონომიკურ კეთილდღეობას, თუკი შიდა პროდუქტის ფასები უფრო მაღალია, ვიდრე ფასები მსოფლიო ბაზარზე. ტარიფის შემცირება ასევე აუმჯობესებს ეკონომიკური კეთილდღეობის დონეს, რამდენადაც იმპორტირებული საქონლის მოცულობის შემცირება არ ხდება.

გოტომ და ჰამადამ (Goto and Hamada 1997)<sup>43</sup> განიხილეს რეგიონული საბაჟო შეთანხმებების გავლენა წევრ და არაწევრ ქვეყნებზე. შედეგებმა აჩვენა, რომ რეგიონალიზმი აუარესებს არაწევრი ქვეყნების ეკონომიკური კეთილდღეობის დონეს, თუკი თავისუფალი ვაჭრობის ზონის ან საბაჟო კავშირის გარეთ ტარიფები არ არის გაზრდილი.

მეცნიერმა კარლო ალტომონტემ თეორიული კვლევის შედეგები შეადარა რეალურ საბაჟო და უცხოური ინვესტიციების მონაცემებთან, რაც ეყრდნობა იმ 4200 მრავალნაციონალური ფირმების მაგალითს, რომლებიც 1990-1999 წლებში ინვესტირებას ახდენდნენ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. საბაჟო ბარიერების შემცირებით გამოწვეული შედეგების კონტროლი ყოველთვის არ იწვევს ეკონომიკური საქმიანობის დადებითი შედეგების შენარჩუნებას. მრავალმხრივი რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებები ხშირად მოქმედებენ,

<sup>41</sup> Deardoff და Robert M. Stem, (1994). Analytical and Negotiating Issues in the Global Trading System, Ann Arbor: University of Michigan Press, 1994, Chapter 2, გვ. 27-94.

<sup>42</sup> Bond, (1996), The Size of Trading Blocs, Market Power and World Welfare Effects," Journal of International Economics 40, გვ. 411-437.

<sup>43</sup> Goto J. და Hamada K. (1997). "EU, NAFTA, and Asian Responses: A Perspective from the Calculus of P articipation". in T . Ito and A. Krueger, eds. Regionalism versus Multilateral Trade Agreements. Chicago: University of Chicago Press/NBER, გვ. 91-110.

როგორც დისპერსიული ძალა (და სხვა არაფერი) მრავალნაციონალური ფორმების მდგომარეობაზე(Altomonte C., 2007<sup>44</sup>).

ჰიუ ედუარდსი (Edwards T., 2007)<sup>45</sup> ხსნის რეგიონული ინტეგრაციის სხვა ასპექტებს, სადაც პატარა ქვეყნები უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი, გახდნენ ეკონომიკური გაერთიანების წევრი ქვეყნები. ვორვიკ (Warwick) ინდექსის მიხედვით, ეკონომიკური გლობალიზაციის მამოძრავებელი ძალაა ირლანდია, ბელგია, ჰონ-კონგი და სინგაპური. რაც პირდაპირ მიუთითებს რომ ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესი მეტ გავლენას ახდენს ღია ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნებზე (როგორცაა ირლანდია, ბელგია ან ჰონ-კონგი), ვიდრე დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე. რეგიონული ინტეგრაცია აიძულებს ქვეყნებს, მოახდინონ სხვადასხვა სფეროებში სპეციალიზაცია.<sup>46</sup>

ნორბერტ ფიესი (Norbert Fiess, 2007)<sup>47</sup> აღნიშნულ საკითხს შემდეგნაირად ხსნის: ვაჭრობა მიიჩნევა მნიშვნელოვან თუ არა, ყველაზე მნიშვნელოვან, საშუალებად ბიზნეს ციკლის გადასატანად ერთი ქვეყნიდან მეორეში. თეორიულად საბაჟო შეთანხმებებში ინტეგრაციის ბიზნეს ციკლზე გავლენა დაუზუსტებელია. ვაჭრობის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს მისი ცვლილებები. თუ საბაჟო შეთანხმებებში ინტეგრაცია მოახდენს შიდასამრეწველო ვაჭრობის ზრდას, როგორც სპეციალიზაციის პროცესის ნაწილს, მაშინ მოსალოდნელია ბიზნესის ციკლის შეცვლა, რადგან მისი ფორმირება მოხდება კონკრეტული წარმოების მიერ. ხოლო თუკი საბაჟო შეთანხმებებში ინტეგრაცია გამოიწვევს შიდაწარმოების წილის ზრდას, მოსალოდნელია ბიზნეს ციკლის გაერთიანება, რადგანაც კონკრეტული წარმოება მსგავს გავლენას მოახდენს საბაჟო პარტნიორებზე.

რეგიონული ინტეგრაცია დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკის ზრდაზე, კომპანიები აფართოებენ თავიანთ საქმიანობას, რადგან ეძლევათ საშუალება, მიყიდონ პროდუქტი წევრ ქვეყნებს შეზღუდვების გარეშე. შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა რეგიონული ინტეგრაციის ეფექტების ზრდის შესწავლას.

<sup>44</sup> Carlo A. (2007). "Regional Economic Integration and the Location of Multinational Firms, Review of World Economics, Vol. 143, pp. 277-303

<sup>45</sup> Edwards T.H., (2007) Measuring Global and Regional Trade Integration in Terms of Concentration of Access, Loughborough University, Warwick and Kiel Institute for the World Economy, გვ. 256-276.

<sup>46</sup> <http://www2.warwick.ac.uk/fac/soc/csg/research/workingpapers/2006/wp20606.pdf> (ბოლო ვიზიტი: 20.12.2008)

<sup>47</sup> Norbert F. (2007), Business Cycle Synchronization And Regional Integration: A Case Study For Central America, The World Bank Economic Review, VOL. 21, NO. 1, გვ. 49-72.

გამონაკლისია ბერტელონის<sup>48</sup> გამოკვლევები. რეგიონული ასპექტების დინამიკური წონასწორობის ზრდის მოდელის გამოყენებით მან აღმოაჩინა, რომ ინტეგრაციაში მონაწილეობის მიღების შემდეგ ეკონომიკური ზრდის ტემპი დამოკიდებულია რამოდენიმე ფაქტორზე, როგორცაა: ინტეგრაციის შეთანხმება იწვევს თუ არა ვაჭრობის წარმოქმნას ან ვაჭრობის ცვლილებას, თითოეული წევრი ქვეყნის შედარებით უპირატესობისა და საბაჟო ბარიერების ცვლილებას. რეგიონული ინტეგრაციის შესახებ არსებულ გამოკვლევათა ანალიზზე დაყრდნობით (აღნიშნულ ფაქტორებზე ეკონომიკური ზრდის დამოკიდებულების გამო), არ არსებოს ცალსახა პასუხი კითხვაზე, როგორია რეგიონული ინტეგრაციის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. თუმცა რეგიონული ინტეგრაციის საკითხში აღნიშნული გავლენა მნიშვნელოვნად ითვლება (Baldwin, 1989)<sup>49</sup>.

დღესდღეობით არ არსებობს საერთო წარმოდგენა (ან შეთანხმება) რეგიონული ინტეგრაციის გლობალურობის საზომზე. იქმნება აზრი, რომ ქვეყნები განუწყვეტლივ კარგავენ ეროვნულ ინდივიდუალობას, თუმცა მრავალი გამოკვლევა ამტკიცებს, რომ სინამდვილეში ეროვნული საზღვრები ჯერ კიდევ უდიდეს როლს თამაშობენ ქვეყნების ეკონომიკურ საქმიანობაში ჰიუ ედვარდსის მიერ ჩატარებული კვლევა (T.Huw Edwards, 1992)<sup>50</sup>, ჩვენი აზრით, შედარებით სწორი გზაა რეგიონული ინტეგრაციის გასაანალიზებლად.

რეგიონალიზმის საკითხის ირგვლივ იკვეთება რამოდენიმე სადავო საკითხი: აუმჯობესებენ თუ არა საბაჟო გაერთიანებები გლობალურ ეკონომიკურ კეთილდღეობას, ახერხებენ თუ არა საბაჟო გაერთიანებები გლობალური საბაჟო ლიბერალიზაციის პროცესში წარმოქმნილი სიძნელეების გადალახვას და რა გავლენას ახდენენ საბაჟო გაერთიანებები მისი წევრი ქვეყნების ეკონომიკაზე.

ევროკავშირი (EU) ერთადერთია რეგიონალურ ორგანიზაციებს შორის, რომელმაც განვითარების პროცესში მონეტარულ კავშირს მიაღწია. ეკონომიკის სფეროში ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილების მიმღები ხელისუფლება ნებაყოფლობით შეიქმნა კოლექტიური სააგენტოებით. ეკონომიკური ინტეგრაცია

<sup>48</sup> Berthelon M., (2004) Growth Effects Of Regional Integration Agreements, presented at the joint Central Bank of Chile-World Bank Conference March 22, 23, Chili

<sup>49</sup> Baldwin, Richard & Martin, Philippe & Ottaviano, Gianmarco I P, (1998). "Global Income Divergence, Trade and Industrialization: The Geography of Growth Take-Offs," CEPR Discussion Papers 1803, C.E.P.R. Discussion Papers

<sup>50</sup> Edwards, S. (1992), "Trade orientation, distortions and growth in developing countries", Journal of Development Economics, 39, 31-57.



გაგრძელდება მომავალშიც მოქმედებების გაცილებით უფრო ფართო სპექტრით, ვიდრე სხვა რეგიონალურ გაერთიანებებში (NAFTA, MARCESUR, BSEC, APEC). ჯერ კიდევ მთავარ პოლიტიკურ საკითხებში ინტეგრაციის პროცესი მიმდინარეობს გაცილებით ნელა, ვიდრე ეკონომიკურ სექტორში, თუმცა ეს ორი სფერო შეუძლებელია მთლიანად განვასხვავოთ ერთმანეთისაგან, რადგან ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება პოლიტიკური პროცესის ნაწილია და სუვერენული ძალების კაპიტულაცია შესამჩნევი ხარისხით უკვე მოხდა.

ევროკავშირის შექმნა და განვითარება ასევე არაპრეცედენტული წარმატების ისტორიაა. ის გამოიყენებოდა მოდელად სხვა მსგავსი ექსპერიმენტებისათვის და ყველაზე ხილვად იმედად, იმის დასამტკიცებლად, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია წინ უძღვის შესაძლო პოლიტიკურ ინტეგრაციას. თუმცა ეს ნაბიჯი ისევ შორეული მომავლისაა, ევროკავშირმა მიაღწია რამდენიმე ეკონომიკურ მიზანს და ეს მიღწევები არის მისი შემადგენელი სახელმწიფოების გაზრდილი კეთილდღეობის შედეგი.<sup>51</sup>

ისტორიის მანძილზე ევროპის გაერთიანების არაერთ მცდელობას ქონდა ადგილი. რომის იმპერიამ თითქმის მიაღწია ევროპის ინტეგრაციის სრული ეკონომიკური ინტეგრაციის საშუალებით, რადგან რომაული მმართველობის დროს დასავლეთ ევროპის რეგიონთა უმეტესობას ჰქონდა საერთო საკანონმდებლო სისტემა. მიუხედავად ამისა, გაერთიანება დაიშალა, როგორც კი რომის იმპერია განადგურდა. ნაპოლეონმა ასევე სცადა ევროპის გაერთიანება საკუთარი წესებით, მაგრამ უშედეგოდ.<sup>52</sup>

1929 წელს საფრანგეთის პრემიერ მინისტრი, რისტიდე რიგანდი, სიტყვით გამოვიდა სახელმწიფოთა ასამბლეის ლიგის შეხვედრაზე, სადაც მან გამოთქვა ევროპული სახელმწიფოების გაერთიანების იდეა, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა სოლიდარობაზე და გამოიწვევდა ეკონომიკურ აყვავებასა და პოლიტიკურ და სოციალურ შეთანხმებულ მოქმედებას. ბევრმა სახელგანთქმულმა ეკონომისტმა, მათ შორის ჯონ მენარდ კეინზმა, მხარი დაუჭირა ამ იდეას. ლიგის მოთხოვნით, რიგანდმა წარმოადგინა მემორანდუმი ევროპული ფედერალური კავშირის სისტემის

<sup>51</sup> Bennett A. LeRoy და Oliver K. James, (2002) International Organizations, Principles and Issues, Seventh Edition, Prentice Hall, გვ.263.

<sup>52</sup> Tore T. (1999), An Introduction to the European Community and to European Community Law, 75 N.D.L.Rev. 59

ორგანიზაციაზე 1930 წელს. დიდმა დეპრესიამ, ფაშიზმის ზრდამ და შემდეგ მეორე მსოფლიო ომმა შიდა საომარი მოქმედებებით გაზარდა სამომავლო მხარდაჭერა.

1940-იანი წლების პან-ევროპული ილუზიები არასდროს განხორციელებულა მცირედიტაც კი, რადგან არც ჰიტლერს და არც ბევრ მის იერარქს, როგორც იყო გებელსი, მცირეოდენი განზრახვაც არ ჰქონდათ, აბსოლიტური გერმანული ჰეგემონია გაეცვალათ ევროპული კონფედერაციის შექმნაზე. ნაცისტურ ძალასა და დემოკრატიული პრინციპების ნაკლებობაზე დაფუძნებული ევროპის ინტეგრირებას არ შეიძლებოდა ჰქონოდა სწორი წინაპირობა ევროკავშირისთვის.

1945 წელს ევროპის კონტინენტის სახელმწიფოებმა ნგრევა განიცადეს. მათი ეკონომიკა და პოლიტიკური სტრუქტურა დაიმსხვრა. მსოფლიოს არასოდეს ენახა მანამდე ნგრევის ისეთი მასშტაბები, როგორც გამოიწვია მეორე მსოფლიო ომმა. ამჯერად, ომისწინა პერიოდისაგან განსხვავებით, უფრო ინტეგრირებული და გაერთიანებული ევროპის შექმნის მომხრეები აღმოჩნდნენ ისეთი მაღალი რანგის ევროპელი პოლიტიკოსები, როგორებიც იყვნენ უინსტონ ჩერჩილი, კონრად ადენაუერი და ჟან მონე. ევროპული ინტეგრაციისკენ სწრაფვის მთავარი მიზანი იყო ეროვნული სახელმწიფოების უფლებათა შეზღუდვა რადგან დარწმუნდნენ, რომ ეროვნულმა სახელმწიფომ ითამაშა ცენტრალური როლი მეორე მსოფლიო ომის გამოწვევაში.

მეორე მსოფლიო ომის კატასტროფის შემდეგ ევროპელებმა დაიწყეს ევროკავშირის შენება, რათა დაეცვათ ევროპა კატასტროფული ომებისაგან. 1946 წლის 19 სექტემბერს უინსტონ ჩერჩილმა ზურიჩის უნივერსიტეტში გამოსვლისას განაცხადა, რომ შეიქმნებოდა აშშ-ს მსგავსი ევროკავშირი. ამ გამოსვლის პირველადი შედეგი იყო 1949 წელს ევროპის საბჭოს შექმნა.

(Monnet J. და Shuan R.) ჟან მონე და რობერტ შუმანი საფრანგეთიდან და კონრად ადენაუერი გერმანიიდან იყვნენ ახალი ევროპის მნიშვნელოვან დამცველებს შორის. ორი მსოფლიო ომით გამოწვეული არეულობის მიუხედავად, ისინი ცდილობდნენ მოეხდინათ ალტერნატიული, დადებითი, კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება ფორმალურ მტრებს შორის. ეკონომიკური ინტეგრაციით გამოწვეული მიღწევების მანიპულირებით ისინი ცდილობდნენ ყველა, პრაქტიკულ დონეზე შეექმნათ ახალი, კოოპერატიული კავშირები საფრანგეთსა და გერმანიის

ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, რომლებიც მთავარი მოთამაშეები იყვნენ კონტინენტური ევროპის ეკონომიკაში. მათ ქონდათ გაძლიერებული, ნაბიჯ-ნაბიჯ გათვლილი სტარატეგია ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნების მისაღწევად. მათი პრაქტიკული მოტივაცია იყო ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკურ ურთიერთობებზე დადებითი გავლენის მოხდენის მოლოდინი, რაც გამოიხატებოდა დიდი ეკონომიკური ინტეგრაციის პროგრესში.<sup>53</sup>

ასე რომ, საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობების შეთანხმების შემდეგ რობერტ შუმანმა გამოაცხადა თავისი დეკლარაცია. მან დაიწყო დეკლარაცია რამდენიმე შესავალი წინადადებით: “ეხლა ფუჭი სიტყვების დრო არ არის, მაგრამ მკვეთრი, კონსტრუქციული მოქმედებების დროა. საფრანგეთმა იმოქმედა და მისი საქმიანობის შედეგები შეიძლება საუცხოო იყოს. ჩვენ<sup>54</sup> ვიმედოვნებთ ამას. მან იმოქმედა არსებითად მშვიდობისათვის. რომ მშვიდობა იყოს უპირველესად უნდა იყოს ევროპა. გერმანიის უკომპრომისო კაპიტულაციიდან თითქმის ხუთი წლის შემდეგ საფრანგეთი პირველად დგამს გადაწყვეტ ნაბიჯს ევროპის შექმნისაკენ და გერმანიაც მონაწილეობს ამ გაერთიანებაში. ეს არის ის, რამაც სრულიად უნდა შეცვალოს მდგომარეობა ევროპაში და დაუშვას სხვა საერთო საქმიანობები, რაც აქამდე შეუძლებელი იყო.

ყოველივე ამის შემდეგ შეიქმნება მოწინავე ევროპა, სოლიდური და გაერთიანებული ევროპა. ევროპა, სადაც ცხოვრების დონე გაიზრდება გაერთიანებული წარმოებისა და გაფართოებული ბაზრების წყალობით, რაც დაბლა დაწევს ფასებს...”

რეგიონული ინტეგრაციის პროცესის მსვლელობაში ევროკავშირი თანდათანობით გახდა მნიშვნელოვანი ფაქტორი როგორც სახელმწიფოების შიდა საქმეებში, ასევე მათ ერთმანეთთან ურთიერთობებში. თავდაპირველად ევროკავშირი იყო პასუხისმგებელი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების რეგულირებაზე (ქვანახშირი, ფოლადი, სოფლის მეურნეობა), თუმცა დროთა განმავლობაში თანდათანობით გაზრდილ დავალებებზე პასუხისმგებლობის ასაღებად ევროპული ინსტიტუტები შეიქმნა. 1950 წელს საფრანგეთის პრემიერ მინისტრმა, რობერტ

<sup>53</sup> Viotti Paul R.& Kauppi V.,(2001). Mark, International Relations and World Politics, Second addition, Prentice-Hall,Inc. , გვ.362

<sup>54</sup> Fontaine P., A new idea for Europe, The Schuman declaration — 1950–2000, Second Edition, გვ.13

შუმანმა წამოაყენა წინადადება დასავლეთ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის მრეწველობის ინტეგრირებისათვის. შედეგად, 1951 წელს შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის საბჭო ECSC (European Coal and Steel Community), ექვსი წევრი ქვეყნით: ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, იტალია და ნიდერლანდები. ამ შეთანხმების მიზანი იყო წევრი სახელმწიფოების ფოლადისა და ქვანახშირის რესურსების გაერთიანება.<sup>55</sup>

ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის საბჭოს შეთანხმება წარმატებული მიღწევა იყო, რადგან ხუთი წლის მანძილზე იმავე ექვსმა ქვეყანამ გადაწყვიტა უფრო შორს წასვლა და თავიანთი ეკონომიკის სხვა სექტორების ინტეგრაციაც.

**ცხრილი 12. ევროპარლამენტში წარმომადგენლობითი რაოდენობა თითოეული ქვეყნისათვის**

	ადგილების რაოდენობა	ადგილების პროცენტული რაოდენობა		ადგილების პროცენტული რაოდენობა
ბელგია	24	3.3 %	ლიტვა	13 1.8 %
ჩეხეთის რეს.	24	3.3 %	ლუქსემბურგი	6 0.8 %
დანია	14	2.0 %	უნგრეთი	24 3.3 %
გერმანია	39	13.5 %	მალტა	5 0.7 %
ესტონეთი	6	0.8 %	ჰოლანდია	27 3.7 %
საბერძნეთი	24	3.3 %	ავსტრია	18 2.5 %
ესპანეთი	54	7.4 %	პოლონეთი	54 7.4 %
საფრანგეთი	78	10.7 %	პორტუგალია	24 3.3 %
ირლანდია	13	1.8 %	სლოვენია	7 1.0 %
იტალია	78	10.7 %	სლოვაკეთი	14 2.0 %
კვიპროსი	6	0.8 %	ფინეთი	14 2.0 %
ლატვია	9	1.2 %	შვედეთი	19 2.6 %
			გაერთიანებული სამეფო	78 10.7 %

სულ: 732

წყარო: [http://europa.eu.int/institutions/parliament/index\\_en.htm](http://europa.eu.int/institutions/parliament/index_en.htm) (ბოლო ვიზიტი: 13.03.2008)

ამსტერდამის ხელშეკრულებამ<sup>56</sup> და შემდეგ ლისაბონის ხელშეკრულებამ ევროპარლამენტის ძალაუფლება კიდევ უფრო გაზარდა, რადგან მას ახლა აქვს

<sup>55</sup> Baylis J. და Smith Steve, (2001) The Globalisation of World Politics, Second Addition, Oxford University Pres, გვ 495

<sup>56</sup> ამსტერდამის ხელშეკრულება, რომელიც ევროკავშირის პოლიტიკური ლიდერების მიერ შეთანხმდა 1997 წლის 17 ივნისს და ხელი მოეწერა 2 ოქტომბერს, არის წევრი სახელმწიფოების მთავრობის წარმომადგენლებს შორის ორწლიანი მოლაპარაკებებისა და თანამშრომლობის

ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხზე გადაწყვეტილებათა მიღების უფლება მინისტრთა საბჭოსთან ერთად. ამ საკითხებზე პარლამენტს, როგორც მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიან პარტნიორს, აქვს საწყის კანონმდებლობებზე მოლაპარაკებების წარმოების უფლება.<sup>57</sup>

არსებობს სხვა დაწესებულებები, როგორცაა ევროსასამართლო, აუდიტორთა სასამართლო, ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროპის ცენტრალური ბანკი, ევრო ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი, რეგიონების კომიტეტი, კულტურისა და განათლების კომიტეტი, კონსტიტუციური საქმეების კომიტეტი.

მენგისტაემ და თეალმა (Mengistae T. and Teal F., 1998)<sup>58</sup> გამოიკვლიეს ვაჭრობის ლიბერალიზაცია, რეგიონული ინტეგრაცია და ფირმათა ფუნქციონირება აფრიკის ქვეყნების სამრეწველო სექტორში და დაადგინეს, რომ კონკურენციის გათვალისწინებით ინტეგრაცია არ არის სასურველი პატარა კომპანიებისათვის. ეს გამოკლევა ეწინააღმდეგება რეგიონული ინტეგრაციის შესახებ არსებულ საერთო მოსაზრებებს თუმცა მნიშვნელოვანია.

BSEC-ი როგორც რეგიონული გაერთიანება ნაკლებადაა გამოკვლეული რადგან ჯერ კიდევ მცირე დროა მისი შექმნის შემდეგ გასული. ნიკოლას დიმამ (Nikolas Dima 2003) ახსნა BSEC-ის მნიშვნელობა რეგიონის ქვეყნებისათვის. თურქეთმა BSEC-ის ჩამოყალიბება აღიქვა, როგორც ახალი ერა რეგიონული განვითარებისათვის. \რუსეთი, რომელიც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით უპირველეს დაზარალებულად ითვლებოდა ამ ახალი გარდაქმნების შედეგად რეგიონში, უხალისოდ შეხვდა აღნიშნულ მოვლენას, მაგრამ დათანხმდა იმ მიზეზით რომ თავს გარეთ დარჩენის უფლებას ვერ მისცემდა. ეკონომიკური თვალსაზრისით BSEC-ი უპირველესად მნიშვნელოვანია უკრაინის, რუმინეთის, ბულგარეთისა და საქართველოსათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ არის BSEC-ის წევრი, იგი ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა ამ რეგიონში. მან ხელი შეუწყო პროგრესს შავი ზღვის რეგიონში საბჭოთა მემკვიდრეობის

---

კულმინაცია. ის შევიდა ძალაში ევროკავშირის 15 წევრი სახელმწიფოს ხელის მოწერის შემდეგ არსებული კონსტიტუციური პროცედურების დაცვით.

<sup>57</sup>Andress Duff, Treaty of Amsterdam: Text and Commentary, (London, Federal Trust, 1997) გვ. 143-145

<sup>58</sup> Taye M. და Teal F. (1998), Trade Liberalisation, Regional Integration and Firm Performance in Africa's Manufacturing Sector, Centre for the Study of African Economies University of Oxford, Report to the European Commission.

ნეგატიური შედეგების ლიკვიდირებას და განვითარებისა და დემოკრატიის მხარდაჭერით იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მზად იყვნენ, მიეღოთ გამოწვევა ახალი რეგიონული ინტეგრაციის წარმოქმნის ინიციატივა გაამყარა. საქართველომ, უკრაინამ, აზერბაიჯანმა და მოლდოვამ აგრეთვე ჩამოაყალიბეს GUAM-ის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა) ჯგუფი, რომელიც აღქმულ იქნა, როგორც აშშ-ს მიერ შთაგონებული კავშირის ცდა და გამოიწვია რუსეთის გაღიზიანება. GUAM-ს არა აქვს შიდასამთავრობო ორგანიზაციების არცერთი ჩვეულებრივი ინსტიტუციური მახასიათებელი და დიდი მიღწევებითაც არ გამოირჩევა (Veremis T., 2006)<sup>59</sup>.

BSEC-ი ბლოკია თუ უსაფრთხოების ერთობა? ს. ჩელაჩი და პანაგიოლა მანოლო (Celac S. და Manoli P., 2006) თვლიან, რომ BSEC არ შეიძლება ჩაითვალოს “საბაჟო ბლოკად” ან “უსაფრთხოების ერთობად”. დასაწყისშივე BSEC მიიჩნეოდა რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით შექმნილ ორგანიზაციად, რომელიც უნდა დაფუძნებულიყო თავისუფალი, დამოუკიდებელი ქვეყნების მიერ მათი განვითარების დაჩქარებისა და ეკონომიკური გაძლიერების მიზნით საერთო პროგრესისა და კეთილდღეობისათვის. ამიტომაც BSEC-ის დოკუმენტები ხაზს უსვამენ ხელშეკრულებების იმ პუნქტებს, რომლებშიც წარმოდგენილია მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობების ორმხრივი სარგებლობის მახასიათებლები, რომელთა მიღწევა ჯერჯერობით ძალიან ძნელია რადგან მისი მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის დიდი განსხვავებაა და ზოგჯერ ინტერესებიც განსხვავებულია.

საქართველომ გამოიარა ღრმა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი. თუმცა, უმეტესი ქვეყნების მსგავსად, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებისათვის ცივი ომის შემდგომი პერიოდი განსაკუთრებულად მტკივნეული აღმოჩნდა. ეთნიკურ კონფლიქტებს, ლტოლვილების გაზრდილ რაოდენობასა და სიღარიბეს თან დაერთო ეკონომიკური სტაგნაციისა და კორუფციის წლები, რაც სავარაუდოდ 2003 წლის ნოემბერში დასრულდა ე.წ. ვარდების რევოლუციით და ქვეყნის მოსახლეობას ახალი იმედები მოუტანა. იმ პრობლემებს შორის, რომელიც ახალი მთავრობის წინაშე

---

<sup>59</sup> Thanos V., (2006), “The Involvement of the International Center for Black Sea Studies in the Union, Eastern Mediterranean and the Middle East, Southeast European and Black Sea Studies, Vol. 6, No. 2, გვ. 157–168.

დადგა, ყველაზე აქტუალური იყო სიღარიბე და ეკონომიკური განვითარება. პოსტ-რევოლუციურმა მთავრობამ მიაღწია წარმატებებს ისეთ სფეროებში, როგორცაა სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვნად გაზრდილი შემოსავლები, კორუფციასთან ბრძოლა და ეფექტური ურთიერთობების დამყარება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან. თუმცა მან დაუშვა შეცდომებიც ზოგადად დემოკრატიული სახელმწიფოს შენებაში და განსაკუთრებით ეკონომიკურ პოლიტიკაში. მისი გართულებული ურთიერთობები რუსეთთან და ამავდროულად რუსი ინვესტორების გაზრდილი რაოდენობა განსაკუთრებით დამაფიქრებელია. ქვეყნის პოლიტიკა უნდა იყოს კარგად აწყობილი, რათა დაიცვას დემოკრატია და ხელი შეუწყოს სამომავლო ეკონომიკურ ზრდას.

### **ეკონომიკური ინტეგრაციის ეტაპები**

საერთაშორისო ვაჭრობის და ინვესტიციის დონის გაზრდასთან ერთად ვითარდება ეკონომიკის ინტეგრაციის დონე მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის. ევოკავშირი შეიძლება განვიხილოთ როგორც ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი, რომელმაც ეკონომიკის ინტეგრაცია დაიწყო აუტრაკიკული ერთი. ეს მაგალითი კი დიდ იშვიათობას წარმოადგენს. არსებოს ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების გარკვეული ეტაპები, რომელიც იწყება ვაჭრობაში ბარიერების შემცირებით და შემდგომ მისი მთლიანად აღმოფხვრით და სრულდება ერთიანი ეკონომიკის კავშირის შექმნით. ქვემოთ განხილულია ყველა ეკონომიკური ინტეგრაციის ყველა ეტაპი.

### **თავისუფალი ვაჭრობის ურთიერთშეთანხმება**

ეკონომიკის ინტეგრაციის პირველი ეტაპს წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობის ან შეღავათიანი ვაჭრობის ურთიერთშეთანხმება. თავისუფალი ვაჭრობის ურთიერთშეთანხმება აღმოფხვრის იმპორტზე საბაჟო გადასახადის ტარიფს და აგრეთვე საბაჟო კვოტას ამ ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს შორის. ეს ურთიერთშეთანხმება შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ რამდენიმე სექტორს ან საერთაშორისო ვაჭრობის ყველა ასპექტს. თავისუფალი ვაჭრობის ურთიერთშეთანხმება ვაჭრობის დავის გადასაჭრელად არსებობს გარკვეული

სტრუქტურები. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ჩრდილო ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ურთიერთშეთანხმება.

ორმხრივი ვაჭრობის ლიბერალიზაციის გეგმის გარდა თავისუფალი ვაჭრობების ურთიერთშეთანხმება აწარმოებს გარკვეულ შეზღუდვებს წევრ ქვეყნებთან. აგრეთვე თავისუფალი ვაჭრობების ურთიერთშეთანხმება შესაძლოა მოიცავდეს ამ სფეროს გარკვეულ უზრუნველყოფას იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები განაცხადებენ თანხმობას. ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი შეათანხმება ან რაიმე გარკვეული წესდების ცოდნა არამედ საჭიროა სტანდარტების და ეკონომიკური ინტეგრაციის უნარი. არც თავისუფალი კაპიტალი და მუშა ხელი წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობის აუცილებლობას. ასევე, თავისუფალი ვაჭრობის ურთიერთშეთანხმების ქვეყნები ინარჩუნებენ თავისუფალი ვაჭრობას სხვა ქვეყნებთან, რომლების არ არიან ამ ხელშეკრულების წევრი ქვეყნები.

აგრეთვე, FTA-ს ფუნქციის შესასრულებლად საჭიროა მონაწილე ქვეყნებმა მიიღონ შესაბამისი ძირითადი წესები მესამე მხარისთვის, რომელიც შემოვა თავისუფალ ვაჭრობაში. ის საქონელი, რომელიც წარმოებულია თავისუფალი ვაჭრობის ტერიტორიაზე (და გავლენას ახდენს შეთანხმებაზე) საზღვრებს გადაკვეთს ბაჟის ტარიფის გადახდის გარეშე, მაგრამ ძირითადი წესების პირობები უნდა ამტკიცებდეს რომ საქონელი წარმოებულია იმ ქვეყანაში, რომელსაც ეს საქონელი შემოაქვს. ძირითადი წესების არასებობის შემთხვევაში, მესამე მხარის ქვეყნები, რომლებიც ცდილობენ FTA-სთან დაახლოებას, შეეცდებიან გამონახონ სხვა გზები - ის ქვეყნები სადაც საბაჟო ტარიფი იქნება შედარებით დაბალი – და ნაკლები საბაჟო ტარიფით შემოვიდნენ FTA-ს ქვეყნებში.

### **საბაჟო კავშირი**

საბაჟო კავშირი (CU) ეყრდნობა როგორც თავისუფალი ვაჭრობის სფეროს, ისე ვაჭრობის შიდა ბარიერების აღმოფხვრას, იგი მოუწოდებს მონაწილე მხარეებს საგარეო ვაჭრობის კურსის ჰარმონიზაციისკენ. (შეთანხმებისკენ). საგარეო ვაჭრობის კურსის ჰარმონიზაცია მოიცავს საერთო საგარეო ტარიფების დაარსებას



და იმ საქონელზე, რომელიც ქვეყანაში შემოდის მესამე ქვეყნიდან, გარკვეული წილის დაკისრებას და ასევე, შეძლებისამებრ, საერთო ვაჭრობის ანაზღაურების საშუალებას, როგორცაა გადაყრის წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიებები. საბაჟო კავშირმა ასევე შესაძლოა ხელი შეუშალოს ვაჭრობის ანაზღაურების მექანიზმს. საბაჟო კავშირის წევრები მოლაპარაკებებს აწარმოებენ ისეთ ორგანიზაციებთან, როგორცაა მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია (WTO). მთავარი წესების არსებობა არ წარმოადგენს აუცილებლობას იმ ქვეყნებში სადაც მოქმედებს საბაჟო კავშირი, რადგან ყველა ტვირთი რომელიც შედის საბაჟო კავშირის საზღვარზე ეკისრება ქვეყანაში არსებული ტარიფი.

ძირითადი წესების აღმოფხვრა მთავარი სარგებელია საბაჟო კავშირისთვის თავისუფალ ვაჭრობის სფეროში. ძირითადი წესების შესანარჩუნებლად საჭიროა FTA-ს წევრ ქვეყნების ვრცელი დოკუმენტაცია და ამ წესების საზღვრებზე მოქმედება. ეს ყოველივე კი დაკავშირებულია თანხებთან და შესაძლოა გამოწვიოს დავა ამ კანონების ახსნისას და ასევე უამრავი სხვა დაბრკოლება. CU უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ თანხის დანაზოგს და სარგებელს.

საბაჟო კავშირის სარგებლობის უზრუნველსაყოფად წევრმა ქვეყნებმა უნდა დათმონ გარკვეული თავისუფლება- როგორცაა დამოუკიდებელი ვაჭრობა. ვაჭრობის და ეკონომიკის შეფასების ზრდა, როგორც საგარეო პოლიტიკის საშუალება, იწვევს საბაჟო კავშირის მიერ დაკისრებულ შეზღუდვებს დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე.

### **საერთო ბაზარი**

საერთო ბაზარი წარმოადგენს განსაკუთრებულ ნაბიჯს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტეგრაციისკენ. საბაჟო კავშირის არსებული მდგომარეობის შენარჩუნებასთან ერთად, საერთო ბაზარი აუქმებს ყველანაირ ბარიერს ხალხის, კაპიტალისა და სხვა რესურსების მობილურობას მოცემულ რაიონში, და ასევე უტარიფო ბარიერებს ვაჭრობაში, როგორცაა ნორმატიულ-სამართლებლივი რეჟიმი ვაჭრობის სტანდარტებთან მიმართებაში.

საერთო ბაზრის შექმნა ჩვეულებრივ მოითხოვს მნიშვნელოვან პოლიტიკურ შეთანხმებას რიგ სფეროებში. მაგალითად, მუშა-ხელის თავისუფალი მიმოსვლა

საჭიროებს შეთანხმებას მომუშავეს კვალიფიცირებასა და სერტიფიკაციასთან. საერთო ბაზარი გაიგივებულია ფულადი და მონეტარული კურსის ურთიერთშეთანხმებასთან რომელიც განპირობებულია მზარდი ეკონომიკური დამოუკიდებლობით ამ რეგიონში და აგრეთვე იმ ზეგავლენით რომელიც ერთ ერთმა წევრმა ქვეყანამ შესაძლოა მოახდინოს სხვა წევრ ქვეყანაზე. ოველივე ეს განაპირობებს მკაცრ პირობებს წევრი ქვეყნებისთვის დამოუკიდებელი პოლიტიკის გასატარებლად.

საერთო ბაზარის შექმნის მთავარი უპირატესობა მდგომარეობს ეკონომიკური ეფექტურობაში. უზომო მობილურობით, მუშა-ხელით და კაპიტალით შესაძლებელია უფრო სწრაფი და ეფექტური რეაგირება ეკონომიკურ ცვლილებებზე და სიგნალებზე საერთო ბაზრის მეშვეობით, რის შედეგადაც მოხდება რესურსების უფრო ეფექტური გადანაწილება.

### **ეკონომიკური კავშირი**

ეკონომიკური ინტეგრაციის ყველაზე ღრმა ფორმა, ეკონომიკური კავშირი საერთო ბაზარს უქმნის რამოდენიმე პოლიტიკური სფეროს რეგულირების საჭიროებას. უპირველესყოვლისა ეკონომიკური კავშირი მოითხოვს კოორდინირებას ფინანსურ-ბიუჯეტოვან და ფულად-კრედიტულ პოლიტიკაში, მუშა-ხელის ბაზარზე, აგრეთვე რეგიონალურ განვითარებას, ტრანსპორტისა და ინდუსტრიული პოლიტიკის განხილვას. იმის გამო რომ ყველა ქვეყანა იყენებს საერთო ეკონომიკურ ტერიტორიას, ამ რაიონებში გამოიყენება კონტრპროდუქტიული განსხვავებული პოლიტიკა.

ეკონომიკური კავშირი ხშირად მოიცავს საერთო ვალუტისა და ფულად-კრედიტული პოლიტიკის გამოყენებას. ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოულოდნელობის ლიკვიდირება აუმჯობესებს ეკონომიკური კავშირის ფუნქციონირებას, რადგან ვაჭრობა მიმდინარეობს უფრო თავისუფლად, დამოუკიდებლად კურსის ცვლილებისა. იგივე შეიძლება ითქვას ადგილობრივ ბიზნეს გადაწყვეტილებებზე.

საჭირო იქნება სუპრანაციონალური კომიტეტები რომლებიც გააკონტოლებენ ვაჭრობას წესების ერთსახოვანი გამოყენებისთვის. ამ კანონების აღსრულება

მოხდება ნაციონალურ დონეზე, მაგრამ ქვეყნები უარს იტყვიან უშუალოდ ინდივიდუალურ კონტროლზე ამ სფეროში.

*ეკონომიკური ინტეგრაციის საფეხურების ძირითადი ელემენტები:*

თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება (FTA)

ნულოვანი ტარიფი წევრ ქვეყნებს შორის და გაუქმებული უტარიფო ბარიერები საბაჟო კავშირი (CU)

FTA +საერთო გარე ტარიფი

საერთო ბაზარი (CM)

CU + კაპიტალის და მუშა-ხელის თავისუფალი მიმოსვლა, ზოგიერთი პოლიტიკის რეგულირება

ეკონომიკური კავშირი (EU)

CM + საერთო ეკონომიკური პოლიტიკა და კომიტეტები

NAFTA-ს გააჩნია მკვეთრი ორგანიზაციული სტრუქტურა. მის ცენტრალურ ინსტრუმენტად ითვლება კომისია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელშიც შედიან შეთანხმების სამივე ქვეყნიდან ვაჭრობის მინისტრები. კომისია ზედამხედველობს შეთანხმების განხორციელებასა და მის თანდათან დახვეწა-შემუშავებას. მისი მოვალეობაა კამათების დარეგულირება, რომლებიც წარმოიშვება შეთანხმების ინტერპრეტაციისას. კომისია აგრეთვე თვალყურს ადევნებს 30-ზე მეტი კომიტეტისა და ნაფტას სამუშაო ჯგუფების საქმიანობას.

სამივე ქვეყნის მინისტრები შეთანხმდნენ იმის თაობაზე რომ კომისია თავის საქმიანობაში ხელს შეუწყობდა NAFTA-ს კოორდინირებულ სამდივნოს (NCS), რომლის შექმნაც იგიგებოდა 1997 წლის ბოლოს მექსიკა სიტიში. სეკრეტარიატის მთავარი საქმიანობაა ემსახუროს ნაფტას მუშაობის ოფიციალურ არქივს და შეასრულოს კომისიისათვის სამეურნეო სეკრეტარიატის როლი.

ცხოვრების დონის ეფექტურად უზრუნველყოფისათვის ნაფტაში შეიქმნა 30-ზე მეტი სამუშაო ჯგუფი და კომიტეტი. ის ძირითადი სფეროები რომლებშიც მიმდინარეობს ნორმების შექმნაზე მუშაობა თავად შეიცავენ საქონლის წარმოებას, სასოფლო სამეურნეო საქონლით ვაჭრობასა და სუბსიდიებს ეკონომიკის ამ სფეროში და სხვ. ეს სამუშაო ჯგუფები და კომიტეტები ყოველწლიურად წარუდგენენ ანგარიშს მიმდინარე მოვლენების შესახებ ნაფტას კომისიას.

ნაფტას სამუშაო ჯგუფები და კომიტეტები ეგრეთვე უზრუნველყოფენ გარკვეული ფორუმის შექმნას იმისათვის რომ შესწავლილ იქნას ვაჭრობის სამომავლო ლიბერალიზაციის მეთოდები წევრ ქვეყნებს შორის, აგრეთვე ისინი ქმნიან არენას საკამათო საკითხების განხილვისათვის, რათა მათ არ მისცენ შემდგომში გამწვავების საშუალება.

NAFTA-ს ჩარჩოებში დადგენილი დავების გადაწყვეტის ინსტრუმენტები შედგება სამი საფეხურისგან:

- ტარდება მოლაპარაკებები მხარეთა შორის იმისთვის, რომ დავების გადაწყვეტის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება მიღებულ იქნას;
- თუ პირველი რაუნდის განმავლობაში ვერ ხერხდება შეთანხმების მიღწევა, მაშინ საქმე განსახილველად კომისიაში გადადის;
- თუ კომისიას არ შეუძლია გადაწყვიტოს საქმე, მაშინ იგი გადადის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჯგუფის განხილვაში, რომელიც შედგება ხუთი წევრისგან და იძლევა გარანტიას იმისა რომ საკამათო საკითხები სამართლიანად გადაწყდება.

დღესდღეობით ვაჭრობის უმეტესი ნაწილი, რომელიც წარმოებს ჩრდილოეთ ამერიკაში ხორციელდება ნაფტას მკაფიოდ და ნათლად დადგენილი ნორმების შესაბამისად. თუმცა მიუხედავად ყველაფრისა ასეთი უზარმაზარი მასშტაბის ვაჭრობის სფეროში აუცილებლად წარმოიშობა საკამათო საკითხები. ასეთ სიტუაციებში ნაფტა ყოველთვის მხარს უჭერს მთავრობებს შორის მეგობრულ შეთანხმებას, რომელთა ინტერესებსაც იცავენ კომიტეტები, სამუშაო ჯგუფები და ან საკონსულტაციო ორგანოები. იმ შემთხვევაში თუ ორმხრივი შეთანხმება არ იქნება მიღწეული ნაფტა მიმართავს პრობლემის სწრაფ და ეფექტურ განხილვას ექსპერტთა ჯგუფების მეშვეობით.

NAFTA-ს შეთანხმება შეიცავს გრანდიოზულ გეგმას ტარიფების განადგურებასა და არასატარიფო ბარიერების შემცირებას თავისუფალი ვაჭრობის ზონაში ბიზნესის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. ის თავისთავში მოიცავს ინვესტიციების, მამსახურების, ინტელექტუალური საკუთრების, დასაქმებული ადამიანების გადაადგილებას საზღვრებს გარეთ და რა თქმა უნდა კონკურენციის წესებს.

დღესდღეობით NAFTA-ს მიზნებს შეადგენს:

ბარიერების მოხსნა ვაჭრობაზე და სტიმულირება საქონლის მოძრაობისა და მომსახურებისა შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს შორის;

- შექმნა და მხარდაჭერა სამართლიანი კონკურენციის შესახებ შეთანხმებისა თავისუფალი ვაჭრობის ზონაში;
- ინვესტიციების მოზიდვა და ამ მხრივ შესაძლებლობების მნიშვნელოვანი გადაჭარბება შეთანხმების წევრ ქვეყნებში;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აუცილებელი და ეფექტური დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფა თითოეულ ქვეყანაში;
- მოცემული შეთანხმების ეფექტური მიღება და შესრულება ადგილობრივი კამათების რეგულირებისათვის;
- მომავალი სამქვეყნიანი, რეგიონალური და საერთაშორისო კოოპერაციის ბაზის შექმნა და საზღვრების დაწესება შეთანხმების გაფართოების გაუმჯობესებისა და გაძლიერების მიზნით.

ნაფტამ გაითვალისწინა სატარიფო ბარიერების მოშორების პროგრამა, რომელშიც შედის ოთხი ეტაპი. პირველ ეტაპზე სატარიფო საზღვრების ნაწილი უნდა გაუქმებულიყო დაუყოვნებლივ შეთანხმების ხელმოწერისთანავე, მეორე ეტაპზე - 5 წლის განმავლობაში, მესამე ეტაპზე - 10 წლის განმავლობაში, ხოლო ბოლო ეტაპზე კი - 15 წლის განმავლობაში.

შეტანხმების პრაქტიკული რეალიზაციისათვის როგორც უკვე აღვნიშნეთ შექმნილ იქნა ნაფტას ინსტიტუციონალური სტრუქტურა. ნაფტას ცენტრალურ ინსტიტუტს წარმოადგენდა თავისუფალი ვაჭრობის კომისია ვაჭრობის მინისტრების დონეზე, რომელსაც უნდა ედევნებინა თვალყური შეთანხმების შესრულებისათვის და აღმოეჩინა ხელშეწყობა კამათების გადაჭრისათვის, რომლებიც წარმოშობილ იქნებოდნენ მისი ინტერპრეტაციისას.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაფტას საზღვრებში ამერიკამ, კანადამ და მექსიკამ შეინარჩუნეს თავიანთი სავაჭრო კანონმდებლობა

პირველ ეტაპზე ამერიკამ დაუყოვნებლივ მოაშორა 84% ტარიფები მექსიკურ ექსპორტზე, გამოკლებით «ნავთობის ექსპორტი» და 79% კანადური ექსპორტზე. თავის მხრივ, მექსიკა ვალდებული იყო ლიკვიდირება მოეხდინა სატარიფო

საზღვრების 43%-ისა ამერიკულ საქონელზე და 41% - კანადურ საქონელზე, რომელთაგანაც 80%-ს წარმოადგენს ძირითადი კაპიტალი (მანქანა-მოწყობილობები, ელექტრონული დეტალები, სატრანსპორტო საშუალებები) და ქიმიური საქონელი. მეორე ეტაპზე 1999 წ. ამერიკამ და კანადამ ლიკვიდირება მოახდინეს ტარიფებისა თითქმის 1200 სახის საქონელზე(მასში შედიოდა ავტომობილური პროდუქცია და ტექსტილური პროდუქცია), რომლებიც 1991 წელს შეადგენდნენ 80% მექსიკური «ნავთობის ექსპორტი» -ისაა. მექსიკამაც თავის მხრივ მოაშორა ტარიფები(საზღვრები) თითქმის 2500 სახის საქონელზე, რომელთათვისაც ამერიკასა და კანადაში ექსპორტი შეადგენს შესაბამისად 18% და 19%ს.

მესამე ეტაპზე, რომელიც დასრულდა 2004 წელს, ამერიკამ და კანადამ მოხსნეს სატარიფო ბარიერები 12 და 7 %-ზე მექსიკურ «ნავთობის ექსპორტზე », ამავდროულად მექსიკამ მოხსნა ტარიფები 48%ზე ამერიკულ და კანადურ ექსპორტზე.

მეოთხე ეტაპზე, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ყოველი ამ სამი ქვეყნიდან აუქმებს დარჩენილ სატარიფო შეზღუდვებს იმპორტზე განსაკუთრებით "მგრძნობიარე" საქონელზე (ხორბალი, ფქვილის რძე, ფასოლი(ლობიო) მექსიკისათვის; რძის ნაწარმები და ფრინველი კანადისათვის; ხილი და ბოსტნეული ამერიკისათვის). გადასახადები ზემოთ ჩამოთვლილ საქონელზე გათვალისწინებულია რომ გაუქმდეს მთლიანად 2010 წლისათვის.

მექსიკის ხელისუფლების შეხედულებით, ტარიფის საზღვრების მოშორება ვაჭრობაზე მოცემული სქემით ხელს შეუწყობს მყარი სამეწარმეო კლიმატის შექმნას მექსიკური მწარმოებლებისათვის და რეგიონული ინვესტიციური გადაწყვეტილებების მიღებას. გარდა ამისა მექსიკას გამოუჩნდა შესაძლებლობა ეკონომიკის მოდერნიზაციისა და მისი ადაპტაციისა მეურნეობის ახალ პირობებთან.

აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ აგრეთვე არასატარიფო საზღვრების მოშორების საჭიროებას, რომლებიც ართულებენ საქონლის თავისუფალ მოძრაობას ქვეყნებს შორის. ნაფტას შეთანხმების თანახმად «თუ ესა არ არის გათვალისწინებული შეთანხმების მიერ, არცერთ ქვეყანას არ შეუძია მოითხოვოს საზღვრები ნებისმიერი საქონლის იმპორტზე სხვა ქვეყნიდან ან ნებისმიერი

საქონლის ექსპორტზე სხვა ქვეყანაში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია სტატიებში XI (გატტ)GATT».

NAFTA-ს ჩარჩოებში განსაზღვრულია საერთო წესები საქონლის მწარმოებელი ქვეყნის დასადგენად. ამ წესების მიხედვით საქონელი ჩაითვლება წარმოებულად მოცემულ რეგიონში, თუ ის მნიშვნელოვნად გადამუშავდა სხვადასხვა მეთოდებით, სამი ქვეყნიდან ერთ-ერთ-ში. გამომდინარე მეთოდიდან ჩრდილო ამერიკული კომპონენტის წილი საქონლის ღირებულება უნდა შეადგენდეს არაუმცირეს 50-60 %-ს. საქონლის მწარმოებელი ქვეყნის განსაზღვრისას განსაკუთრებული წესები გამოიყენება წარმოების სხვადასხვა პროდუქციისთვის: კომპიუტერების, ავტომობილებისა და მოსართავები.

NAFTA-ს ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მიუხედავად მისი შექმნის ძირითადი მიზნისა – ქვეყნებს შორის ვაჭრობის სრული ლიბერალიზაცია, ის უშვებს ზოგიერთ გამონაკლისს. მოლაპარაკებისას მხარეები მოითხოვდნენ ნაფტა-დან რიგი დარგების ამოღებას: კანადის მხრიდან – კულტურას, ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან – საზღვაო გადაზიდვები, მექსიკის მხრიდან კი – ნავთობწარმოებას. მექსიკისთვის ნავთობის წარმოება წარმოადგენს სტრატეგიულ დარგს. სახელმწიფოს აქვს განსაკუთრებული უფლება მოცემულ დარგში ინვესტიციისა და გააჩნია მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა მასში სახელმწიფო კომპანიის სახით, რომლის სახელია რემექსი (REMEX). ამერიკის შეერთებული შტატები მიისწრაფოდა მიეღო უფლება კაპიტალ დაბანდებისა, მექსიკური ნავთობ წარმოების სხვადასხვა სექტორში. მექსიკის სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა მაინც შესძლეს შეენახათ ძირითადი შეზღუდვები კაპიტალ დაბანდებისა ნავთობ წარმოებაში.

NAFTA-ს შეთანხმების ფარგლებში განიხილებოდა სხვადასხვა საკითხები, ისეთები როგორც არის მომსახურეობით ვაჭრობები, ინვესტიციების მიმოსვლა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებადა ა.შ.

მრავალი წლის მანძილზე აშშ-სა, კანადასა და მექსიკას შორის სადავო საკითხად რჩებოდა ინვესტიციების საკითხი. რაც შეეხება აშშ-სა და მექსიკას, დავები ეროვნული წარმოებებსა და უცხოურ ინვესტიციებზე დატოვა ერთგვარი არა ნდობის ფაქტორი. თუმცა, საბოლოო ჯამში, პრობლემის მოგვარებით მექსიკის

მთავრობამ გაანალიზა, რომ უცხოური კაპიტალი ქვეყნისთვის სასიცოცხლო როლს თამაშობდა.

NAFTA-ს თანახმად ჩრდილოეთ ამერიკული რეგიონის ინვესტორებისთვის სამივე წევრ ქვეყანაში წესდება არადისკრიმინაციური რეჟიმი, იმისთვის რომ შესაძლებელი იყოს ინვესტორების მხრიდან ახალი საწარმოების შექმნა, კომპანიების დაფუძნება და შექმნა, მათი გაფართოება და მართვა.

ევროკავშირისგან განსხვავებით NAFTA-ს მიზნად არ ჰქონდა დასახული სახელმწიფოთაშორისი ადმინისტრაციული ორგანოები შექმნა და აგრეთვე ის კანონები, რომლებიც გამართავდნენ ამ სისტემას. NAFTA არის მხოლოდ საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმება საერთაშორისო კანონმდებლობის ჩარჩოებში.

თუ გავანალიზებთ ამ შეთანხმების ძირითად არსს და შევადარებთ ევროკავშირს, გავიგებთ, რომ მისი მთავარი მიზანი არ არის მხოლოდ სასაზღვრო ბარიერების მოხსნა მონაწილე ქვეყნებს შორის. NAFTA-ს ფარგლებში ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება ყველანაირი სასაზღვრო გადასახადის ლიკვიდაცია, ასევე იხსნება საექსპორტო და საიმპორტო შეზღუდვების უმეტესობა. თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა იქმნება არა მხოლოდ საქონლისათვის, არამედ მომსახურებისთვისაც, კაპიტალისთვის, პროფესიონალურად მომზადებული სამუშაო ძალისთვის და ა.შ. შეთანხმების მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ იმ აუცილებელ საშუალებებზე და მოქმედებებზე, რომელიც დაიცავდა ინტელექტუალურ საკუთრებას, ჰარმონიზაციას გაუწევდა ტექნიკურ სტანდარტებს, სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ნორმებს. დოკუმენტი შეიცავს აუცილებელ მოთხოვნებს მხარეებისათვის, იმ მექანიზმების შესაქმნელად, რომელიც გადაწყვეტდა დავებს (ანტიდემპინგი, სუბსიდია და ა.შ.), რომლებიც ორგანიზაციის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე აუცილებლად გაჩნდებოდა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის რომ, შეთანხმებაში არ არის განსაზღვრული პრობლემების გადაწყვეტის გზები. ეს პრობლემები ეხება ძირითადად სოციალურ სფეროს, ისეთი როგორცაა მაგალითად უმუშევრობა, განათლება, კულტურა და ა.შ.

მნიშვნელოვანია იმის განსჯა, თუ სამი ქვეყნიდან თითოეული რას მოელოდა აღნიშნული შეთანხმებიდან ანუ რა იყო მიზანი თითოეული მონაწილე მხარისა. ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ეს უნდა ყოფილიყო ვაჭრობა და საგარეო



პოლიტიკა. GATT-ის დაარსებიდან (1947 წ.) ადრეულ 1980-იან წლებამდე ამერიკის შეერთებული შტატები მომხრე იყო მრავალმხრივი ვაჭრობის რეჟიმისა. აშშ-ს სურდა მიეღო სარგებელი თავისი კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის პროდუქციიდან, მაღალტექნოლოგიური სერვისებიდან, მაგრამ მცდელობებს, რომ ლიბერალიზაცია მომხდარიყო აღნიშნულ სექტორებში ჰქონდა უმნიშვნელო წარმატებები. ამერიკის მაშინდელი დროის სავაჭრო წარმომადგენელმა – ვილიამ ბროკმა გადაწყვიტა, რომ აღნიშნულ სფეროში წარმატების მისაღწევად საჭირო იყო ორმხრივი და მრავალმხრივი რეგიონალური შეთანხმების გაფორმება. ამ იდეით მან პირველად მიმართა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, მაგრამ მხოლოდ ისრაელი აღმოჩნდა შეთავაზების მომხრე. ამის შემდეგ იგი მოუბრუნდა ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებს. კანადა, მიუხედავად შიდა წინააღმდეგობისა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თანხმობით შეხვდა შემოთავაზებას თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესახებ, მაგრამ მექსიკამ უარჰყო იგი, მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ გადაწყვიტა მექსიკის მთავრობამ, რომ აღნიშნულ შეთავაზებაზე დათანხმება თავისივე ქვეყნის ინტერესებში შედიოდა. აშშ-ს გადმოსახედიდან თუ განვსჯით ეს იყო მნიშვნელოვანი წარმატება მრავალმხრივი ვაჭრობის სისტემისთვის. აშშ-სა და კანადას შორის აღნიშნული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ გაფორმებული შეთანხმების მეტად საკამათო საკითხი აღმოჩნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. საპრეზიდენტო კანდიდატი როს პეროტი წინასწარმეტყველებდა მასიურ უმუშევრობას და დაბალ ხელფასებს NAFTA -დან გამომდინარე. მაგრამ იმ წლების განმავლობაში, როდესაც NAFTA ამოქმედდა აშშ-ს ეკონომიკამ განიცადა აყვავების ფაზა, შეიქმნა მილიონობით სამუშაო ადგილები და დაეცა უმუშევრობის მაჩვენებლები.

კანადის უპირველესი მიზანი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებით აშშ-სთან იყო, რომ უზრუნველყო იმ ბაზრის დაცვა, რომელიც შეადგენდა თავისი საგარეო ვაჭრობის 3/4-ს. 80-იანი წლების განმავლობაში მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის კომბინაციით ინტერესის მაჩვენებელმა აშშ-ში მიაღწია უპრეცედენტო დონეს, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა აშშ-ს დოლარი. რაც შეეხება კანადას ის არ აღმოჩნდა წარმატებული სავაჭრო კანონმდებლობის ჰარმონიზაციაში. ამის მიუხედავად, ხელშეკრულების მექანიზმმა

კანადის ბაზარზე დადებითი შედეგი იქონია, კანადის მეორე მიზანი თავისუფალი ხელშეკრულების გაფორმების იყო კანადის ინდუსტრიის რაციონალიზაცია. ზოგიერთი ეს ინდუსტრიები დაცული იყო მაღალი სავაჭრო ბარიერებით და მოცული იყო კანადის ბაზრის გეოგრაფიული ფრაგმენტებით და აქედან გამომდინარე ვერ ხდებოდა მისი რეალიზაცია. ამერიკის შეერთებულ შტატებთან გაზრდილმა ვაჭრობამ გამოიწვია ასეთი ინდუსტრიების შეჯიბრებითობის უნარზე აყვანა. მას შემდეგ რაც აშშ-სა და კანადას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება შევიდა ძალაში კანადა უფრო მეტად აღმოჩნდა დამოკიდებული საერთაშორისო ვაჭრობაზე და განსაკუთრებით ვაჭრობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

მექსიკის მთავარი მოთხოვნა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებთან წარმოადგენდა მცდელობას, რომ მოეზიდათ უცხოელი ინვესტორები. როგორც განვითარებად ქვეყანას მექსიკა საჭიროებდა ორივეს: კაპიტალსა და ტექნოლოგიებს, რომელიც უნდა მიღებულიყო გაზრდილი უცხოური ინვესტიციებიდან. ასევე მექსიკისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო გაცილებით გაუმჯობესებული და უფრო უსაფრთხო შესვლა ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე, მაგრამ ძირითადად თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება მოიცავდა უფრო მეტ წილად ინვესტიციების განხორციელებას, ვიდრე ვაჭრობას.

## *1.2. ევროპის საბაჟო კავშირის პოლიტიკა*

საბაჟო კავშირი არის ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი. საბაჟო კავშირის განხილვა დაიწყო რომის ხელშეკრულების შემდეგ და გაგრძელდა 1968 წლამდე. ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ საბაჟო კავშირის ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებები შემდეგნაირად: წევრ სახელმწიფოებს შორის ყველანაირი საბაჟო მოვალეობებისა და შეზღუდვების გაუქმება; საერთო საბაჟო ტარიფის CCT (Common Customs Tariff) შემოღება, რომელიც გამოყენებული იქნება

ევროგაერთიანებაში მესამე ქვეყნის პროდუქციაზე; საერთო კომერციული პოლიტიკის შექმნა საბაჟო კავშირის გარე სივრცისათვის.

საერთო პროცედურები და წესები იქნა შემოღებული საერთო ადმინისტრაციულ დოკუმენტთან SAD (Single Administrative Document) ერთად, რომელიც მიზნად ისახავდა ადრე გამოყენებული სხვადასხვა დოკუმენტების ჩანაცვლებას. საერთო ბაზრის ძალაში შესვლით 1993 წელს, ყველა შემაფერხებელი კონტროლი შიდა საზღვრებზე გაუქმდა. ასე რომ, წევრი სახელმწიფოების საბაჟო სამსახურებმა დაკარგეს თავისი ფუნქციები სააქციზო მოვალეობების, დღგ-სა და სტატისტიკური მონაცემების შეგროვების სფეროში.

გაერთიანება იღებდა სპეციალურ შეთანხმებებს ვაჭრობის გასამარტივებლად, მაგალითად, ევროპის ეკონომიკურ სივრცესთან EEA (European Economic Area) დადებული შეთანხმება და განვითარების წასახალისებლად ევროპულ ბაზრებზე შეღავათიანი შეღწევის მიღებით. Omé konvencia, რომელსაც ხელი მოაწერეს აფრიკის, კარიბისა და ოკეანეთის ქვეყნებმა ACP (African, Caribbean and Pacific countries) ეკონომიკური და საფინანსო კავშირი

ეკონომიკური და საფინანსო კავშირი EMU (Economic and monetary union) არის სახელი კავშირის წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური და ფულადი პოლიტიკის შეთანხმების პროცესისა საერთო ვალუტის, ევროს შემოღების საშუალებით. ეს იყო ერთ-ერთი საკითხი ორი შიდა სამთავრობო კონფერენციებისა IGCs (Intergovernmental Conferences), რომლებმაც დაასრულეს დებატები მასტრიხტში 1991 წლის დეკემბერში.

ხელშეკრულება ითვალისწინებდა, რომ ეკონომიკური და საფინანსო კავშირი უნდა მიღწეულიყო სამ ეტაპად:

პირველი ეტაპი (1990 წლის 1 ივლისიდან 1993 წლის 31 დეკემბრამდე): წევრ სახელმწიფოებს შორის კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა, ეკონომიკური პოლიტიკის მჭიდრო კოორდინირება და ცენტრალურ ბანკებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა;

მეორე ეტაპი (1994 წლის 1 იანვრიდან 1998 წლის 31 დეკემბრამდე): წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური და საფინანსო პოლიტიკების შეერთება (ფასებისა და საზოგადოებრივი ფინანსების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად) და ევროპის

საფინანსო ინსტიტუტის EMI (European Monetary Institute) და 1998 წელს ევროპის ცენტრალური ბანკის ECB (European Central Bank) შექმნა;

მესამე ეტაპი (1999 წლის 1 იანვრიდან): გაცვლითი კურსის უცვლელად გამაგრება, სავალუტო ბაზრისა და ელექტრონული გადასახდებებისთვის საერთო ვალუტის შემოღება, რასაც 2002 წლის 1 იანვარს მოჰყვა ევროს გამოჩენა. ევროკავშირის განვითარების ტენდენციათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რადგან ისინი უშუალოდ ზემოქმედებენ თურქული ექსპორტის სტიმულირებასა და გაფართოებაზე შემდეგი მიმართულებები:

### **საბაჟო პოლიტიკა**

გაერთიანებას აქვს განსაკუთრებული ვალდებულება საერთო კომერციული პოლიტიკისთვის (EC ხელშეკრულების 133-ე მუხლი). ამ პოლიტიკის მიხედვით, საბაჟო კავშირი შეიქმნა გაერთიანების წევრ სახელმწიფოებს შორის, ტარიფის კურსში ცვლილებების რეგულირების, არა წევრ ქვეყნებთან ტარიფისა და საბაჟო შეთანხმებების დასკვნების, იმპორტისა და ექსპორტის პოლიტიკისა და სხვა ერთგვარი პრინციპებით. გადაწყვეტილებები მიიღება კვალიფიციური უმრავლესობის მიერ საბჭოში.

### **სატრანსპორტო პოლიტიკა**

ეს არის ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიკური შემადგენელი, იმისათვის რომ მიაღწიოს წარმატებას საერთო ბაზარზე და უზრუნველყოს მოქალაქეებისა და პროდუქციის თავისუფალი მოძრაობა. საერთო სატრანსპორტო პოლიტიკის ფორმირება ნელა მიმდინარეობდა. პირველი ცხადი მნიშვნელობის მოქმე მიღწევები მხოლოდ 1985 წლის შემდეგ გამოჩნდა. ამის მიზეზს რამდენიმე ფაქტორი წარმოადგენდა. მაგალითად, ფართოდ განსხვავებული სამრეწველო სტრუქტურები წევრ ქვეყნებსა და ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობებს შორის; სახელმწიფო მონოპოლიების არსებობა; ტრადიციული საბაზრო სტრუქტურები; უთანასწორო გადასახადი; მნიშვნელოვნად განსხვავებული, ხშირად შეუთავსებელი ტექნიკური წესები; ძლიერი დაინტერესებული ჯგუფები, რომლებიც გამოწვევებისა და შესაძლებლობების გასაზრდელად უპირატესობას სტატუს-ქვოს ანიჭებენ.

## საერთო აგრარული პოლიტიკა

აგრარული სექტორი არის ევროკავშირის დავის საგანი ინტეგრაციის მიღწევის დასაწყისიდან. სხვა სექტორებთან შედარებით, როგორცაა მრეწველობა, იგი განსხვავებულად არის გათვალისწინებული. სამრეწველო სექტორში შიდა შეღწევადობის უმეტესობა დაფუძნებული იყო შიდა ბაზრის ტარიფებზე, მცირე პირდაპირი მანიპულირებით. თუმცა აგრარულ დაცვაზე ზრუნვისას სიტუაცია სავსებით განსხვავებული იყო. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ჰქონდათ საკმაოდ მაღალი შეღწევადობა თავიანთ შიდა აგრარულ ბაზრებზე სასაზღვრო დაცვასთან ერთად. ისინი იცავდნენ აგრარულ სექტორს ფასების დაწვევითა და სტაბილურობის დაცვით. რომის ხელშეკრულებაში ხაზგასმულია სოფლის მეურნეობის სპეციფიკური ბუნება, გამოკვეთილია საერთო აგრარული ბაზრის საჭიროება (მუხლი 38) და საერთო აგრარული პოლიტიკის აუცილებლობა (მუხლი 39).<sup>60</sup>

CAP (Common Agricultural Policy) შეიქმნა 1960-იან წლებში. მისი მიზანი იყო ევროპის საკვებით მომარაგების უზრუნველყოფა და ფასების სტაბილურობა როგორც მწარმოებლების ასევე მომხმარებლების სასარგებლოდ. 1950-იან წლებში საკვები პროდუქტები იყო მწირი და ძვირი, არჩევანი და ხარისხი იყო დაბალი. ევროკავშირმა გამოიყენა საერთო აგრარული პოლიტიკა, რომ დახმარებოდა ფერმერებს წარმოებაში და დაეცვა ფასები. ამ გზით „მსოფლიო ბაზარზე“ საკვების პროდუქტების ფასებში არსებული არასტაბილურობა აღმოიფხვრა საკვების იმპორტზე ტარიფების, ექსპორტის ანაზღაურებისა და საბაზრო მენეჯმენტის გაერთიანებით.

2003 წლის ივნისში ევროკავშირმა მიიღო ახალი კანონი საერთო აგრარული პოლიტიკისათვის. ევროკავშირის მინისტრები შეთანხმდნენ, გაეტარებინათ რადიკალური ცვლილებები საერთო აგრარულ პოლიტიკაში. ახალი პოლიტიკა ამოქმედდა 2005 წელს. ეს პოლიტიკა ითვალისწინებდა ორ მნიშვნელოვან საკითხს:

- მსხვილფეხა საქონლისა და ცხვრის მოშენებაში ჩართული და მარცვლეულის მწარმოებელი ფერმერები მიიღებენ წლიურ დახმარებას, რომელსაც ისინი გადაიხდიან სამი წლის პერიოდში 2000-2002 წლებში. ირლანდიელი ფერმერების შემთხვევაში ეს დახმარება იქნება მთლიანად გამომდინარე წარმოებიდან.

<sup>60</sup> Akder et al. (1990), Paalberg (1993) are used to describe Common Agricultural Policy.

დანარჩენ რეგიონებში ფერმერები არ იქნებიან ვალდებული შეინახონ ცხოველები ან მოიყვანონ მარცვლეული, რათა შესაბამისი დახმარება მიიღონ.

- ქვოტური სისტემა მსხვილფეხა საქონელზე, ცხვრისა და მიწის დამუშავებაზე გაუქმდება. რძის კვოტური სისტემა შენარჩუნდება. ევროკავშირის დაცვის სტრუქტურით რძის წარმოება შემცირდება და ფერმერებს გადაუხდებიან პირდაპირ „კომპენსაციას“ შემცირების პროცესის დასახმარებლად.<sup>61</sup>

### საზღვრების დარღვევა

რადგან ქვეყნებს შეუძლიათ თავისუფალი მოლაპარაკება ეკონომიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებსაც ისინი თვლიან საჭიროდ, პრაქტიკაში ფორმალური შეთანხმებები იშვიათად იცავს ზემოთ განხილულ ოთხივე საფეხურს. ამან შეიძლება გამოიწვიოს გაურკვეველობა ტერმინოლოგიაში და ასევე გაურკვეველობა სახელმწიფო ეკონომიკურ ინტეგრაციაში მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში. კანადის შემთხვევაში, ქვეყანა არის თავისუფალი ვაჭრობის ზონა შეერთებულ შტატებსა და მექსიკას შორის. თუმცა, ჩრდილო-ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ასევე შეიცავს შეთავაზებებს, რომლებიც ნაწილობრივ გაანთავისუფლებს კაპიტალისა და მუშახელის მიმოსვლას რეგიონში – საერთო ბაზრის ნაწილს. კანადამ აგრეთვე წარსულში სცადა შეემცირებინა სავაჭრო ზომების გამოყენება მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ჩრდილოეთ ამერიკაში. თუმცა ეს მიუთითებს სურვილზე განავითაროს ჩრდილო-ამერიკის ინტეგრაცია, ხოლო შემდეგი ნაბიჯი – საბაჟო კავშირი – ამჟამად არ წარმოადგენს პოლიტიკურ პრიორიტეტს.

### ევროკომისია

კომისია დამოუკიდებელია ნაციონალური მთავრობებისგან. მისი საქმეა რომ წარმოადგინოს და მხარი დაუჭიროს ევრო გაერთიანების ინტერესებს მთლიანობაში. ის აპროექტებს წინადადებებს ახალი ევროპული კანონების შესახებ, რომლებსაც იგი წარუდგენს ხოლმე ევრო პარლამენტს და საბჭოს .

კომისიის წევრების რაოდენობა განსხვავებულია ქვეყნების ზომის მიხედვით. დიდი ქვეყნებიდან არის 2 წევრი და ერთი სხვა ქვეყნებიდან. კომისიაში არის სხვადასხვა დეპარტამენტები რომლებიც კოორდინირებენ პოლიტიკას,

<sup>61</sup> <http://www.teagasc.ie/agrifood/cap.htm> (ბოლო ვიზიტი: 13.04.2008)

ანხორციელებენ გადაწყვეტილებებს, ნერგავენ ცხოვრებაში ინსტრუქციებს და ანხორციელებენ მართვას. გადაწყვეტილებები მიღებული კომისიის მიერ იხილება მინისტრთა საბჭოში რათა იქნეს დამტკიცებული.

კომისია განსხვავდება სხვა ინსტიტუტებისგან ევროკავშირის სისტემაში მისი "ინიციატივების ძალით". ეს ნიშნავს რომ მხოლოდ კომისიას აქვს უფლება ინიციატივებისა სფეროებში, ცნობილი როგორც "პირველი ბოძი" (კატეგორია რომელიც შეიცავს პოლიტიკის უმეტეს მხარეებს). თუმცა, ევროკავშირის საბჭოს და ევრო პარლამენტს, ორივეს შეუძლიათ ფორმალურად ითხოვონ, რომ კომისიამ გამოსცეს კანონები სპეციფიურ თემაზე. სფეროებში რომლებიც არიან საზღვრებში "მეორე ბოძისა" (საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა) და "მესამე ბოძისა" (კრიმინალური კანონი), კომისია ანაწილებს უფლებას კანონების ინიცირებისა წევრ სახელმწიფოებთან.

### **ევროსაბჭო**

ევროსაბჭო ევროკავშირის მთავარი საკანონმდებლო ინსტიტუტია. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ევროსაბჭო განიხილავს კომისიის წინადადებებს და იგებს საბოლოო გადაწყვეტილებებს თუ როგორ იმოქმედოს შემდგომ. ევროსაბჭოში წარმოდგენილია ერთი მინისტრი თითო ქვეყნიდან, რომელიც ახორციელებს თავის ვალდებულებას მუდმივი კომიტეტის წინაშე. ინსტრუქციები ესწრებიან შეხვედრებს სადაც განიხილება ვაჭრობის, საგარეო ურთიერთობის, მეურნეობის და ფინანსური საკითხები. ევროკავშირში სხდომები მიმდინარეობს ინგლისურად, ფრანგულად და გერმანულად.

მაატრიხის ხელშეკრულების 202 მუხლის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებზე დაყრდნობით ევროსაბჭო ვალდებულია:

- უზრუნველყოს წევრ ქვეყნებს შორის საერთო ეკონომიკური კურსის კოორდინირება
- ქონდეს გადაწყვეტილებების მიღების უფლება
- მიაწოდოს კომისიას საბჭოს მიერ წარდგენილი წესების განხორციელების უფლება. ევროსაბჭომ ასევე შესაძლოა წამოაყენოს გარკვეული მოთხოვნები ან შეინარჩუნოს უფლებები, განსაკუთრებულ შემთხვევებში, საკუთარი

ძალის გამოსავლენად. ყველა ზემოხსენებული მოქმედება უნდა ეთანხმებოდეს საბჭოს მიერ წამოყენებულ პრინციპებსა და კანონებს, ასევე უნდა მოქმედებდეს ერთსულოვნად.

ევროსაბჭო ახორციელებს შემდგომ მოვალეობებს:

- კანონმდებლობა: ევროსაბჭო გამოსცემს კანონებს ევროკომისიის და ევრო პარლამენტის რეკომენდაციებზე დაყრდნობით.
- ევრო გაერთიანების ბიუჯეტის დამტკიცდება: საბჭო და პარლამენტი უნდა დაეთანხმონ ბიუჯეტს.
- საგარეო და თავდაცვის კურსი: რადგან ყველა შტატის წარმომადგენელს დამოუკიდებლად შეუძლია განავითაროს საგარეო და თავდაცვითი კურსი, საბჭო ცდილობს რომ მიაღწიოს საერთო საგარეო და თავდაცვით კურსს გაწევრიანებული შტატებისათვის.
- ეკონომიკური კურსი: საბჭო ამ სფეროშიც ცდილობს მიიღოს ჰქონდეს საერთო ეკონომიკური კურსი გაწევრიანებულ სტატებს.
- სამართალი: საბჭო ცდილობს კოორდინირება გაუწიოს სამართლებრივ სისტემას წევრ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორცაა ტერორიზმი.
- ეკონომიკური დაფინანსური საკითხები (Ecofin): შედგება წევრ სახელმწიფოების ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრებისგან.
- სოფლის მეურნეობა და მეთევზეობა: ერთერთი უძველესი ფორმა რომელიც თვეში ერთხელ ახვედრებს სოფლის მეურნეობის და თევზჭერის მინისტრებს და კომისიის წევრებს რომლებიც პასუხისმგებელნი არიან, მიწათმოქმედებაზე, მეთევზეობაზე, კვების, უსაფრთხოებასა და ვეტერინარების პრობლემებზე, ასევე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვიაზე.
- სამართალი და შინაგან საქმეთა საბჭო (JHA): ეს კონფიგურაცია აერთიანებს წევრ სახელმწიფოების სამართლისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს.
- დასაქმება, სოციალური პოლიტიკა, ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებათა (საქმეთა) საბჭო (epSCO): შედგება დასაქმების. სოციალური



დაცვის, მომხმარებელთა უფლებათა დაცვის, ჯანმრთელობისა და თანაბარ შესაძლებლობათა მინისტრებისგან.

- კონკურენტუნარიანობა: შექმნილია 2002 წლის ივნისში წინა სამი კონფიგურაციის შერწყმის შედეგად (შიდა ბაზარი, მრეწველობა და სამეცნიერო გამოკვლევები). დღის განრიგის მიხედვით ეს ფორმირება შედგება მინისტრებისგან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ისეთ სფეროებში, როგორცაა ევროპის საკითხები, მრეწველობა და სამეცნიერო გამოკვლევები.
- ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაცია და ენერჯია: დაფუძნდა 2002 წლის ივნისში, რომელიც შეიქმნა ამ სამი კურსის და შერწყმით. ჩამოყალიბება ხდება დახლოებით ერთხელ ორ თვის განმავლობაში.
- გარემო: შედგენილია გარემოს დაცვის მინისტრებისაგან რომლებიც იკრიბებიან ოთხჯერ წელიწადში.
- განათლება, ახალგაზრდობა და კულტურა: აერთიანებს განათლების, კულტურული, ახალგაზრდული და ურთერთობათა სამინისტროებს, რომლებიც იკრიბებიან სამ ოთხჯერ წელიწადის განმავლობაში.

წვერი სახელმწიფოს თითქმის ყველა წვერი და ლიდერი ნაციონალურ დონეზე ეკუთვნის გარკვეულ პოლიტიკურ პარტიას. ს ნაციონალური პოლიტიკური პარტიები კი ეკუთვნის ოფიციალურ პოლიტიკურ ჯგუფებს რომლებიც არსებობენ ევროპარლამენტში. თუმცა, ევროსაბჭოში ჩვენ ვერ ვნახავთ ასეთ პოლიტიკურ ჯგუფებს ან პოლიტიკურ კავშირებს. ის ქვეყნები რომლებიც იმართება ამდაგვარი პოლიტიკური ჯგუფებით ხშირად ვერ თანხმდებიან გარკვეულ საკითხებზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს პარტიათა ჯგუფების განაწილებას საბჭოში, 2005 წლის ნოემბრის მონაცემებით, ევროპის პარლამენტური ალიანსების მიხედვით, რომლებშიც თითოეული ქვეყნის წვერი არაპირდაპირაა ასოცირებული.

### **ევრო პარლამენტი**

ევროპარლამენტი (EP) არის ერთადერთი დემოკრატიულად არჩეული ინსტიტუტი ევროკავშირში. ევროპარლამენტი, როგორც დემოკრატიული ერთობის საფუძველი, წარმოადგენს უდიდეს მრავალეროვან პარლამენტს მსოფლოში.

პარლამენტის სხდომებზე განიხილება საზოგადოებისთვის, კომისისა და საბჭოსთვის მნიშვნელოვანი საკითხები. საპარლამენტო არჩევნები ტარდება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ. პარლამენტი შედგება 626 წევრისგან (MEPs.) 2004 წლიდან ევროპარლამენტში 25 წევრი ქვეყნიდან 732 წარმომადგენელი იქნა არჩეული. (წარმომადგენელთა რიცხვი დადგენილია Nice Treaty-ს ხელშეკრულების საფუძველზე) ევროპარლამენტში წარმომადგენლები განაწილებულნი არიან მათი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. პარლამენტის წევრები წარმოადგენენ 375 მილიონ ევროპის მოქალაქეს. ევროპარლამენტი ვალდებულია დაიცვას ევროპის ინტერესები და თავისი საზოგადოების უფლებები. ევროკავშირის მოქალაქეები ხშირად მიმართავენ ევროპარლამენტის წევრებს რაიმე პრობლემის შემთხვევაში დახმარების სათხოვნელად. ევროპარლამენტის წევრებს შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ არსებული პრობლემა ან განიხილონ კომიტეტის სხდომაზე. მიუხედავად იმისა რომ ევროპარლამენტი გამოირჩევა აზრის და შეხედულების მრავალფეროვნებით, მაინც არსებობს საკითხის შეცნობის და განხილვის გარკვეული ჩარჩო. ევროპარლამენტის უდიდესი ძალა დაკავშირებულია ევროკავშირის ბიუჯეტთან. ევროპარლამენტმა შესაძლოა მიიღოს, შეცვალოს ან უარყოს ევროკავშირის ბიუჯეტი.

### **ევრო სასამართლო**

ევრო სასამართლოს მანდატი გაწერილია მუხლში 220 (164) და უზრუნველყოფს რომ კანონი დაცულ იქნას ამ ხელშეკრულების განმარტებისას. სასამართლოს, 230 მუხლის თანახმად, აქვს ძალა გადახედოს თანამეგობრობის ინსტიტუტების მიერ მიღებული აქტების კანონიერებას, როგორცაა ევროპარლამენტი, ევროსაბჭო და ევროკომისია.

სასამართლო შედგება წევრი ქვეყნების მიერ დანიშნული 12 მოსამართლისგან. ისინი დანიშნულნი არიან წევრი ქვეყნების მთავრობების საერთო შეთანხმებით. თითოეული ინიშნება 6 წლის ვადით, რომლის გასვლის შემდეგაც ისინი შეიძლება კვლავ არჩეულ იქნან ერთი ან ორი დამატებითი ვადით სამი წლით. სასამართლოს პასუხისმგებლობა ეხება დისპუტებს, წევრ ქვეყნებსა და ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის. სასამართლოს არ აქვს უფლებამოსილება

სისრულეში მოიყვანოს თავისი გადაწყვეტილებები. გადაწყვეტილებების აღსრულება დამოკიდებულია მოდავე მხარეთა თანხმობაზე.

### **ეკონომიკისა და მონეტარული კავშირი**

ეკონომიკისა და მონეტარული კავშირი (EMU) ეწოდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეკონომიკისა და მონეტარული კურსის პოლიტიკის ურთიერთშეთანხმების პროცესს ახალ ვალუტის, ევროს, შემოგებასთან დაკავშირებით. ეს თემა განიხილებოდა ერთ-ერთ სახელმწიფოთა შორის კონფერენციაზე (IGCs) და 1991 წლის დეკემბერში დასრულდა მასტრიხტში.

ხელშეკრულება ითვალისწინებს EMU-ს 3 ეტაპს:

პირველი ეტაპი მოიცავს ( 1990 წლის 1 ივლისიდან 1993 წლის 31 დეკემბრამდე): წევრ ქვეყნებს შორის თავისუფალი კაპიტალის ბრუნვას, ეკონომიკური სფეროს კოორდინაციას და ცენტრალურ ბანკებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას.

მეორე ეტაპი მოიცავს (1994 წლის 1 იანვარიდან 1998 წლის 31 დეკემბრამდე): წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური და მონეტარული კურსის შეთანხმებას (რათა უზრუნველყოს ფასების მდგრადობა და ფინანსური სტაბილურობა), ევროპის მონეტარული ინსტიტუტის (EMI) და 1998 წელს, ევროპის ცენტრალური ბანკის (ECB) დაარსებას;

მესამე ეტაპი მოიცავს (1999 წლის 1 იანვრიდან): ვალუტის კურსის დამყარებას, ახალი ვალუტის შემოღებას უცხოური ვალუტის ბაზარსა და ელექტრონული ანგარიშსწორებისთვის, რომელიც 2002 წლის 1 იანვარს დასრულდა ევროს დაარსებით.

### **რომის ხელშეკრულებები**

1957 წლის 25 მარტს, მათ ხელი მოაწერეს რომის ხელშეკრულებებს.<sup>62</sup> ამ შეთანხმების მიხედვით წევრმა სახელმწიფოებმა მოახდინეს სავაჭრო ბარიერების მოხსნა, რაოდენობრივი შეზღუდვებისა და სხვა ძირითადი მსგავსი ეფექტების გაუქმება წევრ სახელმწიფოებს შორის იმპორტსა და ექსპორტზე და შექმნეს “საერთო ბაზარი”. შეთანხმებით გათვალისწინებული სხვა მიზნები იყო;

---

<sup>62</sup>ევროპის ეკონომიკური საბჭოს შექმნის ხელშეკრულება, 25 მარტი, 1957, 298 U.N.T.S. 11 და ევროპის ატომური ეგერჯის საბჭოს შექმნის ხელშეკრულება, 25 მარტი, 1957, 298 U.N.T.S. 140 ერთად აღინიშნებიან როგორც რომის ხელშეკრულებები.

შექმნათ საერთო საგარეო ტარიფი<sup>63</sup> და საერთო საგარეო პოლიტიკა მესამე ქვეყნებისთვის. გაუქმებინათ წევრ სახელმწიფოებს შორის ხალხის, სერვისებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების ხელშემშლელი ფაქტორები.

საერთო სასოფლო პოლიტიკის მიღება, საერთო წესები კონკურენციაზე, დაბეგვრა და კანონების დაახლოება. წევრ ქვეყნებში საერთო ბაზრის სათანადო ფუნქციონერებისთვის უაღრესად საჭირო კანონის მიღება.

1967 წელს ევროპის სამი საბჭოს ინსტიტუტები შეერთდა. ამის შემდეგ იყო მარტო კომიტეტი და მინისტრთა საკონსულო, ისევე როგორც ევრო პარლამენტი. თავდაპირველად, ევრო პარლამენტის წევრები ირჩეოდნენ ეროვნული პარლამენტების მიერ, მაგრამ 1979 წელს პირველი პირდაპირი არჩევნები შედგა, რომელიც წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს საშუალებას აძლევდა ხმა მიეცათ სასურველი კანდიდატისათვის. მას შემდეგ პირდაპირი არჩევნები იმართება ყოველ ხუთ წელიწადში.

მასტრიხტის ხელშეკრულებამ (1992) წარმოადგინა თანამშრომლობის ახალი ფორმები წევრი სახელმწიფოების მთავრობებს შორის – მაგალითად თავდაცვაში, “სასამართლო და საშიანაო საქმეების” სფეროში. არსებულ “საზოგადოებრივ” სისტემაზე ამ შიდა სამთავრობო თანამშრომლობების დამატებით, მასტრიხტის ხელშეკრულებამ საფუძველი ჩაუყარა ევროკავშირის (EU) შექმნას.

ევროკავშირის გაფართოება

ბრიტანეთმა და სხვა EC-ის წევრმა ქვეყნებმა, რომელბიც არ შედიოდნენ EEC-ში, 1960 წელს შექმნეს ასტერნატიული ასოციაცია, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (EFTA), მაგრამ შემდეგ გააანალიზეს, რომ EEC იყო უფრო წარმატებული ვიდრე თ და გადაწყვიტეს მიემართათ წევრობისთვის. მათ შეიტანეს განცხადება ევროკავშირში გაწევრიანებისთვის. ევროკავშირის წევრების რიცხვი გაიზარდა ცხრამდე, მას შემდეგ რაც გაერთიანებული სამეფო, დანია და ირლანდია შეუერთდა მას 1973 წელს.

---

<sup>63</sup> საერთო საგარეო ტარიფი არის იგივე რაც საბაჟო ვალდებულებები, კვოტები, ბაჟი ან სხვა ვაჭრობის არა-სატარიფო ბარიერები, რომელიც წესდება ყველა შემომავალ პროდუქტზე. გარდა იმ ქვეყნებისაგან, რომლებთანაც ერთ კავშირში იმყოფება. ეს შექმნილია რეექსპორტირების დასრულებისთვის.

1980 წელს ევროკავშირის წევრი იყო 10 ქვეყანა, როცა საბერძნეთი გაწევრიანდა მასში და ის ითვლიდა 12 წევრ სახელმწიფოს 1986 წელს, როდესაც ესპანეთი და პორტუგალია შეუერთდა კავშირს.

1986 წელს გაწევრიანდა ესპანეთი და პორტუგალია. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც წევრმა სახელმწიფოებმა შეამჩნიეს იმიგრაციის პრობლემა ახალი და ღარიბი კანდიდატი ქვეყნებისაგან. გერმანიამ, საფრანგეთმა და ბრიტანეთმა ყურადღება გაამახვილა ყველა მიმდინარე მოვლენებზე, ახალი წევრი ქვეყნებიდან მოსალოდნელი უკონტროლებელი იმიგრაციისა, შრომის ბაზრის გადავსების, ხელფასების შემცირებისა და რასობრივი პრობლემების წარმოშობის შესახებ. ასეთი შიში არ გამართლდა, მაგრამ მსგავსი შესაძლო უკონტროლებელი იმიგრაციის შემთხვევის არსებობა გახდა 2004 წლის გაფართოების წინააღმდეგობის წინაპირობა.

1993 წლის კოპენჰაგენის კრიტერიუმები არის წესები, რომელიც განსაზღვრავს რამდენადაა სახელმწიფო ევროკავშირში გაწევრიანებისთვის შესაფერისი. კრიტერიუმები მოითხოვს, რომ ეროვნულ სახელმწიფოს გააჩნდეს ინსტიტუტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ და დაიცავენ დემოკრატიულ მთავრობას, ადამიანის უფლებებს, კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას და მიიღებენ ევროკავშირის ვალდებულებებსა და განზრახვებს. ეს საწევრო კრიტერიუმები ჩამოყალიბდა და შეიქმნა 1993 წლის ივნისში ევროპის საკონსულოში, კოპენჰაგენი, დანია.

ამონაწერი კოპენჰაგენის თავმჯდომარეობის დასკვნებიდან:

წევრობა მოითხოვს კანდიდატ ქვეყანას მიღწეული ქონდეს იმ ინსტიტუტების სტაბულორობა, რომლების გარანტიას აძლევენ დემოკრატის, კანონების სისწორეს, ადამიანის უფლებებს და უმცირესობების პატივისცემასა და დაცვას, საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების არსებობას, ისევე როგორც კონკურენციული ზეწოლის გაძლების შესაძლებლობასა და საბაზრო სიმძლავრეს კავშირის შიგნით. წევრობა წინასწარ ვარაუდობს კანდიდატის წევრობის ვალდებულებების აღების შესაძლებლობებს, რაც მოიცავს კავშირის პოლიტიკური, ეკონომიკური და ფულადი მიზნების ერთგულებას.

ამ ელემენტების უმეტესობა დაცული იქნა ბოლო ათწლეულების მანძილზე ევრო საკონსულოს, ევრო კომიტეტისა და ევრო პარლამენტის კანონმდებლობებით,

ისევე როგორც სამართლიანობის ევრო სასამართლოსა და ადამიანების უფლებების ევრო სასამართლოს იურისპრუდენციით.

თითოეულ კანდიდატ ქვეყანასთან ურთიერთობის დროს, რეგულარულად მოწმდება კოპენჰაგენის კრიტერიუმების დაკმაყოფილების პროგრესი. ამის საფუძველზე ხდება გადაწყვეტილების მიღება თუ და როდის უნდა შეუერთდეს მოცემული ქვეყანა კავშირს, ან რა საქმიანობებია განსახორციელებელი წევრობის რეალიზაციამდე.

კოპენჰაგენის კრიტერიუმები იყოფა სამ ჯგუფად – გეოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიკური.

ავსტრიამ, ფინეთმა და შვედეთმა წარმოადგინეს რეფერანდუმი წევრობაზე 1994 წელს და შედეგები იყო შემდეგი;

ავსტრია – 66.6% მხარდაჭერა (12 ივნისი)

ფინეთი – 56.9% მხარდაჭერა (16 ოქტომბერი)

შვედეთი – 52.8% მხარდაჭერა (13 ნოემბერი)

ნორვეგია – 43.1% მხარდაჭერა (28 ნოემბერი)<sup>64</sup>

ავსტრია, შვედეთი და ფინეთი გახდნენ წევრები 1995 წლის 1 იანვარს. რადგან ნორვეგიის რეფერენდუმის შემთხვევაში 52..2% იყო გაწევრიანების მოწინააღმდეგე, ნორვეგიის მთავრობის წინადადება გაწევრიანებაზე უარყოფილი იქნა მეორე ცდისთის.

დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანია განმეორებით მიღებული იქნა 1995 წელს.

2002 წლის 13 დეკემბერს კოპენჰაგენში კანდიდატებისა და წევრი სახელმწიფოების მოლაპარაკებების შემდეგ გამოცხადდა საბოლოო გადაწყვეტილება ამ ქვეყნების შეერთების შესახებ, რასაც ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა 2003 წლის 9 აპრილს.

კვიპროსი კანდიდატი გახდა დაშვებით, რადგან საბერძნეთმა მოთხოვა წევრ სახელმწიფოებს მიეღოთ კვიპროსი, სხვა შემთხვევაში ისინი იმუქრებოდნენ გაფართოებაზე ვეტოს დადებით. 2003 წლის 16 აპრილს თანხმობის ხელშეკრულება დაიდო 10 ახალ წევრსა და 15 ძველ წევრს შორის ათენში.

<sup>64</sup> [http://en.wikipedia.org/wiki/History\\_of\\_the\\_european\\_union](http://en.wikipedia.org/wiki/History_of_the_european_union)

ევრო გაერთიანებამ მიაღწია ძალიან დიდ არეალს 2004 წელს. ამ წელს ევროკავშირში გახდა 25 წევრი სახელმწიფო ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, პოლონეთის, ჩეხეთის რესპუბლიკის, უნგრეთის, სლოვაკეთის, სლოვენის, იალტიისა და კვიპროსიის შეერთების შემდეგ. ამ ქვეყნებს ქონდათ რეფერენდუმი შეუერთდებოდნენ თუ არა ბლოკს. ეს რეფერენდუმი ძალაში შევიდა 2003 წელს და შედეგები იყო შემდეგი;

მალტა – 54% მხარდაჭერა (8 მარტი)

სლოვენია – 90% მხარდაჭერა (23 მარტი)

უნგრეთი – 83% მხარდაჭერა (12 აპრილი)

ლიტვა – 91% მხარდაჭერა (10-11 მარტი)

სლოვაკეთი – 92% მხარდაჭერა (16-17 მარტი)

პოლონეთი - 77% მხარდაჭერა (7-8 ივნისი)

ჩეხეთის რესპუბლიკა – 77% მხარდაჭერა (13-14 ივნისი)

ესტონეთი – 67% მხარდაჭერა (14 სექტემბერი)

ლატვია – 67% მხარდაჭერა (20 სექტემბერი)<sup>65</sup>

ზემოთ აღნიშნული ქვეყნების ერთიანი მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 75 მილიონს; მათი მთლიანი შიდა პროდუქტი იყო 840 ბილიონი ამერიკული დოლარი (შესყიდვიანობის ძალის თანასწორობა; CIA მსოფლიო საფაქტო წიგნი 2003), რაც ზომეში თითქმის უტოლდებოდა ესპანეთისას.

თუმცა, ერთობის წევრობის უფრო მეტად ამბიციური ზრდა გამოჩნდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991 წელს. ევროკავშირმა პირველად მიიღო აღმოსავლეთ ევროპა მტკიცედ დასავლეთში, რათა დაეცვა ის ისევ კომუნიზმში ან დიდტატორიზმში ჩავარდნისაგან. ამას შეიძლება ეწოდოს ევროკავშირის ყველაზე უფრო ამბიციური გაფართოება. უეცრად გახდა შესაძლებელი გაერთიანებული და დაკავშირებული ევროპის ნახვა ატლანტიკიდან ურალამდე, იმის რაც შეუძლებელი იყო ცივი ომის დროს. ასე რომ 1991 წელს გაერთიანების შეთანხმებები დაიდო ევროპის ერთობასა და ისეთ ქვეყნებს შორის როგორებიც იყო უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა და სლოვენია. გაერთიანების შეთანხმებები გულისხმობდა

---

<sup>65</sup> [http://en.wikipedia.org/wiki/History\\_of\\_the\\_european\\_union](http://en.wikipedia.org/wiki/History_of_the_european_union)

ყოფილი კონუმისტური ქვეყნებისთვის დახმარებას ეკონომიკურ რეფორმირებასა და ევროგაერთიანებაში სამომავლო წევრობისკენ სწრაფვაში.

ბულგარეთმა და რუმინეთმა დაასრულეს მოლაპარაკებები 2004 წლის 14 დეკემბერს და ევროკავშირში გაერთიანდებიან 2007 წლის 1 იანვარს. ბულგარეთისა და რუმინეთის თანხმობის ხელშეკრულება დაიდო 2005 წლის 25 აპრილს ლუქსემბურგში, რომელიც 25 წევრიან ევროკავშირის კანონიერ ორგანოებს აძლევდა წელიწად-ნახევარს ხელშეკრულებების რატიფიცირებისათვის.

2005 წლის 11 მაისს ბულგარეთის ეროვნულმა ასამბლეამ ხელი მოაწერა თანხმობის ხელშეკრულებას ევროკავშირთან. ორი კენჭისყრა გაიმართა 240 წევრისაგან შემდგარ პარლამენტში.

სხვა საკითხია თურქეთის განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. 2004 წლის 16-17 დეკემბერს 25 ევროკავშირის წევრი ქვეყნის ლიდერების საკონსულოს სამიტზე ბრიუსელში, თურქეთმა საბოლოოდ მოიგო ჯილდო “გადამწყვეტი პროგრესისთვის”, მისი ეკონომიკის რეფორმირებასა და ადანიამების უფლებების დაცვის შიდა მდგომარეობის გამოსწორებაში. განისაზღვრა თარიღი, 2005 წლის 3 დეკემბერი, თანხმობის მოლაპარაკებების დასაწყებად. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი საკითხია თურქეთის წევრობისთვის შესაბამისობა პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური მიზნების გამო. ასევე საკითხავია დებატების გაგრძელება საბერძნეთთან და კვიპროსთან.

გაფართოების უპირატესობები არის როგორც პოლიტიკური ასევე ეკონომიკური. მოკლედ: მშვიდობის, სტაბილურობისა და აყვავების ზონის გაფართოება ევროპაში გაზრდის მისი ხალხის დაცვას.

100 მილიონზე მეტი ადამიანის დამატება, სწრაფად ზრდად ეკონომიკაში, ევროკავშირის 370 მილიონიანი ბაზრისთვის გააძლიერებს ეკონომიკურ ზრდას და შექმნის სამუშაო ადგილებს მის როგორც ძველ ასევე ახალ წევრ სახელმწიფოებში.

ევროპაში შეიქმნება ცხოვრების უკეთესი პირობები მოქალაქეებისათვის, რადგან ახალი წევრები იღებენ ევროკავშირის პოლიტიკას გარემოს დაცვისა და დანაშაულის, ნარკოტიკებისა და არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.



გაფართოება გააძლიერებს კავშირის როლს მსოფლიო საქმიანობებში – საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკა, სავაჭრო პოლიტიკა და სხვა გლობალური მმართველობის სფეროები.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გაჩნდა სტაბილური დემოკრატიები. ეკონომიკურმა რეფორმებმა ამ ქვეყნებში გამოიწვია მაღალი ეკონომიკური ზრდის პროცენტი (ორჯერ უფრო მეტი ვიდრე ევროკავშირის საშუალო ზრდა) და უკეთესი დასაქმების პერსპექტივები. ეს პროცესი განხორციელდა ევროკავშირის წევრობის პერსპექტივის დახმარებითა და წახალისებით და ევროკავშირის ფინანსური დახმარებით.

არაწევრი ქვეყნებიც მიიღებენ სარგებელს გაერთიანებული ევროპით. სერთო სავაჭრო წესები და საერთო ადმინისტრაციული პროცედურები იქნება შემოღებული გაფართოებული კავშირის საერთო ბაზრისთვის. ეს გაამარტივებს დაკავშირებას ევროპაში ყველა ფირმისათვის და გააუმჯობესებს საინვესტიციო და სავაჭრო პირობებს, მოუტანს სარგებელს არა მარტო ევროკავშირს, არამედ ჩვენს სავაჭრო პარტნიორებსაც მსოფლიოს მასშტაბით.

ევროკავშირის ინსტიტუციური სტრუქტურა

ევროკავშირის აქვს ოთხი მთავარი დაწესებულება გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და მისი პოლიტიკის შესრულებაში. ესენია ევროკომისია, მინისტრთა საბჭო, ევროპარლამენტი და სასამართლო. სხვა ორგანოები, როგორცაა ეკონომიკური და სოციალური საბჭო და რეგიონალური საბჭო თამაშობენ გარკვეულ როლს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ქვემოთ მოკლედაა აღწერილი დაწესებულებების ზოგიერთი მახასიათებლები;  
ევროკომისია

კომისია არის ეროვნული მთავრობებისაგან დამოუკიდებელი. მისი მოვალეობაა ევროკავშირის ინტერესების წარმოდგება და დაცვა. ის ადგენს წინადადებებს ახალი ევროპული კანონებისათვის, რომელსაც წარუდგენს ევროპარლამენტსა და საბჭოს.<sup>66</sup>

კომისიის წევრების რაოდენობა განსხვავებულია ქვეყნის ზომის მიხედვით. დიდი ქვეყნებიდან არის ორი წარმომადგენელი და სხვა ქვეყნებიდან თითო წევრი. კომისიაში არის სხვადასხვა განყოფილებები, რომლებიც კოორდინირებენ

<sup>66</sup>[http://europa.eu.int/institutions/comm/index\\_en.htm](http://europa.eu.int/institutions/comm/index_en.htm)

პოლიტიკას, გადაწყვეტილებების შესრულებას, კანონმდებლობების გაძლიერებას და ადმინისტრაციულ შესრულებას. კომისიის გადაწყვეტილებები არის მინისტრთა საბჭოს დადასტურების საგანი.

კომისია განსხვავდება სხვა ინსტიტუტებისაგან ევროკავშირის სისტემაში “ინიციატივის ძალით”. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ კომისიას აქვს კანონმდებლობის ინიციატივის უფლება არეალში, რომელიც ცნობილია როგორც “პირველი საყრდენი” (კატეგორია, რომელიც მოიცავს პოლიტიკის სფეროების უმეტესობას). თუმცა ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტს შეუძლიათ ფორმალურად თხოვონ კომისიას რომელიმე საკითხის დაკანონება. სფეროებში, რომლებიც შედის “მეორე საყრდენსა” (საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა) და “მესამე საყრდენში” (კრიმინალური კანონი), კომისია იზიარებს ინიციატივის ძალაუფლებას სხვა წევრ სახელმწიფოებთან ერთად.

კომისია ასევე ასრულებს “ხელშეკრულებების მეურვის” როლს, რაც მოიცავს პასუხისმგებლობის აღებას დარღვევითი პროცედურის ინიცირებისას ევრო სასამართლოში წევრი ქვეყნებისა და სხვების წინააღმდეგ, რომლებიც შემჩნეული იქნებიან ევროკავშირის ხელშეკრულებისა და სხვა საერთო კანონების დართვევაში. კომისია აწარმოებს მოლაპარაკებებს საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებზე (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში) და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებზე ევროკავშირის სახელით. ის ამასთან დაკავშირებით მჭიდროდ თანამშრომლობს ევრო საბჭოსთან.

კომისია ვალდებულია შეარჩიოს ტექნიკური საზომები, რათა განაზოცციელოს მიღებული კანონმდებლობები საბჭოს მიერ და უმეტეს შემთხვევაში პარლამენტის მიერ. ეს კანონმდებლობები კომიტეტების დამტკიცების საგანია, რომლებიც წარმოდგენილია წევრი სახელმწიფოებისაგან.

კომისია ასევე არეგულირებს კონკურენციას კავშირში, აკონტროლებს ყველანაირ გაერთიანებებს ერთობის შიგნით და მოქმედებს იმ კომპანიების წინააღმდეგ, რომლებიც არღვევენ ევროკავშირის კონკურენციის კანონებს.<sup>67</sup>

ევროსაბჭო

<sup>67</sup>[http://omniknow.com/common/wiki.php?in=en&term=European\\_Commission](http://omniknow.com/common/wiki.php?in=en&term=European_Commission)

ევროსაბჭო არის ევროკავშირის ძირითადი საკანონმდებლო ორგანო. როგორც წინათ აღინიშნა, ევროსაბჭო განიხილავს კომისიის მიერ წარმოდგენილ წინადადებებს და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებებს. ის შედგება ყველა ქვეყნიდან წარმოდგენილი თითო მინისტრისაგან და ახორციელებს თავის სამუშაოს უცვლელი კომიტეტის მნიშვნელობით.<sup>68</sup> მინისტრები ჩვეულებრივ ესწრებიან შეხვედრებს, რომლებიც შეეხება ვაჭრობას, საგარეო ურთიერთობებს, სოფლის მეურნეობასა და ფინანსებს. საბჭოს სამუშაო ენებია ინგლისური, ფრანგული და გერმანული.

მასტრიხტის ხელშეკრულების 202-ე მუხლის მიხედვით: ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებით მიღწეულია საბჭოს ჯეროვანება ხელშეკრულების დადგენილებების შესაბამისად:

- წევრი სახელმწიფოების ძირითადი ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირების უზრუნველყოფა.
- ძალაუფლების ქონა გადაწყვეტილებების მისაღებად,
- კომისიისათვის ძალაუფლების მინიჭება საქმიანობებში, რომელსაც საბჭო იღებს, საბჭოს მიერ გამოცხადებული წესების შესასრულებლად. საბჭომ შეიძლება ასევე შეინახოს უფლება, განსაკუთრებულ შემთხვევებში, თავად გამოიყენოს პირდაპირი განხორციელების ძალები. ზემოთ მოცემული პროცედურები უნდა შეესაბამებოდეს საბჭოს მიერ მანამდე მიღებულ პრინციპებსა და წესებს, კომისიის წინადადებაზე მუშაობისა და ევროპარლამენტის შეხედულების გაცნობის შემდეგ.

შედეგად საბჭო ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- კანონმდებლობა: საბჭო ატარებს ევროკავშირის კანონს ევროკომისიისა და ევროპარლამენტის რეკომენდაციებით.
- ევროკავშირის ბიუჯეტის დამტკიცება: საბჭო და პარლამენტი უნდა დაეთანხმონ ბიუჯეტს.
- საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკა: თუმცა თითოეულ წევრ ქვეყანას აქვს თავისუფალი საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკა, საბჭო ეძებს გზებს საერთო საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის მისაღწევად წევრი სახელმწიფოებისათვის.

---

<sup>68</sup>John Fitzpatrick, "ჩრდილოეთ ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მომავალი: რეგიონალური ეკონომიკური ინსტიტუტების როლისა და ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ჰარმონიზაციის კანონის შედარებითი ანალიზი" (1996), 19 Hous. გვ. 26

- ეკონომიკური პოლიტიკა: საბჭო ასევე ცდილობს საერთო ეკონომიკური პოლიტიკის შექმნას წევრი ქვეყნებისათვის.
- სასამართლო: საბჭო ცდილობს წევრი სახელმწიფოების სასამართლო სისტემების კოორდინირებას, განსაკუთრებით ტერორიზმის სფეროში.
- ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობა (Ecofin): წევრი სახელმწიფოების ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროების შედგება.
- სოფლის მეურნეობა და მეთევზეობა: ერთ-ერთი ყველაზე ძველი კონფიგურაცია, რომელიც თვეში ერთხელ თავს უყრის სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის მინისტრებს და კომისიის წევრებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სოფლის მეურნეობაზე, მეთევზეობაზე, საკვების უსაფრთხოებაზე, ვეტერინარულ შეკითხვებსა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხებზე.
- იუსტიციისა და შინაგან საქმეთა საბჭო (JHA): ეს კონფიგურაცია აერთიანებს წევრი სახელმწიფოების იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს.
- დასაქმების, სოციალური პოლისის, ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა საქმეების საბჭო (EPSCO): დასაქმების, სოციალური დაცვის, მომხმარებლების დაცვის, ჯანმრთელობისა და თანაბარი უფლებების სამინისტროებისაგან შედგება.
- კონკურენცია: შეიქმნა 2002 წლის ივნისში სამი წინა გაერთიანების შეერთებით (შიდა ბაზარი, ინდუსტრია და კვლევა). განაწესის საკითხების მიხედვით, ეს გაერთიანება შედგება სამინისტროებისაგან, რომლებსაც ეხებათ ევრო საქმეები, ინდუსტრია და მეცნიერული კვლევები.
- ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაცია და ენერგეტიკა: ასევე შეიქმნა 2002 წლის ივნისში სამი პოლისის გაერთიანებით და ასევე განაწესში მოცემული განსაკუთრებული საკითხების შესრულებით. ფორმირება იკრიბება დაახლოებით ორ თვეში ერთხელ.
- გარემო: გარემოს დაცვის სამინისტროებისაგან შედგება, რომლებიც იკრიბებიან წელიწადში ოთხჯერ.
- განათლება, ახალგაზრდობა და კულტურა (EYC): განთლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და ურთიერთობების სამინისტროებისაგან შედგება, რომლებიც წელიწადში სამ-ოთხჯერ იკრიბებიან.

თითოეული წევრი სახელმწიფოს თითქმის ყველა ლიდერი და მინისტრი მიეკუთვნება პოლიტიკურ პარტიებს სახელმწიფო დონეზე. ბევრი ასეთი ეროვნული პარტია წარმოადგენს ფორმალურ პოლიტიკურ ჯგუფებს ევროპარლამენტში. თუმცა საბჭოში არ არის ფორმალური პოლიტიკური ჯგუფები და ალიანსები და მსგავსი პოლიტიკური პარტიებით წარმოდგენილი ქვეყნები ხშირად ვერ თანხმდებიან ორგანოს წინაშე წამოყენებულ საკითხებზე. ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს ამჟამინდელ პარტიათა შემოერთების რღვევას საბჭოში, როგორც 2005 წლის ნოემბერში ევროპარლამენტური ალიანსების შემთხვევაში მოხდა, რომელთანაც ყველა წევრი სახელმწიფოს ლიდერი არაპირდაპირად იყო დაკავშირებული.

#### ევროპარლამენტი

ევროპარლამენტი (EP) არის ერთადერთი დემოკრატიულად არჩეული ინსტიტუტი ევროკავშირში. როგორც გაერთიანების დემოკრატიული საფუძველის ფორმა ეს არის უდიდესი მრავალეროვანი პარლამენტი მსოფლიოში. პარლამენტი განიხილავს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებს და კომისიისა და საბჭოს შეკითხვებს. პარლამენტის წევრების არჩევა ხდება ყოველ ხუთ წელიწადში და შეადგენს 626 წევრს (MEPs). 2004 წლიდან 732 წარმომადგენელია არჩეული 25 წევრი სახელმწიფოსაგან ევროპარლამენტისათვის (ეს რიცხვი დამტკიცებულია იცე-ს ხელშეკრულებით). წარმომადგენლების რაოდენობა განაწილებულია ქვეყნებს შორის მოსახლეობის მიხედვით. პარლამენტის წევრები წარმოადგენენ ევროკავშირის 375 მილიონ მოქალაქეს, პარლამენტი თავისთავს ხედავს, როგორც ევროპის ინტერესებისა და მოსახლეობის უფლებების დაცვის გარანტს. ევროპის მოქალაქეების რეგულარულად უკავშირდებიან პარლამენტის წევრებს საკითხების წარმოშობისას. ევროპარლამენტის წევრს შეუძლია თავად გადაჭრას მოქალაქის პრობლემა ან წამოაყენოს ის კომისიაში. ეს არის მთავარის დისკუსიის სამიზნის გაფართოებისათვის კანონმდებელთა წრეებში. თუმცა მისი შეხედულებები არის აუცილებლად სხვადასხვაგვარი, პარლამენტში არსებობს ძლიერი ორგანო ცოდნისა და პრობლემათა გადაწყვეტის ინტერესის. პარლამენტის უდიდესი ძალაუფლება უკავშირდება ევროკავშირის ბიუჯეტს, მას შეუძლია მიიღოს, შეცვალოს ან უარი თქვას ბიუჯეტზე.

ამსტერდამის ხელშეკრულებამ<sup>69</sup> ევროპარლამენტის ძალაუფლებები კიდევ უფრო გაზარდა, რადგან მას ახლა აქვს გადაწყვეტილებათა მიღების უფლება მინისტრთა საბჭოსთან ერთად ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხზე. ამ საკითხებზე პარლამენტს აქვს უფლება საწყის კანონმდებლობებზე მოლაპარაკებების წარმოების, როგორც მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანმა პარტნიორმა.<sup>70</sup>

არსებობს სხვა დაწესებულებები, როგორცაა; ევროსასამართლო, აუდიტორთა სასამართლო, ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროპის ცენტრალური ბანკი, ევრო ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი, რეგიონების კომიტეტი, კულტურისა და განათლების კომიტეტი, კონსტიტუციური საქმეების კომიტეტი.

#### ევროსასამართლო

ევროსასამართლოს მანდატი გაწერილია 220-ე მუხლში (164 მუხლი) და ადასტურებს, რომ ამ ხელშეკრულების ინტერპრეტაციაში კანონი არის შესწავლილი.<sup>71</sup> ევროსასამართლოს, 230-ე მუხლის თანახმად (173 მუხლი), აქვს უფლება განიხილოს აქტების ლეგიტიმურობა, რომლებიც მიღებულია ევროპარლამენტის, საბჭოს და კომისიის მიერ.

ევროსასამართლო შედგება 12 მოსამართლისაგან, რომლებიც დანიშნულია წევრი სახელმწიფოების მიერ. ისინი ინიშნებიან წევრი ქვეყნების მთავრობების შეთანხმებული გადაწყვეტილებით. თითოეული ინიშნება ექვსწლიანი ვადით, რომლის შემდეგ შეიძლება ისევ დაინიშნოს ერთი ან ორი სამწლიანი პერიოდით. სასამართლოს მოვალეობაა წევრ ქვეყნებსა და ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის განხილვები. სასამართლოს არ აქვს გადაწყვეტილებების იძულების უფლება. გადაწყვეტილებებზე ზეგავლენა დამოკიდებულია მოდავე მხარეების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე.

<sup>69</sup> ამსტერდამის ხელშეკრულება, რომელიც ევროკავშირის პოლიტიკური ლიდერების მიერ შეთანხმდა 17 ივნისს და ხელი მოეწერა 2 ოქტომბერს 1997 წლის, არის ორწლიანი მოლაპარაკებებისა და თანამშრომლობის კულმინაცია წევრი სახელმწიფოების მთავრობის წარმომადგენლებს შორის. ის შევიდა ძალაში ევროკავშირის 15 წევრი სახელმწიფოს ხელის მოწერის შემდეგ არსებული კონსტიტუციური პროცედურების დაცვით.

<sup>70</sup>Andress Duff, ამსტერდამის ხელშეკრულება: ტექსტი და კომენტარი, (ლონდონი, ფედერალური სასამართლო, 1997) 143-145

<sup>71</sup>ამსტერდამის ხელშეკრულებამ გააუმჯობესა ევროკავშირის ხელშეკრულება, ევროკომიტეტების მიერ შექმნილი ხელშეკრულებები და სხვა მსგავსი აქტები, ოფიციალური ჟურნალი 97/C 340/01, ლუქსემბურგის ოფიციალური გამომცემლობა, ISSN 0378-6968, ნოემბერი, 1997

### *1.3. თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობების მიმოხილვა*

მკვლევარებს შორის იყო დისკუსიები იმის თაობაზე, თურქეთი ეკუთვნის აღმოსავლეთს თუ დასავლეთს. საბაჟო კავშირის შეთანხმებამ დაასრულა ამ სახის არგუმენტები და დაადგინა თურქეთი ევროპის ნაწილად.

CU-ს ხელმოწერის ერთ-ერთი მიზანია ტექნოლოგიური განვითარების პროცესის დაჩქარება და პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების ხელშეწყობა. ამ პროცესს შეუძლია ტექნოლოგიური განვითარების სტიმულირება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, აქედან გამომდინარე კი, საშინაო სამრეწველო დარგების კონკურენტუნარიანობის გაზრდა. ამას დადებითი გავლენა ექნება თურქეთის ეკონომიკაზე.

1993 წელს თურქეთმა მიიღო „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“, მათი შესრულება არის სრულუფლებიანი წევრობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა, რომელიც ხაზს უსვამს მიღების პროცესის მნიშვნელობას იმით, რომ ახალი წევრებისაგან ითხოვს შემდეგი პუნქტების არსებობას:

- ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა;
- ევროკავშირის შიგნით კონკურენციის ზეწოლასა და ბაზრის ძალებთან გამკლავებისათვის აუცილებელი შესაძლებლობების არსებობა;
- წევრებისათვის აუცილებელი ყველა მოთხოვნის შესრულება.

ზემოთხსენებული სამი პირობის შესრულება დიდ შესაძლებლობებსა და გამოწვევებს უქმნის ევროკავშირთან თურქეთის ინტეგრაციას. პირველ რიგში, ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის არსებობა მოითხოვს ფასებისა და ვაჭრობის ლიბერალიზაციას და შესაბამის საკანონმდებლო სისტემას, საკუთრების უფლებების ჩათვლით. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და კონსენსუსი ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ, საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდას უწყობს ხელს. ეფექტიანობას ზრდას, აგრეთვე, ხელს უწყობს კარგად განვითარებული საფინანსო სექტორი და ბაზარში შეღწევისა და ბაზრიდან გასვლისთვის მნიშვნელოვანი ბარიერების არარსებობა. მას შემდეგ, რაც თურქეთმა მიიღო იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკა, 1980 წელს თურქეთმა დაიწყო ექსპორტის წამახალისებელი პოლიტიკით საბაზრო ეკონომიკისათვის საფუძვლის ჩაყრა. ამ მიზნის მისაღწევად, თურქეთის მთავრობამ გაატარა რეფორმების სერია,

რომელთა მიზანიც იყო: ფასის კონტროლისა და სუბსიდიების გაუქმება, ვაჭრობაში კერძო სექტორის როლის შემცირება, კერძო სექტორის ზრდის ხაზგასმა, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ტარიფების შემცირება, კაპიტალური ტრანსფერის გაცვლის სიმარტივის კონტროლი და საგადასახადო სისტემის რეფორმა. ამ კონტექსტში, თურქეთის ევროკავშირის წევრობის განაცხადის განმხილველმა კომისიამ 1989 წელს დაასკვნა: „თურქეთის ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია ვერ გვარწმუნებს, რომ შეთავსების პრობლემები, რომელიც შეექმნება თურქეთს ევროპულ საზოგადოებაში გაწევრიანების შემთხვევაში, შესაძლოა გადალახულ იქნეს საშუალო ვადებში“. თუმცა, 2003 წლის რეგულარულ მოხსენებაში, კომისიამ განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არსებობს მაკროეკონომიკური არადაბალანსირებულობა, თურქეთმა საგრძნობლად გააუმჯობესა ეკონომიკის ფუნქციონირება“.

თურქეთის ეკონომიკის მიმდინარე დახვეწა, რაც გამოწვეულია ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის არსებობით, აგრეთვე აღნიშნულია კომისიის 2004 წლის რეგულარულ მოხსენებაში შემდეგი ქვესათაურების ქვეშ (ევროპული კომისია, 2004):

- გაუმჯობესდა საერთო კონსენსუსი ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებით;
- მოსახსენებელი პერიოდის მეორე ნახევარში ეკონომიკის სტაბილურობა საგრძნობლად გაუმჯობესდა;
- მიმდინარე ანგარიშების ბალანსი სწრაფად დასტაბილურდა 2001 წლის კრიზისის შემდეგ;
- შრომის ბაზრის სიტუაცია გაუარესდა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში;
- ინფლაციამ საგრძნობლად დაიკლო;
- მონეტარული და ვალუტის გაცვლითი კურსის პოლიტიკამ დეფლაცია გამოიწვია;
- ბოლო დროის განმავლობაში შესამჩნევია მნიშვნელოვანი პროგრესი ფისკალური დისბალანსის შემცირებაში;
- გაუმჯობესდა კერძო სექტორის ბუღალტერიის გამჭვირვალობა და საგადასახადო ადმინისტრაციის ეფექტიანობა;
- მაკროეკონომიკური პოლიტიკა შეესაბამება ფართო მიდგომას რეფორმების მიმართ;
- საბაზრო ძალების ურთიერთქმედება გაიზარდა;



- ფასების სხვაობამ დაიკლო;
- კერძო სექტორი შეადგენს თურქეთის ეკონომიკის 80%-ს;
- პროგრესი პრივატიზაციის პროცესში შედარებით შეზღუდული რჩება;
- ბაზარში შეღწევის და ბაზრიდან გამოსვლის ბარიერებმა დაიკლეს, თუმცა მაინც აბრკოლებენ შიდა კონკურენციას;
- საფინანსო სექტორი უფრო ჯანსაღი გახდა, თუმცა ჯერ მაინც ვერ მიაღწია განვითარების სასურველ დონეს;
- არასაბანკო საფინანსო სექტორის როლი შედარებით შეზღუდული რჩება;
- ბოლო 5 წლის განმავლობაში შეიმჩნევა პროგრესი საბანკო სექტორის რეგულირებასა და ზედამხედველობაში.

მოთხოვნათა შესრულება დამოკიდებულია საბაზრო ეკონომიკისა და სტაბილური მაკროეკონომიკური განრიგის არსებობაზე, რაც საშუალებას აძლევს ეკონომიკურ აგენტებს მიიღონ გადაწყვეტილებები პროგნოზირებადი კლიმატის პირობებში. ეს აგრეთვე მოითხოვს ადამიანური და ფიზიკური კაპიტალის საჭირო რაოდენობას ინფრასტრუქტურის ჩათვლით. უნდა მოხდეს სახელმწიფო საწარმოების რესტრუქტურირება და საწარმოებმა უნდა ჩადონ მეტი ინვესტიცია ეფექტიანობაში. გარდა ამისა, რაც უფრო მეტად ხელმისაწვდომი იქნება გარე ფინანსირება საწარმოებისათვის და რაც უფრო მეტად წარმატებულნი იქნებიან ისინი რესტრუქტურირებასა და ინოვაციურობაში, მით უფრო მეტად შეეძლება მათ ადაპტირება. საბოლოო ჯამში, ეკონომიკა უკეთ შეძლებს წევრობის მოთხოვნების შესრულებას, თუ მოხდება ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია გაწევრიანებამდე. იმ პროდუქტების რაოდენობაც და მრავალფეროვნებაც, რომლებითაც მიმდინარეობს ვაჭრობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ერთად, მიუთითებს ამგვარ ინტეგრაციაზე. ამ კონტექსტში 1995 წელს საბაჟო კავშირის შექმნას მოჰყვა დამატებითი ღირებულების გაჩენა თურქეთისათვის, რადგან მას მოუწია ევროკავშირიდან ინდუსტრიული პროდუქციის იმპორტზე გადასახადების გაუქმება, ისევე როგორც ევროკავშირის წევრებს. მას აგრეთვე მოუხდა იგივე ტარიფებისა და შეზღუდვების დაწესება, რაც ევროკავშირს, იმ პროდუქციისათვის, რომლის წარმოებაც ევროკავშირის ფარგლებს გარეთ მოხდა. სხვა სიტყვებით, ავალდებულებს თურქეთს დაუწესოს შეღავათიანი

ბაჟი იმ ქვეყნებს, რომლებიც სარგებლობენ შეღავათიანი ბაჟით ევროკავშირის ბაზარზე შესასვლელად. ეს ნიშნავს, რომ თურქეთი გახდება შედარებით ღია ეკონომიკის ქვეყანა. ამის სანაცვლოდ, თურქეთი შემდეგ სარგებელს მიიღებს: საფინანსო მხარდაჭერა ევროპისაგან, ფართო გასავალი ევროკავშირის ბაზარზე და მსოფლიო ბაზრების ნდობა თურქეთის მიმართ, რომელიც გამოწვეული იქნება ახალი სტატუსით.

თურქეთი მიიზიდავს ინვესტორებს, რომელთაც მოუნდებათ შუა აზიაში, კავკასიაში თუ შავი ზღვის რეგიონში გასვლა. არის კიდევ რამოდენიმე ქვეყანა, მაგალითად აშშ და იაპონია, რომელთაც სურდათ სავაჭრო კავშირის მეწილეობა. პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციის რაოდენობამ მოიმატა ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

**ცხრილი 2.4. პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიცია თურქეთში 1993-2005 წლებში (მილიონი აშშ დოლარი)**

	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005
მთლიანად	2938,3	3837,0	1678,2	1645,8	1700,4	3059,0	1196	425,6	410,6	856,3	882,5
ევროკავშირიდან	1848,4	3272,3	1022,4	1065,9	1166,3	1950,0	769,	167,	67,2	215,6	279,2
ევროკავშირიდან პროცენტებში	62.91	85.28	60.92	64.76	68.59	63.74	64.3	39.3	16.3	25.18	31.6

წყარო: [www.dtm.gov.tr/dtmweb/index.cfm](http://www.dtm.gov.tr/dtmweb/index.cfm)? (ბოლო ვიზიტი: 12.11. 2008)

ევროკავშირ (EU)–თურქეთის საბაჟო კავშირი (CU) შეიქმნა 1995 წლის 31 დეკემბერს. ეს წარმოადგენს თურქეთ-ევროკავშირის ხანგრძლივი ისტორიული დამოკიდებულების შედეგს და 40 წლიანი კომერციული ურთიერთობების წარმატებულ დასასრულს. ამ შეთანხმებას ხელი მოეწერა არსებულ რეგიონალურ საბაჟო ბლოკსა (ევროკავშირსა) და დამოუკიდებელ ქვეყანას შორის, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს კომპლექსური რეგიონული წესრიგის შექმნას. თურქეთი არის ერთადერთი კანდიდატი ქვეყანა, რომელსაც აქვს საბაჟო კავშირის შეთანხმება ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობის გარეშე. საბაჟო კავშირის ხელშეკრულება მოითხოვს სამრეწველო სექტორისათვის ევროკავშირის საერთო საგარეო ტარიფის

(CET) მიღებას, რომელიც აბათილებს ყველანაირ ტარიფს სამრეწველო საქონელზე. ეს შეთანხმება არ მოიცავს სასოფლო - სამეურნეო პროდუქციას, მაგრამ არ გამორიცხავს სოფლის მეურნეობის საბოლოო ინტეგრაციის შესაძლებლობასაც ახლო მომავალში.

1995 წელს ჩამოყალიბებული საბაჟო კავშირი თურქეთსა და ევროკავშირს შორის არის ეკონომიკურ შეთანხმებაზე უფრო მეტი, რომელმაც გავლენა მოახდინა თურქეთის მოქალაქეების სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე. შეთანხმებამ ხელი შეუწყო თურქეთის ტექნოლოგიურ განვითარებასა და სტაბილურობას, რაც ასევე მნიშვნელოვანი იყო და არის თურქეთისთვის ევროკავშირის სრულყოფილებიანი წევრობის მისაღებად.

არსებობდა განსხვავებული მოსაზრებები იმის თაობაზე თუ რომელი მიმართულებით ჯობდა თურქეთისთვის (აღმოსავლეთით თუ ასავლეთით) ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობა. ევროკავშირთან საბაჟო შეთანხმებამ დასრულა ამ სახის დისკუსია და საბოლოოდ ჩამოაყალიბა თურქეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ორიენტაცია.

საბაჟო კავშირში მონაწილეობის შედეგების გაანალიზების საფუძველზე აღსანიშნავია რომ საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყნებს შორის განვითარდა და რეგიონულმა შეთანხმებებამ ამაში მთვარი როლი ითამაშა. მსოფლიოში არსებობს საბაჟო ბლოკები სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების გასაძლიერებლად. ზოგიერთი მსგავსი საბაჟო ბლოკებია NAFTA (ჩრდილო ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ზონა), APEC (აზიური და წყნარი ოკეანის ქვეყნებს ეკონომიკური მთანამშობრობა). Baldwin-ისა და Venable-ის (1995)<sup>72</sup> მიხედვით, მსოფლიო ვაჭრობის 50%-ზე გავლენას ახდენს რეგიონული შეთანხმებები.

საბაჟო კავშირის შედეგად თურქეთის ვაჭრობაზე მოხდენილი ეფექტების ანალიზი და ამ საკითხზე ფირმების შეხედულებების გაგება უაღრესად მნიშვნელოვანია. არსებობს ბიზნეს კომპანიების ჯგუფი, რომლებზეც უფრო მეტად ახდენს გავლენას ეს შეთანხმება.

---

<sup>72</sup> Baldwin, R., and A. Venables (1995). Regional Integration Agreements. In G.Grossman and K. Rogoff (eds.), Handbook of International Economics. Vol. III. Amsterdam: Elsevier.

თურქეთსა და ევროკავშირს შორის ოფიციალური ურთიერთობა დაიწყო 1959 წლის 31 ივლისს, როდესაც თურქეთმა მხარი დაუჭირა ევროპის ექვსი ქვეყნის მიერ ეკონომიკური ერთობის შექმნას. შემდეგ თურქეთმა ხელი მოაწერა ანკარის შეთანხმებას 1963 წლის 12 სექტემბერს ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან. ანკარის შეთანხმებით, ჩამოყალიბდა გაერთიანების საბჭო, რომელიც იკრიბებოდა პერიოდულად და განიხილავდა პარტნიორობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ეს ინსტიტუციური სისტემა გაფართოვდა საბოლოო ეტაპზე საბაჟო კავშირის ჩამოყალიბებამდე. ეს შეთანხმება არის ასევე საბაჟო კავშირის დასაწყისი. რომელსაც განვიხილავთ დეტალურად შემდეგ თავებში.

საბაჟო კავშირი განიხილებოდა, როგორც ევროკავშირში წევრობისაკენ გადადგმული ნაბიჯი სრულუფლებიანი წევრობისაკენ განუსაზღვრელ სამომავლო ვადაში. ევროკავშირმა ცალმხრივად მიანიჭა თურქეთს შეღავათიანი ტარიფები და ფინანსური დახმარება, მაგრამ ტარიფებისა და არასატარიფო ბარიერების შემცირების ორმხრივი პროცესი თურქეთში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო 1970-იან წლებამდე გადაიდო.

თურქეთმა არ დაასრულა თავისი ვალდებულებები ცვლილებების პერიოდში და ტარიფების შემცირება შეჩერდა 1978-1988 წლებში. 1980 წლის სამხედრო გადატრიალების შედეგად გაყინული ურთიერთობები აღდგა თურქეთის სრულუფლებიანი წევრობის განაცხადით 1987 წლის 14 აპრილს. იმ დღიდან თურქეთის სახელმწიფო დაგეგმვის ორგანიზაციის მიერ დაიწყო მრავალმხრივი მცდელობა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების სტატუსის მის კანონმდებლობასთან შედარებისა და შეთანხმებისათვის. 1989 წლის გამოხმაურებით ევროკავშირის კომისიამ განსაზღვრა, რომ ისინი ვერ შეძლებდნენ ახალი წევრის მიღებას, მანამ არ დასრულდებოდა შიდა ბაზრის ჩამოყალიბების პერიოდი. საბაჟო კავშირის დასრულება იყო რეკომენდირებული, როგორც პირველი ნაბიჯი.

ევროკომისიის (13.10.1999 წელს) რეგულარული ანგარიშის გამოქვეყნებით ევროკავშირმა თურქეთის გაწევრიანების პერსპექტივა წარმოადგინა. 1999 დეკემბერში

ჰელსინკის სამიტზე თურქეთმა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი<sup>73</sup> მიიღო.

2001 წლის 8 მარტს ევროსაბჭომ მიიღო თურქეთთან თანამშრომლობის პრიორიტეტების განმსაზღვრელი შეთანხმება, რომელიც საჭიროა ევროკავშირის კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიღწევისათვის. ამ თანამშრომლობის საფუძველზე თურქეთი არის ევროკავშირის საერთო პრიორიტეტული სფეროების ქვეშ, რომელიც აღწერილია კომისიის 2000 წლის მუდმივ ანგარიშში. თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებისათვის საჭირო პრიორიტეტებისა და პირობების შესასრულებლად განსაზღვრულია ევროკავშირის მხრიდან ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა.

თურქეთი ისევ იყო მთავარი განხილვის საგანი კოპენჰაგენის სამიტზე 2002 წელს და მასთან დაკავშირებით მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

- თანამშრომლობის შესწორებული შეთანხმების მომზადება
- სამუშაოს კონცენტრირება კანონმდებლობის ჰარმონიზაციაზე
- საბაჟო კავშირის განვითარება და გაღრმავება
- საფინანსო თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ზრდა
- თურქეთის საფინანსო დახმარების ჩართვა შესწორებული შეთანხმების ბიუჯეტში.

2005 წლის 3 ოქტომბერს ევროსაბჭომ<sup>74</sup> თურქეთთან გადაწყვიტა თურქეთთან ღია შეთანხმება (open accession) დაეწყო.

---

<sup>73</sup> ჰელსინკის სამიტის შედეგად თურქეთი, სხვა კანდიდატი სახელმწიფოების მსგავსად დაიწვებს გაერთიანების წინა სტრატეგიით სარგებლობას რეფორმების დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

<sup>74</sup> ევროსაბჭომ გააუქმა თავისი წინა დასკვნები თურქეთთან მიმართებაში, რომლითაც ჰელსინკში ის დაეთანხმა თურქეთის კანდიდატობას ევროკავშირში გაწევრიანებისთვის. მან 2004 წლის დეკემბრის შეხვედრის კომისიის ანგარიშსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით გადაწყვიტა, რომ როდესაც თურქეთი მიაღწევს კოპენჰაგენის პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიტერიუმებს მაშინ თავშეკავების გარეშე ევროკავშირი მიიღებს თურქეთის გაწევრიანებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას.

## თავი II. თურქეთის საბაჟო კანონმდებლობის შეფასება

თურქეთის საბაჟო კანონმდებლობა დროდადრო ადგილობრივი და გლობალური ცვლილებების მიხედვით იცვლება. შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თურქეთის საბაჟო კანონმდებლობა განპირობებული იყო სწრაფი ინდუსტრიალიზაციით, ცენტრალური დაგეგმვით, ცენტრიდან მართული იმპორტ შემცველი ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკით.

თურქეთი აქტიურად ჩაება თავისუფალ ვაჭრობაში დანარჩენ მსოფლიოსთან. ამ მხრივ ძირითადად ორმა ფაქტორმა განაპირობა ის, რომ ამჟამად თურქეთში მოქმედებს ლიბერალური საბაჟო სისტემა, რომელიც დამყარებულია თავისუფალ და სამართლიან კონკურენციაზე, დისკრიმინაციის არარსებობასა და ვაჭრობის ბარიერების აღმოფხვრაზე. პირველი ფაქტორი იყო ის ვალდებულებები, რომელიც უნდა შესრულებულიყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) ზედამხედველობის ქვეშ, ხოლო მეორე კი -- ურთიერთობა ევროკავშირთან, რაც მიზნად ისახავდა თურქეთის ამ ორგანიზაციაში გაერთიანებას. ამ ორი მთავარი ფაქტორმა განაპირობა თურქეთში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარება საბაჟო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაცია. იმისათვის, თურქეთმა მიაღწიოს დასახულ მიზნებს, (როგორცაა საკუთარი სავაჭრო რეჟიმის ევროკავშირის რეჟიმთან შეთანხმება), მან ხელი მოაწერა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას მრავალ ქვეყანასთან და ამჟამადც აწარმოებს მოლაპარაკებებს რამოდენიმე სახელმწიფოსთან.

როდესაც თურქეთმა მიიღო ევროკავშირის სტაბილიზაციის პროგრამა, საბაჟო საკითხი მასში მთავარ ელემენტს შეადგენდა. 1958 წლის სტაბილიზაციის პროგრამის მიხედვით, თურქეთმა საფუძველი ჩაუყარა ახალ საბაჟო რეჟიმს, რომელიც მოიცავს იმპორტის ლიცენზიებს, იმპორტის მართვის რეგულაციებსა და საქონელს, რომელიც არ შეიძლება იქნეს იმპორტირებული. ექსპორტის გადასახადებმა, რომელიც დაწესებული იყო ქვეყნისათვის ინფლაციის

ასაცილებლად, გამოიწვია ექსპორტიორებისათვის თვითღირებულების ზრდა. აგრეთვე მოხდა ექსპორტის ლიბერალიზაცია სხვადასხვა ასპექტში. ექსპორტის ფასის კონტროლირება უფრო რეალური გახდა. ექსპორტის ფასები, რომელიც მაღალ დონეზე იყო დაწესებული, საერთაშორისო დონეს გაუთანაბრეს.

თურქეთი იყენებდა იმპორტის ჩამნაცვლებელი ინდუსტრიალიზაციის (ISI) სტრატეგიას თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში 1930-ან 1980-ან წლებამდე, გამონაკლისს წარმოადგენდა დროის მოკლე მონაკვეთი 1950-დან 1953 წლამდე, როდესაც იყენებდნენ ლიბერალურ საბაჟო პოლიტიკას.

თურქეთის საბაჟო კანონმდებლობა მიღებულ იქნა, რათა დაეცვა ადგილობრივი მწარმოებლები საერთაშორისო კონკურენტებისაგან და გაეზარდა სახელმწიფოს კონტროლი რესურსების განაწილებასა და პროდუქციის წარმოებაზე. არსებობდა სხვა რამოდენიმე პუნქტიც, რომლებიც ქვევითაა მოყვანილი:

- უცხოურ საქონელზე მაღალი ტარიფისა და ქვოტის დაწესება ადგილობრივი მრეწველობის დასაცავად;
- თურქეთის მთავრობის მიერ ზოგიერთი სექტორის მხარდაჭერა, როგორცაა რკინის მადნის მოპოვება და ფოლადის დამზადება იმისათვის, რათა გაეღვივებინა კონკურენცია ინდუსტრიალიზაციის პროცესში და თავი აერიდებინა ჩაკეტილობისათვის სახელმწიფო მწარმოებლების (SEE) (State Economic Enterprises)შექმნით;
- კრედიტის ოდენობისა და ფასის კონტროლი, რათა ზეგავლენა ჰქონოდა ინვესტიციების ხვედრით წილზე კერძო სექტორში;
- ვალუტის დადგენილი კურსის შენარჩუნება და მისი კონტროლი, რაც განაპირობებს ადგილობრივი ვალუტის მაღალ კურსს.

1950 წლის საგარეო ვაჭრობის რეჟიმი ძალიან შეზღუდული იყო და მას კონტროლის, რეგულირებისა და ვალუტის კურსის მუდმივი ცვალებადობა ახასიათებდა. ამრიგად, საბაჟო კანონმდებლობა ნათლად არ ასახავდა რაიმე გრძელვადიან მიზანსა თუ სტრატეგიას. პირიქით, იგი კიდევ უფრო შეზღუდული გახდა მას შემდეგ, რაც აუცილებელი გახდა სასწრაფო გადაწყვეტილებების მიღება მზარდი საბაჟო დეფიციტის საპასუხოდ. 1950-53 წლების ლიბერალური ვაჭრობის პოლიტიკასთან დაკავშირებული პირველი ექსპერიმენტი არ იყო თავისუფალი

ვაჭრობის გზაზე დადგომის გრძელვადიანი მცდელობა. 1958 წლის პროგრამა მაკორექტირებელი იყო და მიზნად არ ისახავდა უფრო ლიბერალური საბაჟო რეჟიმის შექმნას, რომელიც მუდმივად იქნებოდა გამოყენებული. ამავდროულად, ისიც აღსანიშნავია, რომ ტარიფების შეზღუდვის პაკეტს (devaluation package) თან ახლდა მონაცემების დამამახინჯებელი რამოდენიმე ელემენტი, თუმცა შენარჩუნებულ იქნა იმპორტმემცვლელი ზრდის მიდრეკილება. 1950-ანი წლების საერთო ეკონომიკური პოლიტიკა, უმეტესწილად, ქვეყნის შიდა პრობლემებისაკენ იყო მიმართული, მაგრამ იგი არ იყო დამყარებული არც ზუსტ ეკონომიკურ თეორიაზე და არც ფორმალურ დაგეგმვაზე. ეკონომიკური პოლიტიკა უმეტესწილად დამყარებული იყო მყისიერი რეაქციაზე და მასში შეიმჩნეოდა კოორდინაციის პოლიტიკის მიმართ ინტერესის ნაკლებობა.

ეკონომიკამ 1950 წლის ბოლოსათვის დაცემის უკიდურეს წერტილს მიაღწია. საერთო ჯამში, 1950-ან წლებში დემოკრატიული მთავრობის ყველაზე მეტად გაკრიტიკებული ასპექტი იყო დაუგეგმავი და არაკოორდინირებული ქმედებები, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა „ლიბერალური“ ეკონომიკური პოლიტიკის მთავრობისეული აღქმის გამო. 1950-ანი წლების დასასრულს, ეკონომიკური კრიზისი პოლიტიკურ კრიზისში გადაიზარდა.

1929-1980-ანი წლების განმავლობაში, თურქეთის განვითარების სტრატეგიაში დომინირებდა იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკა, რომელსაც გააჩნდა საბაჟო კონტროლის შესუსტების ორი მოკლევადიანი პერიოდი: 1950-53წწ. და 1970-73წწ. 1960-ანი და 1970-ანი წლები განპირობებული იყო იმპორტის ინტენსიური ჩანაცვლებით, რომელიც განხორციელდა ეფექტური რაოდენობრივი შეზღუდვებითა და გაუფასურებული ეროვნული ვალუტის რეჟიმის წინასწარგანსაზღვრული პოლიტიკით.

რეტროსპექტივაში შეგვიძლია უხეშად გამოვარჩიოთ სამი ქვეპერიოდი. ამასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ პირველ ხუთწლიან გეგმაში (1963-67) იმპორტის ჩანაცვლება იყო ინდუსტრიალიზაციის მიზნის მიღწევის ხერხი, უკვე მეორე ხუთწლიან გეგმაში (1968-72) იმპორტის ჩანაცვლებისა და შინაგანი საქმეების



მიმართ მიმართული პოლიტიკა გადასახადების დაბალანსების სირთულიდან გამომდინარეობდა (Kruger, 1996<sup>75</sup>).

გეგმის ავტორების მიხედვით, საბაჟო პოლიტიკის როლი საშინაო მრეწველობის (ე.წ. „ახალშობილი ინდუსტრიის“ არგუმენტი) დაცვაში მდგომარეობდა და კაპიტალტევადი პროდუქციისა და ნედლეულის იმპორტის ნებართვა განიხილებოდა, როგორც უმთავრესი ელემენტი სამი მიზნის მისაღწევად. 1960-ანი და 1970-ანი წლების განვითარების გეგმებს მომდევნო სამი მიზანი აერთიანებდა.

- ეკონომიკური ზრდა;
- მწარმოებლებისათვის ზრდის მაღალი სამიზნეების დაწესებით გამოწვეული სტრუქტურული ცვლილებები;
- იმპორტთან კონკურირებადი ინდუსტრიების განვითარება და ექსპორტის გამრავალფეროვნება.

ISI (Import Substitution Industrialization) სტრატეგია (იმპორტშემცვლელი ინდუსტრიალიზაცია), რომელიც შინაგანი საქმეების განკარგვას ითვალისწინებდა, წარმატებული აღმოჩნდა, რამეთუ მოხდა ზრდის მაჩვენებლების მაღალ დონეზე შენარჩუნება. ეტატიზმზე (Etatism-)<sup>76</sup> ორიენტირებული პოლიტიკა 1973-74 წლების პირველივე „ნავთობის შოკისგან“ დაიმსხვრა, მაშინ როდესაც საშინაო პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესება, საშინაო ინფლაციისა და საგარეო ვალის ზრდა დასაშვებზე მაღალ დონეზე მიმდინარეობდა, სესხების გაცემა კი საბოლოოდ შეწყდა. ყველა ამ მიზეზის გამო, საგარეო ვალის კრიზისი 1978 წელს გარდაუვალი გახდა. ეტატიზმური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა მისი დაშლა, იყო ხელფასების გადაჭარბებული ზრდა, რაც გამოწვეული იყო სამუშაო ძალის ბაზრის ლიბერალიზაციითა და 1961 წლის კონსტიტუციის მიერ პროფკავშირების გარანტირებული ლეგალიზაციით.

<sup>75</sup> Krueger, A. O., 1993, "Free Trade Agreements as Protectionist devices: Rules of Origin," NBER, Working Paper No. 4352.

<sup>76</sup> ქვეყნის მოქალაქეთა საქმიანობაზე ყოველმხრივი კონტროლის დაწესება (Total control of the State over an individual citizen).

**ცხრილი 2.1. თურქეთის განვითარების სტრატეგია რესპუბლიკის შექმნის პერიოდიდან**

პერიოდი	ინსტიტუციური წყობა	განვითარების სტრატეგია
1923-29	კერძო საწარმო, თავისუფალი ვაჭრობა დაბალი ტარიფებით (ლოზანის შეთანხმება)	დასავლურ გამოცდილებაზე გადასვლა (ვესტერნიზაცია), აღორძინება, ინფრასტრუქტურა, ინდუსტრიალიზაცია, საგადასახადო რეფორმა
1929-39	ეტატიზმი, შერეული ეკონომიკა ფართო კერძო საწარმოო სექტორით, საგადამხდელო ბალანსის კონტროლი, პრიმიტიული ხუთწლიანი დაგეგმვა	შიდა პრობლემების მოსაგვარებლად მიმართული იმპორტის ჩანაცვლება, ინფრასტრუქტურის ინდუსტრიალიზაცია
1939-46	ეტატიზმი, შერეული ეკონომიკა, სამხედრო ეკონომიკა ნეიტრალიტეტის შესანარჩუნებლად	ომის გათვალისწინება
1946-50	მოშვებული ეტატიზმი, შერეული ეკონომიკა, კონტროლი	აღორძინება, გამლიერებული ყურადღება აგროკულტურის მიმართ
1950-53	დემოკრატია, ვაჭრობის ლიბერალიზაცია, შერეული ეკონომიკა	აგროკულტურათა ზრდა და მექანიზაცია
1953-59	დემოკრატია, შერეული ეკონომიკა, საგადამხდელო ბალანსის კონტროლი	აგროკულტურათა ზრდა, იმპორტის ჩანაცვლება
1959-62	დემოკრატია ჩანაცვლებულია სამხედრო რეჟიმით, შერეული ეკონომიკა	სტაბილიზაცია
1962-78	დემოკრატია, შერეული ეკონომიკა, სრულყოფილი დაგეგმვა, სამუშაო ძალის ბაზრის ლიბერალიზაცია	იმპორტის ჩანაცვლება ინდუსტრიალიზაციით
1978-80	იგივე რაც 1962-78 წლებში	სტაბილიზაცია
1980-85	სამხედრო რეჟიმი, რომელსაც მოყვა შეზღუდული დემოკრატია, შერეული ეკონომიკა, საბაჟო და ფინანსური ლიბერალიზაცია, სამუშაო ძალის ბაზრის შეზღუდვა	სტაბილიზაცია, ექსპორტზე ორიენტირებული ზრდა
1985-95	დემოკრატია, შერეული ეკონომიკა, საბაჟო და ფინანსური ლიბერალიზაცია, მზარდი ინფლაცია	ექსპორტზე ორიენტირებული ზრდა
1995-06	დემოკრატია, შერეული ეკონომიკა, საბაჟო და ფინანსური ლიბერალიზაცია, CU-ს მიღება,	ექსპორტზე ორიენტირებული ზრდა

წყარო: [http://www.ecomod.net/conferences/ecomod2003/ecomod2003\\_papers/Utkulu.pdf](http://www.ecomod.net/conferences/ecomod2003/ecomod2003_papers/Utkulu.pdf) (ბოლო ვიზიტი: 27.01.2009)

დერვის ქ., მელო ჯ., რობინსონი ს. (Dervis K., Melo J., and Robinson S., 1981)<sup>77</sup> აფასებენ 1960-ანი და 1970-ანი წლების იმპორტის ჩანაცვლების ზომების შედეგებს. მათი თქმით, ISI-ს პოლიტიკამ დიდი წვლილი შეიტანა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში, განსაკუთრებით 1960-ან წლებში. ამრიგად, ისინი მხარს უჭერენ იმ ხედვას, რომ იმპორტის ჩანაცვლებამ (1960-ანი წლების თურქეთის შემთხვევაში) შესაძლოა მოახდინოს ბუნებრივი უპირატესობების ექსპლუატაცია და ამავდროულად იყოს უაღრესად ეფექტური, თუმცა ადრე თუ გვიან ეს უპირატესობები გაქრებოდა. მათი აზრით, თურქეთმა ამ ეტაპს 1970-ან წლებში მიაღწია.

1980 წლის იანვარში თურქეთის ეკონომიკური პოლიტიკა რადიკალურად შეიცვალა. ამ დროს, რამდენიმე არაწარმატებული მცდელობისა (1978-1979) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ჩავარდნილი პროგრამის შემდეგ მთავრობამ გამოაცხადა ეკონომიკური რეფორმის პროგრამა. ქვეყნის შინაგანი პრობლემებისკენ მიმართული ISI პროგრამა შეიცვალა საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაზე ორიენტირებული სტრატეგიით. ეკონომიკური რეფორმის პროგრამა ძირითადად შედგებოდა მომდევნო მიზნებისაგან, რომლებიც ნაწილობრივ შესრულებულ იქნა: ამის შემდეგ თურქეთი დაადგა საექსპორტო ზრდის სტრატეგიის. ამ სტრატეგიის შინაარსი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- შინაგან პოლიტიკაზე ორიენტირებული ISI სტრატეგიის შეწყვეტა და მისი ჩანაცვლება საგარეო პოლიტიკაზე ორიენტირებული სტრატეგიით, რომელიც დამყარებული იყო საბაზრო ეკონომიკაზე (ეს გახლავთ თურქეთის ეკონომიკური რეფორმის პროგრამის მაკრო და უმთავრესო მიზანი);
- მთავრობის პირდაპირი ინტერვენციის შემცირება სამრეწველო სექტორში;
- ბარიერების შემცირება პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის;

<sup>77</sup> Dervis, K., J. de Melo and S. Robinson (1981), General Equilibrium Models for Development Policy, Cambridge University Press, Cambridge. Vol.91. გვ. 891-906

- ფართო საფასო ლიბერალიზაცია, მათ შორის ვალუტის კურსისა და საპროცენტო განაკვეთის რეალური და მოქნილი დონის დადგენა;
- იმპორტის საფეხურეობრივი ლიბერალიზაცია;
- მჭიდრო მონეტარული კონტროლი და დისციპლინა საშინაო შთანთქმის აღსაკვეთად და ინფლაციის დონის დასაწევად;
- ფინანსური სექტორის რეფორმა. 1980-ანი წლების მიწურულს არსებობდა მხოლოდ მცირე შეზღუდვა ფინანსურ ბაზარზე;
- კერძო საწარმოების რეფორმა მათთვის ზედმეტი ტვირთის შესამსუბუქებლად და ეფექტურობის გასაზრდელად;
- პრივატიზაციის წახალისება და კერძო საწარმოების რაოდენობის განსაზღვრა;
- კერძო ინვესტიციის პროგრამის დერეგულაცია და რაციონალიზაცია;
- ექსპორტი სტრატეგიის მთავარი მმართველი ძალაა, ანუ ექსპორტის ხელშეწყობის მეტად ეფექტური ზომები ექსპორტის სწრაფ ზრდას უწყობს ხელს;
- გადაიდგა ნაბიჯები საგარეო ვალების გაუმჯობესებული მენეჯმენტისა და კრედიტუნარიანობის გაძლიერებისაკენ.

### *2.1. თურქეთის მიერ ევროკავშირთან საბაჟო კავშირის ჩამოყალიბებისათვის გადადგმული ნაბიჯები*

მოსამზადებელი ეტაპი (1964-1969): დროის ამ მონაკვეთში თურქეთის ეკონომიკა დაუახლოვდა ევროკავშირის სტანდარტებს, რასაც დიდი ზეგავლენის მოხდენა შეეძლო თურქეთის ამ ორგანიზაციაში გაერთიანებაზე. ამ პერიოდში ევროკავშირის წევრებმა შეამცირეს საბაჟო გადასახადი ზოგიერთ პროდუქტზე, როგორცაა ბამბა და ლელვი, რაც წარმოადგენდა თურქეთის ექსპორტის საგრძნობ ნაწილს. ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა (EEC) თურქეთის ეკონომიკას დიდ დახმარებას უწევდა, რათა მას დაეძლია სირთულეები მომდევნო გარდამავალ და დამასრულებელ ეტაპებზე.

**გარდამავალი ეტაპი (1973-1996):** 22-წლიანი გარდამავალი ეტაპი, რომლის დროსაც არსებითი ზომები მიმართული იყო ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და ძლიერი საბაზრო სტრუქტურის შექმნისაკენ. მხარეებმა მიაღწიეს იმ გადაწყვეტილებას, რომ შესრულდა ყველა პირობა, რომელიც აუცილებელი იყო საბაჟო კავშირის შესაქმნელად. ევროკავშირმა ნულამდე დაიყვანა საბაჟო გადასახადები სამრეწველო პროდუქციაზე, ზეითუნის ზეთის, შაქრის, წველებისა და სხვა რამდენიმე პროდუქტის გარდა. 1971 წლის შემდეგ თურქული წარმოების სამრეწველო პროდუქცია ევროკავშირის ქვეყნებში ყოველგვარი საბაჟო გადასახადის გარეშე შედიოდა, გამონაკლისს წარმოადგენდა თურქული საფეიქრო პროდუქცია, რომლისთვისაც საბაჟო გადასახადი 12 წლის განმავლობაში დაყავდათ ნულამდე. ევროკავშირის ქვეყნებმა, მცირე გამონაკლისის გარდა, გააუქმეს რაოდენობრივი შეზღუდვებიც ამგვარ პროდუქციაზე. თურქეთის აგროკულტურათა პროდუქციის ექსპორტი, რომელიც აღირიცხებოდა საერთო აგროკულტურათა პოლიტიკით (CAP, Common Agricultural Policy) 1987 წლის 1 იანვრიდან გათავისუფლდა იმპორტის ჩვეულებრივი გადასახადისაგან, თუმცა არა ცვალებადი გადასახადისაგან. ზოგიერთი პროდუქტისათვის საბაჟო გადასახადის მოხსნას თან ახლდა რაოდენობრივი შეზღუდვებისა და სეზონური ქვოტების დაწესება, მისათითებელი ფასების შესწავლის მოთხოვნა ან მინიმალური საიმპორტო ფასებისა და ნებაყოფლობითი ექსპორტის შეზღუდვა. 1972 წლის 31 დეკემბერს თურქეთმა გაზარდა საბაჟო გადასახადი 10 %-ით, თუმცა მომდევნო წელს იგი ისევ შემცირდა. აქედან გამომდინარე, საბოლოო ჯამში ამ მაჩვენებელს თითქმის არავითარი ცვლილება არ განუცდია. 1976-დან თურქეთმა შეაჩერა ყველა ვალდებულების შესრულება. ეს გაგრძელდა 1987 წლამდე, როდესაც თურქეთმა განაცხადა სრულყოფილებიან წევრად გახდომის სურვილი. ევროკავშირში გაწევრიანების 12-წლიან სიაში თურქეთი შევიდა ტარიფების 30%-ანი კლების მაჩვენებლით, ხოლო 22-წლიან სიაში -- 20%-ანი კლების მაჩვენებლით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ საბაჟო გადასახადის შემცირების გეგმა დამატებითი პროტოკოლის მიხედვით.

**ცხრილი 2.2. საბაჟო გადასახადების თანდათანობითი კლების სიჩქარე მომდევნო წლების განმავლობაში**

პირველი 12 წელიწადი და ტარიფების ტარიფების კლების სიჩქარე 22 წლის კლების სიჩქარე განმავლობაში

თარიღი	წლიური კლების %	საერთო კლების %	თარიღი	წლიური კლების %	საერთო კლების %
1.1.1973		10	1.1.1973	5	5
1.1.1974	10	10	1.1.1974		5
1.1.1975		10	1.1.1975		5
1.1.1976	10	20	1.1.1976	5	10
1.1.1977		20	1.1.1977		10
1.1.1978	10	30	1.1.1978		10
1.1.1979	10	40	1.1.1979	5	15
1.1.1980	10	50	1.1.1980		15
1.1.1981	10	60	1.1.1981		15
1.1.1982	10	70	1.1.1982		15
1.1.1983	10	80	1.1.1983	5	20
1.1.1984	10	90	1.1.1984		20
1.1.1985	10	100	1.1.1985	10	30
			1.1.1986	10	40
			1.1.1987		40
			1.1.1988	10	50
			1.1.1989		50
			1.1.1990	10	60
			1.1.1991	10	70
			1.1.1992		70
			1.1.1993	10	80
			1.1.1994	10	90
			1.1.1995	10	100

Source: [http://ec.europa.eu/taxation\\_customs/rules\\_origin/customs\\_unions/article\\_414\\_en.htm](http://ec.europa.eu/taxation_customs/rules_origin/customs_unions/article_414_en.htm) (ბოლო ვიზიტი: 02.02.2009)

ეს პერიოდი დასრულდა 1995 წელს, როდესაც ხელი მოეწერა საბაჟო კავშირის შეთანხმებას.

**დამასრულებელი ეტაპი:** 1995 წლის მარტის ასოცირებული საბჭოს გადაწყვეტილებით, საბაჟო კავშირის პოლიტიკა ძალაში შევიდა 1996 წლის 1 იანვარს. ეს დამასრულებელი ეტაპი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია

თურქეთის ეკონომიკის მოდერნიზაციისკენ და მისი ინტეგრაციისკენ ევროკავშირში.

საბაჟო კავშირის შეთანხმების თანახმად, თურქეთი ვალდებულია ჩაჯდეს შემდეგ კრიტერიუმებში:

- საერთო საბაჟო წესები;
- საერთო წესები იმპორტისთვის;
- იმპორტის დემპინგის დაცვა;
- იმპორტის უწყვეტობის დაცვა;
- რაოდენობის ლიმიტირების განსაზღვრის მენეჯმენტი;
- საერთო წესები ექსპორტისთვის;
- ოფიციალურად საექსპორტო კრედიტის მხარდაჭერა .<sup>78</sup>

საბაჟო კავშირის წევრად გახდომის მოლოდინში, თურქეთმა დაიწყო ევროკავშირის საბაჟო ან ვაჭრობასთან დაკავშირებული მრავალი კანონის მიღება, რომლებიც მოიცავდა საგარეო ვაჭრობის რეჟიმს, კონკურენციის პოლიტიკას, ინტელექტუალური საკუთრებისა და მომხმარებლების დაცვას. გარდა ჩამოთვლილისა, ევროკავშირი თურქეთისგან მოითხოვდა :<sup>79</sup>

- საბაჟო გადასახადების გაუქმებას 1996 წლის 1 იანვრისათვის უნდა მოჰყოლოდა ექვივალენტური ეფექტი სამრეწველო პროდუქციით ორმხრივი ვაჭრობისათვის; 1999 წლის 1 იანვრისათვის მოხდებოდა გადასახადების გაუქმება ქვანახშირისა და ფოლადის დარჩენილ 142 სახის პროდუქციაზე (როგორც დათვლილია 12-ციფრიანი რიცხვის დონეზე შეთანხმებული საქონლის კოდირებული სისტემით, HS) (აღნიშნულია ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის საზოგადოებით); და აგრეთვე 1999 წლის 1 იანვრისათვის უნდა მომხდარიყო გადამუშავებული აგროკულტურათა პროდუქციის სამრეწველო კომპონენტზე გადასახადების გაუქმება;
- 1996 წლის 1 იანვრამდე ევროკავშირის საერთო საგარეო ტარიფის (CET) მიღება მესამე ქვეყნის სამრეწველო და გადამუშავებული აგროკულტურათა პროდუქციის იმპორტის წინააღმდეგ (გარდა რამოდენიმე პუნქტისა,

<sup>78</sup> Karluk Ridvan (1996) AB ve Turkiye, 1996, Istanbul Menkul Kiymetler Borsasi Publishing p. 535.

<sup>79</sup> Based on WTO document WT/REG22/1, 13 February 1996, and Togan (1997).

რომელიც აღნიშნულია ასოცირებული საბჭოს გადაწყვეტილების 2/95 დანართში)<sup>80</sup>,

- 2001 წლის 1 იანვრისათვის შეღავათიანი ბაჟის შეთანხმებების მიღება, რომლებიც მიღებულ იქნა ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებს შორის;
- 1996 წლის 1 იანვრისათვის შეზღუდვების გაუქმება რაოდენობაზე ან ზომაზე, რასაც უნდა მოჰყოლოდა ექვივალენტური ეფექტი ევროკავშირთან სამრეწველო პროდუქციით ვაჭრობაში;
- 1996 წლის 1 იანვრისათვის ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის (საფეიქრო პოლიტიკის გარეშე) რეგულირებასთან დაახლოება და მისი დანერგვა, მათ შორის, იმპორტის საერთო წესები, რაოდენობრივი ქვოტების მართვის პროცედურები და ოფიციალურად მხარდაჭერილი საექსპორტო კრედიტები;
- 1996 წლის 1 იანვრისათვის ევროკავშირის საბაჟო დებულების მიღება პროდუქციის წარმომავლობის დარგში რომელშიც შედის: პროდუქციის საბაჟო ღირებულება; საქონლის შეტანა საბაჟო კავშირის ტერიტორიაზე; საბაჟო დეკლარაცია; პროდუქციის გაშვება თავისუფალ ცირკულაციაში; საბაჟო პროცედურები; საქონლის გადაადგილება; საბაჟო დავალიანება; აპელაციის უფლებები;
- 1996 წლის 1 იანვრისათვის ევროკავშირის კონკურენციის ნორმების მიღება;
- 2001 წლის 1 იანვრისათვის ტექნიკური ბარიერების მოხსნასთან დაკავშირებული ევროკავშირის ინსტრუმენტების საკუთარ კანონმდებლობაში შეტანა;
- ადეკვატური და ეფექტური დაცვის უზრუნველყოფისა და ინტელექტუალური, სამრეწველო და კომერციული საკუთრების უფლებების დაცვა; უმეტესი ზომების დაუყოვნებლივი მიღება და 1999 წლის 1 იანვარს ფარმაცევტული პროდუქციის სტანდარტიზაციის ათვისება, ამისათვის კი სატრანზიტო პერიოდის გამოყენება, რომელიც დასრულდა 1999 წლის 31 დეკემბერს, ინტელექტუალური საკუთრების ვაჭრობასთან დაკავშირებულ

<sup>80</sup> თურქეთი შეინარჩუნებს მაღალი დაცვის ხარისხს იმასთან შედარებით, რაც მოცემულია ჩ თ-ში, გარკვეული "მგრანობიარე" პროდუქციის მიმართ, რაც 290 სახის საქონლის ექვივალენტურია (სამგზავრო მანქანები 2000 კუბურ სმ-ზე მცირე ძრავით, ველოსიპედები, ტყავის ქეისები და ჩანთები, ფეხსაცმელები და მათი ნაწილები, ავეჯი, კერამიკის ნაწარმი, რკინისა და ფოლადის მავთულები და თოკები, რომლებიც არ არიან ელექტრონულად იზოლირებულნი, ქაღალდის ჩანთები და ტომრები და ცემენტის ფერტილიზატორები).



ასპექტებზე შეთანხმება TRIPS-ს (Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights) მიხედვით .

უმთავრესი სფეროები, სადაც საბაჭო კავშირის შეთანხმებები (CUD Customs Union Decision) შეზღუდულია, არის ის სფეროები, სადაც თურქეთი არ არის დაშვებული ბაზრის უმნიშვნელოვანეს ასპექტებში: საერთო აგრარული პოლიტიკა (CAP) აგროკულტურათა პროდუქციის თავისუფალი გადაადგილების ჩათვლით; მუშახელისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება; წინსვლა ერთიანი ვალუტის შემოდების მიმართულებით. ევროპული ეკონომიკური ზონის (EEA) ქვეყნებისგან განსხვავებით, თურქეთი შესაძლოა გახდეს ანტი-დემპინგური ზომების სამიზნე ევროკავშირის მხრიდან. თავიდანვე განსაზღვრული ევროკავშირის საფინანსო დახმარება თურქეთის მიმართ ჯერაც არ არის ხელმისაწვდომი, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ევროკავშირ-თურქეთის ურთიერთობებზე.

თურქეთმა გააუქმა ტარიფები და გადასახადები სამრეცველო პროდუქციაზე, რომელიც ევროკავშირიდან შემოდის და დაიწყო ევროკავშირის ოპტიმალური ტარიფის CET-ის გამოყენება მესამე ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე. ამან გამოიწვია ამ იმპორტზე ტარიფების ხელშესახები შემცირება. ევროკავშირის აზრით, თურქეთმა უნდა

- (I) გაამახვილოს ყურადღება კანონმდებლობის შეთავსებაზე ისეთ საბაჭო ასპექტებთან, როგორცაა ორმაგი გამოყენების საქონლის კონტროლი, ყალბი და მეკობრული პროდუქცია და კულტურული საქონელი;
- (II) დამატებით იმუშაოს თავისუფალ ეკონომიკურ ზონებზე და იმ საბაჭო პროცედურებზე, რომელთაც ეკონომიკური ზემოქმედება გააჩნიათ;
- (III) მოახდინოს საქმიანობის ჰარმონიზაცია ისეთ სექტორებში, როგორცაა საკვები პროდუქტები, ფარმაცევტული ნაწარმი და კოსმეტიკა; გააუმჯობესოს სხვადასხვა ორგანოების ფუნქციონირება (სტანდარტიზაცია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება);
- (IV) მიიღოს კონკურენციის გამაძლიერებელი ნორმები;

- (V) გააძლიეროს ინტელექტუალური საკუთრების კანონის დანერგვა;
- (VI) დაარეგულიროს კომერციული ხასიათის სახელმწიფო მონოპოლიები, რათა მიაღწიოს დისკრიმინაციის ფაქტორის გაუქმებას ბაზრის ათვისების პროცესში EC-სა და თურქულ ოპერატორებს შორის.<sup>81</sup>

ევროკავშირის ახალი ინიციატივა, რომელიც ეხებოდა თურქეთისთვის ფინანსური დახმარების მომატებას, ძალაში შევიდა 2001 წლის დეკემბერში. ეს ახალი ინიციატივის ჩარჩო მიზნად ისახავს მშპ-ს “ნამატიდან” გამომდინარე მიდგომას ფინანსურ თანამშრომლობაში ევროპულ საზოგადოებასა და თურქეთს შორის და აგრეთვე გადახდის (ფინანსური დახმარების) პროცესის დაჩქარებას. რაც შეეხება კანდიდატ ქვეყნებს, ფინანსურმა დახმარებამ აქცენტი უნდა გააკეთოს მიღების პარტნიორობასა და ევროკავშირში გაერთიანების ნაციონალურ პროგრამაზე NPAA-ზე (National Programme for the Adoption of the Acquis).<sup>82</sup>

განხილული საკითხების ანალიზის საფუძველზე ქვევით ჩამოთვლილია საბაჟო კავშირის წევრობის დადებითი და უარყოფითი მხარეები:

საბაჟო კავშირიში თურქეთის გაერთიანების დადებითი მხარეებია:

- თურქ მწარმოებლებს მოუწევთ მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოება, რომელიც სავარაუდოდ შედარებით დაბალ ფასში გაიყიდება მაღალი კონკურენციის გამო;

---

<sup>81</sup> სატრანზიტო პერიოდის განმავლობაში, რომელიც დასრულდა 2001 წლის 1 იანვარს, თურქეთმა შეინარჩუნა სატარიფო დაცვის მაღალი ხარისხი იმასთან შედარებით, რაც მოცემულია CET-ში გარკვეული ”მგრძობიარე” პროდუქციის მიმართ, რაც 290 სახის საქონლის ექვივალენტურია HS თორმეტ-ციფრიან დონეზე (სამგზავრო მანქანები 2000 კუბურ სმ-ზე მცირე ძრავით, ველოსიპედები, ტყავის ქეისები და ჩანთები, ფეხსაცმლები და მათი ნაწილები, ავეჯი, კერამიკის ნაწარმი, რკინისა და ფოლადის მავთულები და თოკები, რომლებიც არ არიან ელექტრონულად იზოლირებულნი, ქაღალდის ჩანთები და ტომრები და ცემენტის ფერტილიზატორები).

<sup>82</sup> პოლიტიკური და ეკონომიკური კრიტერიუმები, რომლებიც უნდა შეასრულოს კანდიდატმა ქვეყანამ ევროკავშირში გასაერთიანებლად, 1993 წლის ივნისში კოპენჰაგენის ევროპული საბჭოს სხდომაზე დადგინდა. ეს კრიტერიუმებია: ”დემოკრატიის გარანტი ინსტიტუციების სტაბილურობა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებებისა და უმცირესობების დაცვა; ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის არსებობა, ამასთან კონკურენციის ზეწოლისა და კავშირის საბაზრო ძალების გამკლავების შესაძლებლობა; წევრობის ვალდებულებების შესრულება, როგორცაა, პოლიტიკური, ეკონომიკური და მონეტარული მიზნების ერთგულება.” კანდიდატმა ქვეყანამ უნდა შეძლოს ევროკავშირის მოთხოვნების შესრულება, ანუ საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური წყობილება, რომელიც ცნობილია, როგორც აცქუსის და შედგება 29 თავისაგან. 2001 წლის მარტში, თურქეთმა მიიღო თურქული ნაციონალური პროგრამა Acquis-ის დასანერგად (NPAA). ევროპული კომიტეტი (2002).

- მწარმოებლებს მიეცემათ შესაძლებლობა, შეაღწიონ განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე;
- ფართო ბაზარზე გასვლა დიდ შესაძლებლობებს გაუხსნის თურქ მეწარმეებს;
- ევროკავშირსა და თურქულ ფირმებს შორის (იგულისხმება ევროკავშირთან ერთობლივი პროგრამით) ფინანსური თანამშრომლობის გამო გაუმჯობესდება თურქეთის ინფრასტრუქტურა;
- თურქეთი გახდება ცენტრი ევროკავშირის იმ ფირმებისათვის, რომლებიც გადაწყვიტენ თავისი საქონლის ცენტრალურ აზიაში, შავი ზღვის რეგიონსა და ახლო აღმოსავლეთში გატანას;
- გაიზრდება უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა.

თურქეთისთვის საბაჟო კავშირში გაწევრიანების უარყოფითი მხარეებია:

- პატარა საწარმოები დაზარალებიან ტექნოლოგიებისა და ცოდნის ნაკლებობის გამო;
- იმპორტი მესამე ქვეყნებიდან დაიკლებს;
- თურქულ ფირმებზე ზეგავლენას მოახდენს მაღალი კონკურენცია;
- ფირმების მოგება შემცირდება;
- თუ წახალისება არ იქნება ისეთავე, როგორც არის ევროკავშირში, მაშინ ევროკავშირის მხარდაჭერა საკუთარი მწარმოებლების მიმართ ნეგატიურ გავლენას იქონიებს თურქ მწარმოებლებზე;
- თურქეთში მუშახელის ფასი მოიმატებს, ამრიგად, თურქი მწარმოებლების ერთ-ერთი უპირატესობა გაქრება.

### **საერთო საბაჟო ტარიფი (CCT)**

საერთო საბაჟო ტარიფის მიხედვით, როდესაც თურქეთი ახდენს იმპორტს მესამე ქვეყნიდან, მან უნდა გამოიყენოს ევროკავშირის საერთო საბაჟო ტარიფი სამრეწველო საქონელზე და არ მოითხოვოს სხვა საბაჟო გადასახადები. მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა საბაჟო კავშირის ხელშეკრულებას 1995 წელს, თურქეთმა შეასრულა CCT-ის (Common Customs Tariff ) 85%.

### **საბაჟო კავშირის მოქმედება 1996 წლის შემდეგ**

საბაჟო კავშირში გაწევრიანების შემდეგ თურქეთს მოუწევს რამოდენიმე ზომის მიღება, რომელსაც ევროკავშირის შიგნით იყენებენ. რაც შეეხება დანერგვის

პროცედურებს, არსებობს საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც წარმოდგენილია საბაჟო კავშირის მიერ. ამ ჩარჩოში მხარეების ვალდებულებები წარმოიშვება საბაჟო კავშირის გადაწყვეტილებებიდან, რომლებიც უკავშირდება საბაჟო გადასახადის გაუქმებას, რაოდენობრივ შეზღუდვებს და იმ ზომებს, რომელთაც ექნებათ შესაბამისი ეფექტი.

1996 წლის 1 იანვრისათვის შესრულდა იქნა საბაჟო კავშირის ზოგი ორმხრივი ვალდებულება. ამასთან ერთად, მგრძობიარე პროდუქტებთან დაკავშირებული შემცირებები, რაც განპირობებული იყო ასოცირებული კავშირის საბჭოს № 2/95 მიერ, ჯერ კიდევ გრძელდება.

### **ტექნიკური ბარიერების გაუქმება ვაჭრობისათვის**

ის ზომები, რომლებიც მიღებულ იქნა საბაჟო კანონის მითითებით, არ არის საკმარისი სასურველ დონეზე საქონლის თავისუფლად გადაადგილების უზრუნველსაყოფად. ამის გამო ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს, გაჰყოლოდნენ უფრო ლიბერალურ გზას და გააუქმეს დარჩენილი ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიდა საქონლის თავისუფალ გადაადგილებას. წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში თურქეთიც შეეცდებოდა მიეღო საზოგადოებრივი და ეკონომიკური ბერკეტები: ხარისხი, აკრედიტაცია და ა.შ. რათა მომხდარიყო ტექნიკური ბარიერების მაქსიმალური შეზღუდვა. ასოცირებული საბჭოს გადაწყვეტილებით (№ 2/95), გამოცხადდა კანონების ის ჩამონათვალი, რომელთა მიღებაც აუცილებელი გახდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი გახლავთ ის, რომ ამ პროცესის მიმდინარეობისას, თუკი თურქეთი შეასრულებს შეთანხმების მოთხოვნებს, მაშინ ტექნიკური ბარიერები თურქული პროდუქციის მიმართ გაუქმდება ევროკავშირის წევრების მიერ და თურქეთს არ მოუხდება ლოდინი გარდამავალი პერიოდის დასრულებამდე.

### **ევროკავშირის კანონმდებლობასთან შეთანხმება**

გადაწყვეტილება სტანდარტიზაციის რეჟიმთან დაკავშირებით საგარეო ვაჭრობაში გამოქვეყნდა 1996 წლის მარტის “ოფიციალურ გაზეთში” № 22222 და ძალაში შევიდა 1996 წლის აპრილში. საერთაშორისო სტანდარტების გარდა, ამ

რეჟიმს მოჰყვა სხვა რეჟიმები, როგორცაა პერსონალური უსაფრთხოება, ეროვნული უსაფრთხოების მოთხოვნები, გარემოს დაცვა და მომხმარებლის დაცვა.

### **სტანდარტები**

საბაჟო კავშირის შეთანხმების შემდეგ თურქეთი შეასრულებს სტანდარტიზაციის, გაზომვის, ხარისხის, აკრედიტაციის, შემოწმებისა და სერთიფიცირების მოთხოვნებს 5 წლის ვადაში.

თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტმა, TSE (Turkish Standart Institute) , რომელიც არის უფლებამოსილი და პასუხისმგებელი თურქეთის სტანდარტის მომზადებაში ყველა სახის მასალაში, პროდუქციის წარმოებასა თუ მომსახურებაში, დაიწყო ევროკავშირის სტანდარტების მიღება, რათა მომხდარიყო თურქეთის კანონმდებლობის 32 მუხლის მისადაგება 2000 წლის ბოლოსათვის, ამასთან თურქეთმა მიიღო ევროკავშირის სტანდარტების თითქმის 90 %.

იმისათვის, რომ მოხდეს იმპორტული საქონლის ევროკავშირის ნორმებთან გათანაბრება, 1999 წელს თურქეთმა რამდენიმე ტექნიკური ბარიერი შემოიღო. კანონის მიხედვით, თურქეთში იმპორტირებული საქონელი უნდა შესაბამებოდეს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტს.

ამრიგად, თურქეთმა დაიწყო ურთიერთობა ევროკავშირთან და 1963 წელს ხელი მოაწერა ანკარის ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში შევიდა 1964 წლის 1 დეკემბერს. გრძელვადიანი გეგმა ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობაა. ეს შეთანხმება იყო ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (EEC) ერთ-ერთი პირველი შეთანხმებათაგანი. ამ შეთანხმების მიხედვით, გასავლელია სამი ეტაპი: მოსამზადებელი ეტაპი, ტრანზიტული და დამასრულებელი ეტაპები. ამ შეთანხმების წყალობით დაიწყო ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობისა და თურქეთის ერთმანეთთან დაახლოება. ეს შეთანხმება ხელს უწყობს ვაჭრობის დაბალანსებულ გაძლიერებასა და ეკონომიკური ურთიერთობების გაღვივებას მხარეებს შორის, ამავდროულად იგი მთელი სერიოზულობით აღიქვამს თურქეთის ეკონომიკის სწრაფი განვითარებისა და თურქი ხალხის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების საჭიროებას. ზემოაღნიშნული შეთანხმების თანახმად, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლების მიხედვით უნდა მოხდეს საბაჟო კავშირის დაარსება.

## 2.2. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება თურქეთსა და EFTA-ს (European Free Trade Agreement) შორის ძალაში შევიდა 1992 წლის 1 აპრილს (1992 წლის სექტემბერში ისლანდიასთან). (EFTA-ს წევრებია: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია). შეთანხმება მოიცავს სამრეწველო პროდუქტებს (HS-Harmonized System 25-ე და 97-ე თავების შუალედში არსებული პროდუქტების ჩამონათვალი)<sup>83</sup>; გამონაკლისს წარმოადგენს აგროკულტურებთან დამოკიდებულებაში მყოფი ცხრა პროდუქტი მათ შორის: მანიფოლდი, სორბიტოილი, კასეინი, კვერცხისა და რძის ალბუმინი და დექსტრინი. 2002 წელს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიხედვით ხორციელდებოდა EFTA-დან თურქეთის იმპორტის 99%-ს და EFTA-ში მისი ექსპორტის 90%-ს. შეთანხმება აგრეთვე მოიცავდა ინტელექტუალურ საკუთრებას, კონკურენციას, სახელმწიფოს დახმარებასა და ანტი-დემპინგს.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება თურქეთსა დაფუძნებულია თურქეთის ევროკავშირთან შეთანხმების ასიმეტრიულ, მსგავს მოდელზე. 1993 წლის 1 იანვრიდან EFTA-დან იმპორტირებულ სამრეწველო პროდუქციაზე თურქეთმა

---

<sup>83</sup> <http://www.vvg-law.com/publications/19990409protocols.pdf> (ბოლო ვიზიტი: 05.01.2009)

დააწესა იგივე საბაჟო გადასახადი, როგორც იმპორტზე ევროკავშირიდან. რაც შეეხება თევზეულს, თურქეთმა დააწესა უკეთესი პირობები EFTA-ს ქვეყნებისთვის ევროკავშირთან შედარებით. გადამუშავებული აგროკულტურათა პროდუქციის ვაჭრობა იმავე სისტემით მიმდინარეობს, როგორც თურქეთსა და ევროკავშირს შორის, მაგალითად, MHF (Mass Housing Fund) გადასახადი გადამუშავებული აგროკულტურათა პროდუქციის კომპონენტებზე 1999 წლის 1 იანვრისათვის შემცირდა „გეგმით გათვალისწინებული აგროკულტურათა კომპონენტების“ მისაღწევად. 1992 წლის 1 აპრილს EFTA-ს ქვეყნებმა გააუქმეს ყველა საბაჟო გადასახადი იმპორტზე ან თურქეთიდან შემომავალ მისი შესაბამისი ეფექტის მქონე პროდუქციაზე, გარდა ტექსტილისა და ტანსაცმლისა. ტექსტილსა და ტანსაცმელზე ტარიფები გაუქმდა 1996 წლის 1 იანვარს.

საბაჟო კავშირიდან გამომდინარე პასუხისმგებლობებისა და მისი კომერციული პრიორიტეტების გათვალისწინებით, თურქეთმა დღემდე ხელი მოაწერა ცხრამეტ შეთანხმებას. ამჟამად ამ ცხრამეტი შეთანხმებიდან მხოლოდ ცხრა მოქმედებს: EFTA-სთან, ისრაელ-თან, ბულგარეთ-თან, მაკედონიას-თან, ხორვატიას-თან, ბოსნია-ჰერცეგოვინას-თან, პალესტინას-თან, ტუნისსა და საქართველოსთან.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება თურქეთსა და EFTA-ს ქვეყნებს შორის, რომელიც ძალაში შევიდა 1992 წლის აპრილში, იყო პირველი გადადგმული ნაბიჯი ევროკავშირის შეღავათიანი საბაჟო რეჟიმის მიღების გზაზე საბაჟო კავშირის ძალაში შესვლამდე. 1996-2000წწ., დროის მონაკვეთში პრიორიტეტი მიენიჭათ ევროპის იმ ქვეყნებს, რომლებიც იმ პერიოდში ჯერ არ იყვნენ ევროკავშირის წევრები. FTA ხელშეკრულებას ხელი მოეწერა ლიტვასთან, უნგრეთთან, ესტონეთთან, ჩეხეთთან, სლოვაკეთთან, პოლონეთთან, სლოვენიასთან და ლატვიასთან. როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნები გახდნენ ევროკავშირის წევრები 2004 წლის მაისში, FTA ამ ქვეყნების მიმართ აღარ გამოიყენებოდა. ისრაელთან, რუმინეთთან და ბულგარეთთან ხელმოწერილი FTA ძალაში შევიდა შესაბამისად 1997 წლის მაისში, 1998 წლის თებერვალში და 1999 წლის იანვარში.<sup>84</sup>

<sup>84</sup> <http://www.dtm.gov.tr/Ab/ingilizce/sta/stamenu.htm> (შესვლის თარიღი: 20.05.2006)

ბალკანეთი თურქეთის კიდევ ერთი პრიორიტეტი იყო. FTA მაკედონიასთან მიმართებაში ძალაში შევიდა 2000 წლის სექტემბერში. ამას მოყვა FTA-ს ძალაში შესვლა ხორვატიასთან და ბოსნია-ჰერცეგოვინასთან 2003 წლის ივლისში. ბარსელონის პროცესის ბიძგიტ, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებმა თურქეთის პრიორიტეტების სიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს. 2004 წელს FTA-ს ხელი მოეწერა ტუნისთან და პალესტინასთან. იმავე წელს დასრულდა შეთანხმება ტუნისთან და სირიასთან თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ. პრეფერენციური სავაჭრო ხელშეკრულებები პალესტინასთან და ტუნისთან ძალაშია 2005 წლის 1 ივნისიდან და 2005 წლის 1 ივლისიდან. 2008 წლის 1 ოქტომბერს ხელი მოეწერა FTA-ს ხელშეკრულებას საქართველოსთან.

**ცხრილი 2.3. თურქეთის მიერ თავისუფალი ვაჭრობის ზონის ხელშეკრულების ხელმოწერისა და ძალაში შესვლის თარიღები**

ქვეყანა	ხელმოწერის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი
ისრაელი	14.03.1996	01.05.1997
რუმინეთი	29.04.1997	01.02.1998
უნგრეთი	08.01.1997	01.04.1998
ლიტვა	02.06.1997	01.03.1998
ესტონეთი	03.06.1997	01.07.1998
ჩეხეთის რესპუბლიკა	03.10.1997	01.09.1998
სლოვაკეთი	20.10.1997	01.09.1998
ბულგარეთი	11.07.1998	01.01.1999
ლატვია	16.06.1998	-
სლოვენია	05.05.1998	-
პოლონეთი	04.10.1999	-
მაროკო	07.04.2004	
ტუნისი	28.08.2004	
საქართველო	01.11.2008	

წყარო: Prime Ministry, Foreign Affairs Undersecretariat of Turkey, December, 2005



## ევროპა-ხმელთაშუა ზღვისპირეთის თანამშრომლობა

1995 წლის ნოემბერში ევროკავშირი და ხმელთაშუა ზღვისპირეთის 12 პარტნიორი ქვეყანა ჩაება ევროპა-ხმელთაშუა ზღვისპირეთის თანამშრომლობის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროგრამაში, რომლის მიზანია „გაზიარებული კეთილდღეობის სივრცის“ შექმნა, ევროპა-ხმელთაშუა ზღვისპირეთის თავისუფალი ვაჭრობის ზონის ჩათვლით 2010 წლისათვის. ეს უნდა მოხერხდეს ევროპა-ხმელთაშუა ზღვისპირეთის ასოცირებული შეთანხმებით, რომელზეც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ევროკავშირსა და მის ხმელთაშუა ზღვისპირელ პარტნიორებს შორის. თურქეთმა მიაღწია ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ისრაელთან და ამჟამად მოლაპარაკებების პროცესშია სხვა ხმელთაშუა ზღვისპირელ პარტნიორებთან, რომლებიც არ არიან ევროპული საზოგადოების წევრები, რათა შეასრულოს ევროპა-ხმელთაშუა ზღვისპირეთის თანამშრომლობის მოთხოვნები.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი იყენებს ევროკავშირის CET-ს 1996 წლის 1 იანვრიდან, მას ჯერ არ მიუღია ევროკავშირის სატარიფო კლასიფიკაცია და თურქეთის ახალი ნაციონალური ტარიფი ჯერ კიდევ საკმაოდ რთულია, იგი შედგება თერთმეტი სიისაგან, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ 19,530 კლასიფიცირებულ სატარიფო ხაზს HS თორმეტ-ციფრიან დონეზე. ეს სიები უმეტეს წილად მოიცავს გადასახადების დონეს, რომლებიც გარკვეულ სექტორებში MFN-ის დონეზე დაბალია (მაგალითად, აგროკულტურათა პროდუქცია და გადამამუშავებული აგროკულტურათა პროდუქცია), ნედლეულს გარკვეული სექტორებისათვის (მაგალითად, სასუქისათვის და ქიმიკატებისათვის), ან იმ პროდუქტებს, რომლებსაც აგრეთვე მოიცავს რეგიონული შეთანხმება (EFTA, ისრაელი და რუმინეთი).

თურქეთი აგრეთვე შეინარჩუნებს CET-ში ზოგიერთი „მგრძნობიარე“ პროდუქციის აღნიშნულ დონეზე მაღალი დაცვის ხარისხს (HS თორმეტ-ციფრიან დონეზე 290 სახის საქონლის ექვივალენტი) ხუთი წლის განმავლობაში. ამ საქონელში შედის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა ძრავის სიმძლავრე 2,000 კუბურ სმ-ზე ნაკლებია, ფეხსაცმელები და მათი ნაწილები, ავეჯი, კერამიკის ნაწარმი, რკინისა და ფოლადის მავთულები და თოკები, რომლებიც არ

არიან ელექტრონულად იზოლირებულნი, ქალაქის ჩანთები და ტომრები და ცემენტის ფერტილიზატორები). ამ გამონაკლისებს არ გააჩნიათ დიდი ზეგავლენა საშუალო მაჩვენებელზე. სექტორული მაჩვენებლები აგრეთვე გვიჩვენებენ არსებით სხვაობას, სხვაობით 0-დან 365 პროცენტამდე და 24 პროცენტთან სტანდარტულ გადახრას; საშუალოზე მაღალი მაჩვენებლები ყველაზე ნათლად ჩანს საკვებში, სასმელში, თამბაქოსა და თევზეულში. თურქეთის სატარიფო სტრუქტურაში გრძელდება ტარიფების დონის მნიშვნელოვანი ზრდა.

საბოლოო ჯამში, თურქეთში ტარიფები იკლებს ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატებზე. ეს გულისხმობს შედარებით დაბალი დაცვის დონეს პროდუქციის გადამუშავების ბოლო ეტაპებზე, ვიდრე ჩანს ნომინალური განაკვეთებიდან. უფრო მნიშვნელოვანი სექტორები, რომელთაც აგრეთვე დეესკალაცია აღენიშნებათ, არის: „სხვაგვარი საწარმოო“ დარგები, მათ შორის საიუველირო, მუსიკალური ინსტრუმენტები, სპორტული აღჭურვილობა (ნედლეულიდან დაწყებული, სრულად გადამუშავებული პროდუქციით დასრულებული); ძირითადად მეტალურგია (ნახევარფაბრიკატებით დაწყებული, სრულად გადამუშავებული პროდუქციით დასრულებული); ქიმიკატების და მასთან დაკავშირებული პროდუქციის ნაწარმი (ნახევარფაბრიკატებით დაწყებული, სრულად გადამუშავებული პროდუქციით დასრულებული); ქალაქი და ქალაქის პროდუქცია, ბეჭდვა და გამოცემა (ნახევარფაბრიკატებით დაწყებული, სრულად გადამუშავებული პროდუქციით დასრულებული).

თურქეთის ტარიფები უმეტეს წილად ად ვალორემ საფუძველზეა დამყარებული (ტარიფების 98%), რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობის გაზრდას, თუმცა გადასახადები HS თორმეტ-ციფრიანი დონის 337 სახეობის პროდუქციას ეხება. ედ ვალორემ ტარიფების მოქმედების სფერო ჩვეულებრივ საკმაოდ მაღალია, უმეტეს წილად მოიცავს აგროკულტურისა და გადამუშავებულ პროდუქციას. თურქეთი იყენებს არა- ად ვალორემ ტარიფებს თავისი ტარიფების ევროკავშირის ოპტიმალურ ტარიფებთან (CET გადამუშავებულ აგროკულტურათა პროდუქციაზე) დაახლოებისთვის. თუმცა დაახლოვებულ ტარიფს გააჩნია სატარიფო განაკვეთის უჩვეულოდ მაღალი მაჩვენებელი.

ასეთი მრავალფეროვნება სატარიფო განაკვეთებში და გარკვეული სექტორების დეესკალაცია მიუთითებს ნათლად გამოხატული მიმართულების არარსებობაზე სატარიფო პოლიტიკაში. სავარაუდოდ, ეს არის „შესაცლელათ განკუთნილი” ტარიფი, რომელიც დანერგეს აგროკულტურათა პროდუქციაზე იმის ნაცვლად, რომ განეხორციელებინათ ნეიტრალური მიდგომა. როგორც ასეთი, იგი ასოცირდება შემოსავლის დაკარგვასთან, რაც გამოწვეულია რესურსების არაოპტიმალური გადანაწილებით.

### **მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) და თურქეთი:**

1995 წლის 26 მარტს თურქეთი გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი. უკანასკნელი TPR-ის (Trade Policy Review) შემდეგ თურქეთმა შეცვალა საშინაო კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების უფლებასა და ტელეკომუნიკაციებთან დაკავშირებით და ძალაში შეიყვანა ახალი კანონმდებლობა საბაჟოსთვის (ანტი-დემპინგური ზომები, სტანდარტებსა და ტექნიკურ რეგულირებასთან, ბანკინგთან, ენერჯიასთან და სახელმწიფო უზრუნველყოფასთან დაკავშირებით) რათა შეესრულებინა ევროკავშირის და WTO-ს მიერ დაწესებული მოთხოვნები.

თურქეთმა ხელშეკრულებები თავის ყველა საბაჟო პარტნიორს შეუთანხმდა. თურქეთი არ არის მრავალმხრივი შეთანხმების ხელმომწერი მხარე, რომელიც ურუგვას რაუნდიდან გამომდინარეობს; იგი არის სახელმწიფო უზრუნველყოფის მრავალმხრივი შეთანხმებისა და სამოქალაქო საჭაერო ხომალდების ვაჭრობის დამკვირვებელი; და აგრეთვე ინფორმაციული ტექნოლოგიური შეთანხმების ITA (Information Technology Agreement) მონაწილე მხარე.

თურქეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დოჰას შეთანხმებებს DDA (Doha Development Agenda). DDA-ში მის ინტერესს წარმოადგენს სამართლიანი, კონკურენტუნარიანი და წინასწარგანსაზღვრებადი სავაჭრო გარემო, რომელიც გამომდინარეობს ტარიფების მომავალი მრავალმხრივი შემცირებიდან, სატარიფო სტრუქტურის გამარტივებისაგან და არასატარიფო ბარიერების გაუქმებისაგან, ალკოჰოლური სასმელების გარდა, ყველა სახის პროდუქციის დაცვის ხარისხის მომავალი გაზრდისაგან და აგროკულტურათა ვაჭრობის სამართლიანი გარემოსაგან. პრემიერ მინისტრის 2002 წლის 13 სექტემბრის ცირკულართან შეთანხმებით,

დაარსდა სხვადასხვა კომიტეტი და სამუშაო ჯგუფი, რომლებსაც უნდა ემუშავათ DDA-ს საკითხებზე და დაედგინათ ის სტრატეგია, რომელსაც უნდა გაჰყოლოდა თურქეთი მრავალმხრივი მოლაპარაკებების დროს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში აგროკულტურათა საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებების ჭრილში, თურქეთს მიაჩნია, რომ შესაძლებელია ტარიფების კიდევ მეტად შემცირება მაშინ, როდესაც განვითარებული ქვეყნები მნიშვნელოვნად ამცირებენ ან საერთოდ აუქმებენ ექსპორტის სუბსიდიებსა და საშინაო მხარდაჭერას. ზოგადად, თურქეთი დიდი ყურადღებით აკვირდება ევროკავშირის პოზიციას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოლაპარაკებებში, განსაკუთრებით კი არააგროკულტურათა პროდუქციაზე, რადგან ევროკავშირის მიერ შემცირებების გაგრძელება ზეგავლენას იქონიებს თურქეთის ეკონომიკის ქვესექტორებზე.

დღემდე თურქეთი ჩაბმული იყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების მოგვარების მექანიზმის 12 შემთხვევაში. თურქეთის მიერ სავაჭრო ზომებთან დაკავშირებით შვიდი კონსულტაცია იყო მოთხოვნილი; მათგან სამი ეხებოდა ტექსტილისა და ტანსაცმლის პროდუქტების იმპორტის რაოდენობრივ შეზღუდვას. თურქეთი იყო მოსარჩელე მხარე ორ შემთხვევაში (ეგვიპტისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ). საქმე ეგვიპტის წინააღმდეგ ეხებოდა საბოლოო ანტი-დემპინგურ ზომებს, მხარეები შეთანხმდნენ მისაღებ ვადებზე, რომლის დროსაც მოხდებოდა DSB (Dispute Settlement Body) რეკომენდაციების მიღება. რაც შეეხება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, 2003 წლის 15 აპრილს თურქეთმა მოითხოვა ფორმალური კონსულტაცია ჩამონათვალის ფორმით საბოლოო ანტიდემპინგურ გადასახადებზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მატყლის იმპორტზე. თურქეთმა აგრეთვე მონაწილეობა მიიღო დავებში, როგორც მესამე მხარემ, ერთ-ერთი იყო აშშ-ს წინააღმდეგ „საბოლოო დაცვის ზომები ფოლადის გარკვეულ სახეობაზე“-საკითხზე; ხოლო მეორე კი -- არგენტინის წინააღმდეგ - სადაც დაობდნენ „საბოლოო ანტიდემპინგურ ზომებზე იტალიიდან კერამიკული იატაკის ფილების იმპორტზე“. 2003 წლის 2 მაისს თურქეთმა განაცხადა თავისი სურვილი, შეერთებოდა აშშ-ს და ავსტრალიის მიერ მოთხოვნილ კონსულტაციებს, რომლებიც ეხებოდა „გეოგრაფიული ინდიკატორებისა და წარმომავლობის დაცვას აგროკულტურათა და საკვებ პროდუქციაზე ევროპულ საზოგადოებაში“.

## **ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია**

ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია ECO (Economic Cooperation Organization) არის სამთავრობო, რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1985 წელს ირანის, პაკისტანის და თურქეთის მიერ იმ მიზნით, რომ მოხდეს დამაარსებელ ქვეყნებს შორის სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების უზრუნველსაყოფად. ECO არის რეგიონული თანამშრომლობის განვითარების ორგანიზაციის RCD (Regional Cooperation for Development) გამგრძელებელი. RCD მოღვაწეობდა 1964-79 წლებში. 1992 ორგანიზაცია გაფართოვდა და მიიღო შვიდი ახალი წევრი: ავღანეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთის რესპუბლიკა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი. ECO შეუდგა რამდენიმე პრიორიტეტული სექტორის თანამშრომლობის პროგრამის შესრულებას, მათ შორის ენერჯის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, აგროკულტურის და ნარკოტიკული ნივთიერებების კონტროლის სფეროებში.

ვაჭრობის ლიბერალიზაცია ECO-ს მუშაობის სფეროს მნიშვნელოვანი ნაწილია. 2000 წლის 6 მარტს ხელი მოეწერა ECO სავაჭრო ჩარჩო-ხელშეკრულებას, რაც მიზნად ისახავდა წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაზრდას ლიბერალიზებული რეგიონული სავაჭრო ხელშეკრულების ფორმულირებით. სამი წლის მზადების შემდეგ ECO სავაჭრო შეთანხმება (ECOTA) შედგა და 2003 წლის 17 ივლისს ხელი მოეწერა ავღანეთის, ირანის, პაკისტანის, ტაჯიკეთისა და თურქეთის მიერ. შეთანხმება ითვალისწინებს ტარიფების შემცირებას (არა ნაკლებ 10%-ისა წელიწადში) მაქსიმუმ 15%-თი ყველაზე მეტი მომდევნო 8 წლის განმავლობაში. ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სავაჭრო შეთანხმება ECOTA-ს (Economic Cooperation Organization Trade Agreement) გააჩნია კავშირი სახელმწიფო მონოპოლიებთან, სახელმწიფო დახმარებასთან, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვასთან, დემპინგურ და ანტიდემპინგურ ზომებთან.

### **ორმხრივი შეთანხმებები**

თურქეთმა ხელი მოაწერა ორმხრივ სავაჭრო შეთანხმებას 14 ქვეყანასთან, რათა შეუთავსოს თავისი სავაჭრო რეჟიმი ევროკავშირისას (ცხრილი 2.3). თურქეთის მიერ ჩატარებული უკანასკნელი ცვლილების შემდეგ ორმხრივი შეთანხმება ძალაში შევიდა შემდეგ ქვეყნებთან: ჩეხეთის რესპუბლიკა, სლოვაკეთის

რესპუბლიკა, ესტონეთი, ლატვია, სლოვენია, ბულგარეთი, პოლონეთი, მაკედონიის რესპუბლიკა, ხორვატია და ბოსნია ჰერცეგოვინა. სავაჭრო შეთანხმებებს გააჩნიათ სტანდარტული მოდელი, თითოეული მხარის ევროკავშირთან შეღავათიანი სავაჭრო საფუძველზე დაყრდნობით. მოხდა ინდუსტრიული საქონლის ორმხრივი ვაჭრობის ლიბერალიზაცია სატრანზიტო პერიოდის ბოლოს, ორმხრივი შეთანხმება მოხდა აგროკულტურულ და გადამამუშავებულ აგროკულტურულ საქონელზე. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება თურქეთსა და ლიტვას, უნგრეთს, ესტონეთს, ჩეხეთის რესპუბლიკას, სლოვაკეთის რესპუბლიკას, პოლონეთს, სლოვენიასა და ლატვიას შორის შეწყდა 2004 წლის 1 მაისს, მაშინ როდესაც ეს ქვეყნები გახდნენ ევროკავშირის წევრები. თურქეთი აგრძელებს ამ ქვეყნებთან თანამშრომლობას სავაჭრო კანონების ფარგლებში. მოლაპარაკებები გრძელდა მაროკოსთან, ეგვიპტესთან, ფარერის კუნძულებთან, პალესტინასთან, ლიბანთან, ალბანეთთან და ტუნისთან. ხოლო შეთანხმების მონახაზი გაეგზავნათ იორდანიას, მალტას, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, ალჟირს, სირიას, სერბია-მონტენეგროს და მექსიკას.

### **სხვა შეღავათიანი სავაჭრო შეთანხმებები**

უპირატესობათა- პრეფერენციების განზოგადებული სისტემა GSP -ს (Generalized System of Preferences) მთავარი მიზანია მონაწილე მხარეების ნაციონალური სავაჭრო წესების, კანონმდებლობისა და სტრუქტურის ევროკავშირის შინაგანი ბაზრის დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანა.

როგორც ევროკავშირთან საბაჟო კავშირის მონაწილე ქვეყანა, თურქეთი ვალდებულია, ჩამოაყალიბოს ისეთი სავაჭრო რეჟიმი, როგორსაც შეღავათიანი საბაჟო გაერთიანებული სისტემა მოითხოვს. 2002 წლის 1 იანვრიდან თურქეთმა შეუთანხმა თავისი რეჟიმი ევროკავშირის GSP -ის დანერგვისა და პროდუქციის ჩამონათვალის ცვლილებებს. რადგან იგი არ ეხება აგროკულტურათა პროდუქციას, ამიტომ ისინი გამოტოვებულნი არიან GSP რეჟიმიდან და შეღავათები მინიჭებულია სამრეწველო საქონელზე. მაშინ, როდესაც თურქეთი იღებდა ევროკავშირის GSP -ს, მან შეღავათები დააწესა ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატებზე. სატარიფო შეღავათები დახარისხებულია პროდუქციის „მგრძობიარობის“ მიხედვით. გადასახადები არამგრძობიარე პროდუქციაზე

მთლიანად გაუქმებულია, ხოლო მგრძნობიარე პროდუქციაზე შემცირებულია ( HS-ის 28-ე, 29-ე თავებში და HS 8540.11, 8540.12.00, 94.05 ქვეთავებში აღნიშნული პროდუქცია ევროკავშირთან შესაბამისობაშია მოყვანილი და კლასიფიცირებულია, როგორც მგრძნობიარე). შემცირება ხდება MFN-ის კეთილსამეზობლო რეჟიმის საგადასახადო განაკვეთის 3.5 საპროცენტო ერთეულით. გარდა ამისა, იქ, სადაც ევროკავშირის GSP სქემის (რომელიც გამოყენებაშია 2001 წლის 31 დეკემბრიდან) შეღავათები მგრძნობიარე პროდუქციაზე უზრუნველყოფენ 3.5 საპროცენტო ერთეულზე მაღალ შემცირებას, მაღალი განაკვეთი იქნება გამოყენებული. გადასახადები გაუქმებულია ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის. ისევე როგორც ევროკავშირი, თურქეთიც იყენებს შეღავათიან ბაჟს შერჩეული ქვეყნების მიმართ, რომლებიც ითვლებიან განვითარებად ქვეყნებად. ბენეფიციარი ქვეყნები ყოველწლიურად ცხადდებიან თურქეთის საიმპორტო რეჟიმის დანართებში. თურქეთი ცდილობს ეტაპობრივად გაზარდოს GSP სისტემის მოქმედების არეალი, შინაგანი ეკონომიკური პირობების შესაბამისად. მოლაპარაკებები ევროკავშირთან განრიგის შექმნის შესახებ კვლავაც მიმდინარეობს. თურქული ექსპორტი შეღავათიანად იბეგრება ავსტრალიის, კანადის, იაპონიის, ახალი ზელანდიის, რუსეთის ფედერაციისა და აშშ-ს GSP სქემების მიხედვით. რუსეთის ფედერაციამ გააგრძელა შეღავათიანი ბაჟი თურქული იმპორტისათვის და იგი (MFN კეთილ სამეზობლო რეჟიმის) განაკვეთის 75%-იანი ტარიფით იბეგრება ყველა სახის პროდუქციაზე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განავრცო გადასახადისაგან თავისუფალი შეთანხმება 744 სახის საქონელზე.

თურქეთი არ გახლავთ განვითარებად ქვეყნებს შორის დადებული სავაჭრო შეღავათების გლობალური სისტემის შეთანხმების (GSTP (Global System of Trade Preferences) წევრი.

### 2.3.. თურქეთ-ევროკავშირის საფინანსო თანამშრომლობა

სავაჭრო კავშირის მიერ შექმნილი ახალი კონკურენციის პირობებში, თურქეთის ეკონომიკის ადაპტაციისათვის (ევროკავშირთან მისი ინფრასტრუქტურული კავშირების გასაუმჯობესებლად, აგრეთვე ევროკავშირსა და თურქეთს შორის ეკონომიკური განსხვავებების შესამცირებლად) მოსამზადებელ პერიოდში ევროპულმა საზოგადოებამ გამოყო შემდეგი საფინანსო რესურსები: 927 მილიონი ევრო, 78 მილიონი ევრო, 1005 მილიონი ევრო. იგივე პერიოდში, ვერ მოხდა 600 მილიონი ევროს ტოლი მეოთხე საფინანსო პროტოკოლის რეალიზება ერთი წევრი ქვეყნის მიერ ვეტოს უფლების გამოყენების გამო.

სატრანზიტო პერიოდში საფინანსო დახმარება შეადგენს 557 მილიონ ევროს, 393 მილიონ ევროს და 950 მილიონ ევროს. სავაჭრო კავშირის მიერ მიღებული დამატებითი პროტოკოლით გათვლილი ევროპის საინვესტიციო ბანკის 750 მილიონი ევროს ოდენობის კრედიტის მიღება ვერ განხორციელდა ერთი წევრი ქვეყნის მიერ ვეტოს უფლების გამოყენების გამო.

#### წხრილი 2.5. საბაჭო კავშირის წინა პერიოდი: (1963-1995)

##### კრედიტი

გამოიყო	927 მილიონი ევრო	დაიხარჯა	927 მილიონი ევრო
---------	------------------	----------	------------------

##### გრანტები

გამოიყო	78 მილიონი ევრო	დაიხარჯა	გამოყენებულია 78 მილიონი ევრო
---------	-----------------	----------	-------------------------------

გამოიყო	1005 მილიონი ევრო	გამოყენებულია	1005 მილიონი ევრო
---------	-------------------	---------------	-------------------

წყარო: <http://www.dtm.gov.tr/ab/ingilizce/mali-ing.htm> (ბოლო ვიზიტი: 10.12.2008)

#### წხრილი 2.6. საბაჭო კავშირის პერიოდი (1996-1999):

##### კრედიტი

გამოიყო	2,062 მილიონი ევრო	დაიხარჯა	927 მილიონი ევრო
---------	--------------------	----------	------------------

##### გრანტები



გამოიყო	754 მილიონი ევრო	დაიხარჯა	გამოყენებულია	393
			მილიონი ევრო	
სულ	2,816 მილიონი ევრო	დაიხარჯა	გამოყენებულია	950
			მილიონი ევრო	

წყარო: <http://www.dtm.gov.tr/ab/ingilizce/mali-ing.htm> (ბოლო ვიზიტი: 10.12.2008)

**ცხრილი 2.7. სააკანდიტატო პერიოდი (1999-2006)**

დასახელება	თანხა (მილიონი €)	სახეობა	პერიოდი
MEDA-II	889	გრანტები	2000-2006
EUROMAD-II	1,470	EIB(ევროპის საინვესტიციო ბანკი) სესხი	2000-2006
ევროპულისტრატეგია თურქეთისათვის	150	გრანტები	2000-2002
სავაჭრო კავშირის გაძლიერება და გაღრმავება	450	EIB სესხი	2000-2004
წინასწარი მიღების შესაძლებლობა	8,500	EIB სესხი	2000-2003
ევრო-მედ პარტნიორობის შესაძლებლობა	1,000	EIB სესხი	2001-2006

წყარო: <http://www.dtm.gov.tr/ab/ingilizce/mali-ing.htm> (ბოლო ვიზიტი: 10.12.2008)

წინასწარი მიღების შესაძლებლობის მიერ გაცემული კრედიტები განაწილდა თურქეთსა და სხვა 12 კანდიდატ ქვეყანას შორის, რომელთა ნაწილიც ახლახან გახდა ევროკავშირის წევრი.

ევრო-მედის თანამშრომლობის მიერ გაცემული კრედიტები განაწილდა თურქეთსა და სხვა MEDA (Mediterranean Development Agency) ქვეყნებს შორის.

2002 წლიდან, ამ დასახელებების ქვეშ წარმოებული საფინანსო დახმარება მოხვდა თურქეთის ბიუჯეტის წინასწარი მიღების შესაძლებლობის ევროკავშირის ბიუჯეტის სათაურში.

CU-მდე (საბაჟო კავშირი), თურქეთმა ევროკავშირისგან საერთო ჯამში მიიღო 1.05 მილიონი ევრო (ექვივალენტი). ამაში შედიოდა 78 მილიონი ევრო (ექვ) როგორც გრანტი და 927 მილიონი ევრო, როგორც იაფი კრედიტები ოთხი საფინანსო პროტოკოლის, დამატებითი პროტოკოლისა და სპეციალური დახმარების ჩარჩოში.

1980 წლის სამხედრო ჩარევის შემდეგ ევროკავშირმა გადაწყვიტა, გაეყინა 75 მილიონ ევროიანი (ექვ) გრანტის ნაწილი, რომელიც 1987 წლამდე უნდა მოხმარებოდა სპეციფიკური პროექტების შესრულებას. 1964-1995 წლებში თურქეთსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი საფინანსო დახმარებები მოცემულია ცხრილში 2.5.

აღსანიშნავია აგრეთვე 1966-1998 წლებში მიმდინარე მოვლენები. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი უკვე იყო მოკავშირე ქვეყანა, იგი იღებდა 705 მილიონი ევროს ოდენობის დახმარებას, მაშინ როდესაც, სხვა ხმელთაშუაზღვისპირული ქვეყნები, რომელთაც უბრალოდ ხელი ჰქონდათ მოწერილი სავაჭრო შეთანხმებებზე, იღებდნენ მეტ დახმარებას. მაგალითად, 1978-1991 წლებს შორის, ეგვიპტემ და ყოფილმა იუგოსლავიამ მიიღეს შესაბამისად 895 და 800 მილიონი ევროს ოდენობის დახმარება.

საბაჟო კავშირის ეგიდით თურქეთმა მიიღო 376 მილიონი ევროს ექვივალენტის ოდენობის გრანტი და 544.5 მილიონი ევროს (ექვ) ოდენობის სესხი, ხმელთაშუაზღვისპირეთის განვითარების სააგენტოსა და ხმელთაშუაზღვისპირეთის თანამშრომლობის ეგიდით პოსტ-ჰელსინკურ პერიოდში, ევროპულმა კომისიამ მიიღო რამოდენიმე გადაწყვეტილება ევროკავშირის მიერ თურქეთისათვის საფინანსო დახმარების გაზრდასთან დაკავშირებით. ამის გამო, თურქეთის წილი თითქმის გაორმაგდა და საგრანტო დახმარებაში 889 ევრო შეადგინა, ხოლო II-ის მიერ გამოყოფილმა სესხმა -- 1, 470 მილიონი ევრო (2000-2006).

მომავალში გრანტის ოდენობა შეადგენს 170 მილიონ ევროს წელიწადში, რაც გასული წლებთან შედარებით გაორმაგებული რაოდენობაა. გარდა ამისა, 15 მილიონ ევროიანი საგრანტო პაკეტი და 450 მილიონ ევროიანი დამატებითი სესხი დამტკიცდა ევროპული კომისიისა და ევროპული საინვესტიციო ბანკის მიერ. კომისიამ აგრეთვე გასცა 135 მილიონი ევროს ოდენობის გრანტი 2000-2002 წლებში.

გარდა ამისა, კომისია შეთანხმდა 51 მილიონი ევროს ოდენობის გრანტისა და მიწისძვრისათვის საშიში ადგილებისათვის 600 მილიონი ევროს ოდენობის სესხის გამოყოფაზე.

დეისათვის, 1964 წლიდან მოყოლებული, ევროკავშირის მიერ დაგეგმილი დახმარების ოდენობა თურქეთის მიმართ 1,478 მილიონი ევროს ოდენობის გრანტებსა და 3,391.5 მილიონი ევროს ოდენობის სესხს შეადგენს.

აღნიშნული მონაცემები განსახილველია იმ კუთხით, რომ საბერძნეთმა, ესპანეთმა და პორტუგალიამ მათი წევრობის წინა და მომდევნო პერიოდებში, 1988 წლამდე მიიღეს არსებითი სესხები, რომელთა ოდენობაც შეადგენდა 12 მილიონის ექვივალენტს ევროში.

ამ ოდენობის დახმარება ისეთი ქვეყნისათვის, რომლის მოსახლეობა დაახლოებით 70 მილიონს შეადგენს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად.

### თავი III. საბაჟო კავშირის გავლენა თურქეთის სავაჭრო ურთიერთობებზე

საბაჟო კავშირის ზეგავლენა ეროვნულ ეკონომიკებზე მას შემდეგ გახდა ძიების საგანი, რაც წარმოიშვა შეთანხმებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ამის მსგავსი განხილვები გრძელდებოდა თურქეთში მრავალი წლის მანძილზე, განსაკუთრებით კი 1964 წლიდან, მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა ანკარის შეთანხმებას. მიუხედავად მრავალი დისკუსიისა, მთავარ საკითხად რჩება, თუ რა უპირატესობებსა და დანაკარგებს მოუტანს თურქეთს საბაჟო კავშირის წევრობა. ეს საკითხი საჭიროებს ემპირიულ ანალიზს. წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს აღმოაჩინოს სავაჭრო კავშირის გავლენა თურქულ ვაჭრობაზე საბაჟო კავშირის შეთანხმების ხელმოწერამდე და მისი ხელმოწერის შემდეგ. ამ საკითხის განხილვა უფრო მართებული იქნება, თუ მას შემდეგ პერიოდებად დავყოფთ: პირველი 1990–1995–საბაჟო კავშირის შექმნამდე, მეორე 1996–2000–რომელიც გვიჩვენებს სავაჭრო შეთანხმების შედეგებს პირველი ხუთი წლის მანძილზე, და საბოლოოდ 2001–2006. ამ ანალიზის დანაწევრება შემდეგი მიზეზების გამოა მართებული:

ა) როგორც ქვემოთ მოცემული გრაფა გვიჩვენებს 1990–1995 და 1996–2000 წლებში არ არის აღსანიშნავი ცვლილებები თურქულ ვაჭრობაში თურქეთსა და ევროკავშირს შორის, მაგრამ ეს ცვლილებები აღინიშნება 2001 წლის მერე. ამ განსხვავებებისა და ცვლილებების უკეთ შესასწავლად ჩვენ დავყავით ეს კვლევა სამ ნაწილად რეგრესული ანალიზის გამოყენებით;

ბ) 2001 წელს თურქეთში დიდი ეკონომიკური კრიზისი იყო–თურქული ლირა თითქმის ორჯერ გაუფასურდა. ჩვენ დავინტერესდით ამ გაუფასურების გავლენით თურქულ ექსპორტზე;

გ) ზოგიერთმა სხვა პოლიტიკურ–ეკონომიკურმა მოვლენებმა აგრეთვე იქონია გავლენა ზემოთ ხსენებულ ცვლილებებზე. ევროკავშირი იყო თურქეთის უდიდესი სავაჭრო პარტნიორი ექსპორტის თვალსაზრისით საბაჟო კავშირამდე და კვლავ ინარჩუნებს დომინანტის პოზიციას ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგაც. ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ სავაჭრო ნაკადები საგრძნობლად

გაიზარდა, ევროკავშირიდან იმპორტი იზრდება, მაგრამ უფრო მეტად იზრდება თურქეთის ექსპორტი ევროკავშირში (იხ. ცხრილი 3.1.)

ექსპორტთან ფიქსირდება თურქული იმპორტის მეტად მნიშვნელოვანი ზრდა. ეს კვლევა განიხილავს იმპორტს სექტორების მიხედვით, რაც უფრო ნათელი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. მაგალითად თუ იზრდება საინვესტიციო საქონლის იმპორტი. ეს იმას ნიშნავს, რომ იმპორტირებული იქნა დანადგარ–მოწყობილობები, რაც სამომავლოდ ექსპორტის გაზრდას გამოიწვევს.

**ცხრილი 3.1. თურქეთის საგარეო ვაჭრობა და ევროკავშირის წილი (მილიონი დოლარი)**

წელი	მსოფლიო					ევროკავშირი					ევროკავშირის წილი (%)		
	ექსპ-ორტი	ცვლ. (%)	იმპ-ორტი	ცვლ. (%)	ექს/იმპ	ექს-პორტი	ცვლ. (%)	იმპ-ორტი	ცვლ. (%)	ექს/იმპ	ექსპ-ორტი	იმპ-ორტი	მოც-ულობა
1990	12,959		22,302		58.1	7,21		9,93		72.0	55.6	44.5	48.6
1991	13,593	4.9	21,047	-5.6	64.6	7,38	2.3	9,9	-0.03	74.5	54.2	47.0	49.4
1992	14,714	8.2	22,871	8.7	64.3	7,91	7.1	10,66	7.6	56	53.7	46.6	61.9
1993	15,348	4.3	29,429	28.7	52.2	7,599	-3.9	13,875	30	54.8	49.5	47.1	48.0
1994	18,105	18.0	23,270	-20.9	77.8	8,635	13.63	10,915	-21.3	79.1	47.7	46.9	47.3
1995	21,636	19.5	35,707	53.4	60.6	11,078	28.3	16,861	54.5	65.7	51.2	47.2	48.7
1996	23,224	7.3	43,627	22.2	53.2	11,549	4.3	23,138	37.2	49.9	49.7	53.0	51.9
1997	26,261	13.1	48,559	11.3	54.1	12,248	6.1	24,870	7.5	49.2	46.6	51.2	49.6
1998	26,974	2.7	45,921	-5.4	58.7	13,498	10.2	24,075	-3.2	56.1	50.0	52.4	51.5
1999	26,587	-1.4	40,671	-11.4	65.4	14,348	6.3	21,401	-11.1	67.0	54.0	52.6	53.2
2000	27,775	4.5	54,503	34.0	51.0	14,510	1.1	26,610	24.3	54.5	52.2	48.8	50.0
2001	31,342	12.8	41,399	-24.0	75.7	16,118	11.1	18,280	-31.3	88.2	51.4	44.2	47.3
2002	36,059	15.1	51,553	24.5	69.9	18,459	11.4	23,321	27.6	79.2	51.2	45.2	47.7
2003	47,252	31.0	69,339	34.5	68.1	24,484	32.6	31,695	35.9	77.2	51.8	45.7	48.2
2004	63,167	33.7	97,540	40.7	64.8	34,451	40.7	45,434	43.3	75.8	54.5	46.6	49.7
2005	73,414	16	116,553	19.5	63.0	38,394	11.4	49,152	8.2	78.1	52.3	42.2	46.1
2006	85,141	15.9	137,032	17.3	62.1	43,924	14.4	53,849	9.4	81.6	51.6	39.3	44.0

წყარო: [www.tuikstat.gov.tr/PreistatistikTablo.do?istab\\_id=627](http://www.tuikstat.gov.tr/PreistatistikTablo.do?istab_id=627) (ბოლო ვიზიტი: 11.12.2008)

ცხრილი 3.1 გვიჩვენებს თურქეთის ექსპორტ/იმპორტს მსოფლიოსა და ევროკავშირში 1990 წლიდან. გარდა ამისა, ექსპორტ–იმპორტის განაყოფის სვეტი

გვიჩვენებს იმპორტის წილს რომელიც შეიძლება დაფინანსდეს ექსპორტიდან მიღებული შემოსავლებით. ცხრილი ნათლად გვიჩვენებს, რომ თურქეთის ექსპორტი/იმპორტი სტაბილურად იზრდება 1990 წლიდან, რაც განპირობებულია მსოფლიოში ზრდადი ეკონომიკური ინტეგრაციისკენ ტენდენციით. 2001 წლისთვის აგრეთვე არ შეინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავება თურქეთის ვაჭრობაში ევროკავშირსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. იმპორტის დაფინანსების წილიც ამ ორ სეგმენტში არ არის დიდად განსხვავებული.

### *3.1. საბაჟო კავშირში მონაწილეობის გავლენა თურქეთის საგარეო ვაჭრობაზე*

საბაჟო კავშირის შექმნისას წევრი ქვეყნები აყალიბებენ თავისუფალი ვაჭრობის ზონას ერთმანეთთან მიმართებაში და საერთო გარე ტარიფებს არაწევრი ქვეყნებისთვის. აქედან გამომდინარე, წევრი ქვეყნები აფართოებენ ერთმანეთში ვაჭრობას, რადგან პროტექციონისტული ბარიერები, ისეთები როგორცაა ტარიფები, კვოტები, სუბსიდიები, გაუქმებულია. ამის შედეგად წევრ ქვეყნებს შორის იზრდება იმ საქონლითა თუ მომსახურებით ვაჭრობა, რომლის წარმოებაშიც ამა თუ იმ ქვეყანას შედარებითი უპირატესობა გააჩნია.

ზოგადად თავისუფალი სავაჭრო ზონა ქმნის იმ ვაჭრობას, რომელიც არ იარსებებდა მისი არყოფნის შემთხვევაში. შედეგად მწარმოებელი ქვეყნისგან ამა თუ იმ პროდუქტის მიწოდება ყველაზე ეფექტური ხდება. ნებისმიერ შემთხვევაში საგარეო ვაჭრობის გაფართოება აუმჯობესებს ქვეყნის კეთილდღეობას.

ცხრილი 3.1 გვიჩვენებს, რომ თურქეთის ექსპორტი ევროკავშირში 1995 წელს იყო 11,078 მილიონი დოლარი ხოლო 2006 წელს კი 43,924 მილიონი დოლარი, რაც 25.2%-იან ზრდას ნიშნავს. თურქულმა იმპორტმა 1995 წელს შეადგინა 16,861 მილიონი დოლარი, ხოლო 2006 წლისთვის კი 53,849–31.3%-იანი ზრდა. ევროკავშირის წილი ექსპორტში იყო 51.2% 1995 წელს და 2006 წლისთვის ეს მაჩვენებელი გაიზარდა 51.6%-მდე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ევროკავშირი კარგა ხანია თურქეთის ძირითადი საექსპორტო არეალი. თურქეთის იმპორტის წილი 1995 წელს იყო 47.2% და 2006 წლისთვის ეს მაჩვენებელი შემცირდა

39.3%მდე. 3.1 ცხრილის მიხედვით, სავაჭრო გაერთიანებების შექმნამ ევროკავშირს უკეთესი შედეგი მოუტანა ვიდრე თურქეთს, ეს კი იმაში გამოიხატება, რომ თურქეთის იმპორტი უფრო გაიზარდა, ვიდრე ექსპორტი. სავსებით ნორმალურია, რომ საწყის ეტაპზე საბაჟო კავშირის შეთანხმებას უარყოფითი შედეგები ჰქონდა თურქეთისთვის—ეს გამოწვეული იყო დაბალი კონკურენციით. მაგრამ სამომავლოდ, როდესაც მოხდება ტექნოლოგიების ტრანსფერი, წევრ ქვეყნებს შორის საერთო საწარმოო და სამეცნიერო ურთიერთობათა გაფართოება, თურქეთის ეკონომიკა აუცილებლად განიცდის პროგრესს.

### **ვაჭრობის დივერსიფიკაციის ეფექტი**

როდესაც ქვეყანა ნერგავს საერთო ტარიფებს ყველა სხვა სახელმწიფოსათვის, ის მუდამ მოახდენს იმპორტს ყველაზე ეფექტური მწარმოებლისგან, რადგან ყველაზე ეფექტური მწარმოებელი ქვეყანა მიაწოდებს საქონელს ყველაზე დაბალ ფასად. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შემთხვევაში ეს შეიძლება ასე არ აღმოჩნდეს. თუ შეთანხმება ხელმოწერილია ნაკლებად ეფექტურ მწარმოებელ ქვეყანასთან, სავსებით შესაძლებელია, რომ მათი პროდუქტი გახდეს უფრო იაფი საიმპორტო ბაზარზე, ვიდრე მეტად ეფექტიანი მწარმოებლისა, რადგან მხოლოდ ერთი მათგანი იხდის გადასახადებს. შედეგად ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ იმპორტიორი ქვეყანა შეიძენს პროდუქციას მაღალი დანახარჯების მქონე მწარმოებელი ქვეყნისგან, ნაცვლად შედარებით დაბალი დანახარჯების მქონე მწარმოებლისა, რომელთანაც ადრე ჰქონდა ურთიერთობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეს გამოიწვევს ვაჭრობის დივერსიფიკაციას.

ზოგადად ვაჭრობის დივერსიფიკაცია ნიშნავს, რომ თავისუფალი ვაჭრობის ზონა გადაამისამართებს ვაჭრობას ზონის გარეთ არსებული ეფექტური მომწოდებლისგან, ზონის ფარგლებში არსებული მომწოდებლისკენ. ვაჭრობის დივერსიფიკაცია ზოგიერთ შემთხვევაში ამცირებს ქვეყნის კეთილდღეობას, მაგრამ რიგ შემთხვევებში ქვეყნის კეთილდღეობა შეიძლება გაუმჯობესდეს ვაჭრობის დივერსიფიკაციის შედეგად.

ევროკავშირი იყო თურქეთის ერთ-ერთი სავაჭრო პარტნიორი საბაჟო კავშირის შექმნამდე. არსებული მონაცემების თანახმად, 1990–2006 წლებში არ შეინიშნება მნიშვნელოვანი ცვლილებები თურქეთსა და ევროკავშირს

შორის(აგრეთვე ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებს შორის) ვაჭრობის მოცულობაში. ასე რომ ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია ვაჭრობის დივერსიფიკაციას.

**სამომხმარებლო ეფექტი**

იმის გამო, რომ სავაჭრო კავშირის შექმნის შედეგად სავაჭრო ბარიერები მოხსნილი ან დაწეულია, მესამე ქვეყნების პროდუქცია ხდება უფრო ძვირი საერთო საბაჟო ვალდებულებების გამო. საქონელი საბაჟო კავშირის შიგნით უფრო იაფი ხდება, რაც მის ზრდის მოხმარებას.

<b>ცხრილი 3.2. თურქეთის ექსპორტი ქვეყანათა ჯგუფების მიხედვით (მილიონი დოლარი)</b>										
	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005
	23,224	26,261	26,974	26,587	27,775	31,334	36,059	47,253	63,167	73,476
ევროკავშირი(25)	12,098	12,900	14,132	14,922	15,086	16,854	19,468	25,899	34,451	38,400
1- ევროკავშირი (15)	11,556	12,248	13,504	14,352	14,510	16,118	18,459	24,484	32,589	35,872
2- ევროკავშირი (10)	542	652	628	571	575	736	1,010	1,415	1,862	2,528
თურქეთის თავისუფალი ზონები	447	611	831	780	895	934	1,438	1,928	2,564	2,973
სხვა ქვეყნები	10,680	12,750	12,011	10,884	11,794	13,546	15,152	19,426	26,152	32,102
1-სხვა ევროპული ქვეყნები	3,020	3,830	3,170	2,242	2,433	2,787	3,554	4,857	6,637	8,820
2-აფრიკა	1,159	1,234	1,818	1,655	1,373	1,521	1,697	2,131	2,968	3,631
ჩრ.აფრიკა	986	980	1,502	1,344	1,087	1,150	1,267	1,577	2,203	2,544
დანარჩენი აფრიკა	174	253	316	311	285	371	430	554	765	1,087
3-ამერიკა	1,898	2,376	2,657	2,869	3,596	3,685	3,914	4,269	5,733	5,960
ჩრ. ამერიკა	1,740	2,149	2,389	2,586	3,309	3,297	3,596	3,973	5,207	5,276
ცენტრალური ამერიკა	72	103	146	163	167	201	197	166	334	411
სამხ.ამერიკა	86	124	122	120	120	186	121	131	193	274
4-აზია	4,520	4,783	3,984	3,817	3,871	4,592	5,230	7,813	10,465	13,213
ახლო და შუა აღმოსავლეთი	2,595	2,821	2,681	2,566	2,573	3,261	3,440	5,465	7,921	10,184
დანარჩენი აზია	1,925	1,962	1,304	1,250	1,298	1,331	1,790	2,348	2,544	3,029
5-ავსტრალია და ახალი ზელანდია	65	80	76	87	135	98	122	158	264	271
6-სხვა ქვეყნები	18	447	306	215	385	864	637	197	84	208
<b>ქვეყანათა ჯგუფები</b>										



OECD ქვეყნები	14,456	15,609	17,003	18,077	19,006	20,616	23,551	30,425	40,518	44,355
EFTA ქვეყნები	336	414	357	362	324	316	409	538	667	821
შავი ზღვის ეკ. თანამშრომლობის ორგ. (BSEC)	2,926	3,825	3,290	2,232	2,467	2,932	3,599	5,044	6,779	8,619
დსთ	2,664	3,512	2,667	1,533	1,649	1,978	2,279	2,963	3,962	5,057
კვეყნები (აზერბაიჯანი, თურქმენეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი და ყირგიზეთი)	747	908	835	574	572	557	619	899	1,194	1,409
ისლამური ქვეყნების თანამეგობრობა	4,143	4,218	4,391	3,961	3,573	4,197	4,725	7,205	10,214	13,061

წყარო: [www.tuikstat.gov.tr/PreistatistikTablo.do?istab\\_id=625](http://www.tuikstat.gov.tr/PreistatistikTablo.do?istab_id=625) (ბოლო ვიზიტი: 11.12.2008)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროპის ბაზარი ყველაზე მნიშვნელოვანია თურქული ექსპორტისთვის—ევროკავშირის წილი თურქეთის საერთო ექსპორტში მუდამ აღემატებოდა 50%-ს. 2004 წლისთვის ევროკავშირმა მიიღო ათი ახალი წევრი ქვეყანა, მაგრამ ამ ათი ქვეყნის წილი შედარებით უმნიშვნელოა—საშუალოდ 3 %.

მეორე მხრივ, 1995–2000 წლებში გაიზარდა თურქეთის ექსპორტი ჩრდ. ამერიკაში (კერძოდ აშშ-ში), მაგრამ ამ პერიოდის შემდეგ ეს მაჩვენებელი კვლავ დაუბრუნდა 1990 წლის ნიშნულს. 1990 წელს აშშ-ში ექსპორტმა შეადგინა 968 მილიონი დოლარი, 1996 წლისთვის— 1.8 მილიონი, ხოლო 2000 წლისთვის დაეცა 3.1 მილიარდამდე. 2004 წელს თურქეთის ექსპორტმა აშშ-ში შეადგინა 5.7 მილიონი დოლარი და 2005 წლისთვის 5.9 მილიონი—შესაბამისად დაფიქსირდა 3.9%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად რეგიონში ახალი ქვეყნები წარმოიშვა. თურქეთის სიახლოვემ ამ რეგიონთან და ამ ქვეყნებისთვის საჭირო სამომხმარებლო საქონლის გაყიდვის შესაძლებლობამ მისცა თურქეთს ამ რეგიონში ექსპორტის გაზრდის საშუალება. 1998 წლამდე ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში სტაბილურად იზრდებოდა. მაგრამ 1998 წელს რუსეთის ფედერაციაში მომხდარმა კრიზისმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ამ ქვეყნების მოთხოვნაზე. ამის გამო თურქეთის ექსპორტმა ამ ქვეყნებში კლება დაიწყო, ხოლო შემდეგ კი 2000 წლამდე სტაბილურ მაჩვენებელზე შეჩერდა. 2000 წლის შემდეგ ამ მაჩვენებელმა კვლავ ზრდა განაგრძო—2004 წლისთვის თურქეთის ექსპორტმა ამ

რეგიონში 3.962 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო 2005 წელს კი 5.057 მილიონი–დაფიქსირდა 27 %-იანი ზრდა.

თურქეთის ექსპორტისთვის ძლიერ მნიშვნელოვანია შუა აღმოსავლეთის ქვეყანათა ჯგუფი. 1990იან წლებში ამ მიმართულებით ექსპორტმა ვერ მიაღწია სასურველ მაჩვენებლებს. 1990 წლიდან 2000 წლამდე თურქეთის ექსპორტი შუა აღმოსავლეთში მხოლოდ 700 მილიონი დოლარით გაიზარდა ხოლო ქვეყნის მთლიან ექსპორტში მისმა წილმა 11,8%-დან 8%-მდე დაიკლო. მაგრამ უკანასკნელი წლების მანძილზე, განსაკუთრებით კი ერაყის ომის დასრულების შემდეგ ექსპორტმა შუა აღმოსავლეთში საგრძნობლად მოიმატა. ეს ზრდა გამოწვეული იყო ერაყში ექსპორტის გაზრდით. 2004 წლისთვის თურქეთის ექსპორტმა შუა აღმოსავლეთში შეადგინა 7.2 მილიონი დოლარი, ხოლო 2005 წლისთვის ამ მაჩვენებელმა მიაღწია 10.184 მილიარდს (დაფიქსირდა 28%-იანი ზრდა). ამ ცვლილებების პარალელურად შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში თურქეთის ექსპორტის წილმა ქვეყნის მთელი ექსპორტის 11.5 % მიაღწია.

**ცხრილი 3.3 თურქეთს იმპორტი ქვეყანათა ჯგუფების მიხედვით (მილიონი დოლარი)**

	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005
	43,62	48,559	45,921	40,671	54,503	41,399	51,554	69,340	97,540	116,774
ევროკავშირი (25)	23,51	25,316	24,570	21,833	27,388	18,949	24,519	33,495	45,444	49,220
1- ევროკავშირი (15)	23,13	24,870	24,075	21,401	26,610	18,280	23,321	31,696	42,359	45,468
2- ევროკავშირი (10)	379	446	495	432	777	668	1,198	1,799	3,084	3,752
თურქეთის თავისუფალი ზონები	297	361	418	508	496	303	575	589	811	760
სხვა ქვეყნები	19,81	22,882	20,934	18,330	26,619	22,147	26,461	35,256	51,285	66,793
1- სხვა ევროპული ქვეყნები	4,778	5,315	5,127	4,869	7,288	6,613	8,658	11,987	18,416	23,861
2-აფრიკა	1,994	2,197	1,758	1,687	2,714	2,819	2,696	3,338	4,820	6,047
ჩრდ. აფრიკა	1,618	1,813	1,493	1,404	2,257	2,115	2,138	2,519	3,231	4,212
დანარჩენი აფრიკა	376	385	265	283	457	704	558	820	1,589	1,835
3-ამერიკა	4,634	5,453	5,016	3,799	4,799	3,841	4,065	4,922	6,595	7,857
ჩრდ. ამერიკა	3,860	4,641	4,230	3,257	4,167	3,390	3,421	3,741	5,114	5,823
ცენტრალური ამერიკა	240	108	117	91	80	41	103	169	209	287
სამხ. ამერიკა	534	704	669	452	551	410	541	1,012	1,271	1,747
4-აზია	7,951	8,791	8,286	7,197	10,306	7,901	9,716	14,099	21,085	28,548

შუა და ახლო აღმოსავლეთი	3,315	2,774	2,084	2,124	3,373	3,016	3,186	4,455	5,585	7,967
დანარჩენი აზია	4,636	6,017	6,202	5,073	6,933	4,884	6,530	9,644	15,500	20,581
5-ავსტრალია და ახალი ზელანდია	428	547	439	157	305	232	313	247	302	321
6-სხვა ქვეყნები და რეგიონები	29	579	307	621	1,208	741	1,013	662	67	158
ქვეყანათა ჯგუფები										
EC ქვეყნები	31,116	34,838	33,496	28,356	35,682	26,011	32,985	43,899	59,650	66,107
FTA ქვეყნები	1,112	1,287	1,169	926	1,155	1,481	2,512	3,396	3,911	4,440
შავი ზღვის ეკ. თანამშრომლობის ორგ. (BSEC)	3,897	4,495	4,358	4,308	6,746	5,553	6,588	9,298	15,368	20,480
დსთ	3,074	3,615	3,724	3,734	5,693	4,630	5,555	7,777	12,927	17,252
თურქული რესპუბლიკები	304	399	449	457	628	283	468	623	754	1,267
ისლამური ქვეყნების თანამეგობრობა	5,587	5,233	4,238	4,078	6,321	5,540	6,072	8,195	10,631	14,459

წყარო: [www.tuikstat.gov.tr/PreistatistikTablo.do?istab\\_id=625](http://www.tuikstat.gov.tr/PreistatistikTablo.do?istab_id=625) (ბოლოვიზიტი: 11.12.2008)

ევროპული ქვეყნების წილი თურქულ იმპორტში ძალზე მნიშვნელოვანია, მეტწილად ამ ქვეყნების ახლო მდებარეობისა და მათი ეკონომიკური განვითარების გამო. ევროპულ ქვეყნებს შორის ევროკავშირის წევრი ქვეყნები პირველ ადგილზეა. ევროკავშირს მოჰყვება დსთ-ს ქვეყნები-ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოწოდების გამო. 1996–2005 წლებში თურქეთის იმპორტი ევროკავშირიდან გაიზარდა 209%-ით.

შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს თურქულ იმპორტში მესამე ადგილი უკავია ნავთობის მოწოდების გამო. ჩრდ. ამერიკა ამ სიაში რიგით მეოთხეა აშშ-სა და თურქეთს შორის გაღრმავებული სავაჭრო ურთიერთობების გამო.

ცხრილი 3.4 თურქეთის ექსპორტი ევროკავშირში საქონლის ჯგუფების მიხედვით (მილიონი დოლარი)							
	საინვესტიციო საქონელი		შუალედური საქონელი		სამომხმარებლო საქონელი		
	ღირებულება	წილი (%)	ღირებულება	წილი (%)	ღირებულება	წილი (%)	
1994	252	2.9	2,805	32.5	5,577	64.6	8,634
1995	318	2.9	3,528	31.8	7,232	65.3	11,078

1996	396	3.4	3,727	32.3	7,425	64.3	11,548
1997	423	3.5	4,105	33.5	7,721	63.0	12,249
1998	489	3.6	4,612	34.2	8,397	62.2	13,498
1999	631	4.4	4,981	34.7	8,737	60.9	14,349
2000	666	4.6	5,203	35.9	8,631	59.5	14,500
2001	960	6.0	5,751	35.8	9,359	58.2	16,070
2002	1,274	6.9	5,834	31.6	11,330	61.4	18,438
2003	2,077	8.5	7,431	30.4	14,929	61.1	24,437
2004	3,925	11	10,985	31.5	19,985	57.3	34,895
2005	4,892	13	11,758	30.9	21,350	56.2	38,000
2006	5,081	11.6	15,492	35.3	23,250	52.9	43,924

წყარო: [www.tuik.gov.tr](http://www.tuik.gov.tr) (ბოლოვიზიტი: 11.05.2008)

ცხრილი 3.4 გვიჩვენებს, რომ 1994–2005 წლებში შეიმჩნევა აღსანიშნავი ზრდა საინვესტიციო, შუალედური და სამომხმარებლო საქონლის ექსპორტში. სამომხმარებლო საქონლის ექსპორტი გაიზარდა 5.577 მილიონი დოლარიდან (1994წ.) 21.350 მილიონამდე (2005წ) რაც 26%-იან ზრდას ნიშნავს. ამავე პერიოდის განმავლობაში შუალედური საქონელი გაიზარდა 2.805 მილიონი დოლარიდან 11.758 მილიონამდე, ხოლო საინვესტიციო საქონლის იმპორტი გაიზარდა 252 მილიონი დოლარიდან 4.892 მილიონამდე.

ცხრილი 3.5 თურქეთის იმპორტი ევროკავშირიდან საქონლის ჯგუფების მიხედვით(მილიონი დოლარი)							
	საინვესტიციო საქონელი		შუალედური საქონელი		სამომხმარებლო საქონელი		სულ
	ღირებულება	წილი (%)	ღირებულება	წილი (%)	ღირებულება	წილი (%)	
1994	3,209	29.4	6,912	63.3	795	7.3	10,916
1995	4,831	28.7	10,539	62.5	1,491	8.8	16,860
1996	7,388	31.9	12,880	55.7	2,870	12.4	23,138
1997	7,327	29.5	14,009	56.3	3,535	14.2	24,871
1998	7,182	29.8	13,270	55.1	3,622	15.0	24,074
1999	6,069	28.3	11,823	55.2	3,525	16.5	21,417
2000	7,254	27.4	14,116	53.3	5,114	19.3	26,484

2001	4,317	23.9	11,168	61.8	2,595	14.4	18,080
2002	5,361	23.3	14,417	62.8	3,196	13.9	22,974
2003	6,999	22.3	19,233	61.3	5,147	16.4	31,379
2004	10,672	23.7	26,819	59.5	7,613	16.9	45,104
2005	11,250	23.3	29,253	59.3	7,825	16.2	48,328
2006	12,186	22.6	32,567	60.5	8,776	16.3	53,849

წყარო: [www.dtm.gov.tr](http://www.dtm.gov.tr) (ბოლოვიზიტი: 11.05.2008)

საქონლის ზემოთხსენებული სამივე ჯგუფის იმპორტის ზრდა მიგვანიშნებს რომ სავაჭრო კავშირის შექმნის შემდეგ წარმოიშვა სამომხმარებლო ეფექტი. შუალედური საქონლის იმპორტი მთლიანი იმპორტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს და მერყეობს თურქეთის ეკონომიკური ზრდის პარალელურად. 1990იანი წლების პირველ ნახევარში შუალედური საქონლის იმპორტის წილი 70%-დან 53.3%-მდე შემცირდა. 2002 წელს თურქეთში ეკონომიკური აღმავლობა დაფიქსირდა რის შედეგადაც ეს მაჩვენებელი 61.8%-მდე გაიზარდა. 2003–2004 წლებში შუალედური საქონლის იმპორტის წილმა კვლავ კლება დაიწყო და 2004 წლისთვის 60.5 % გახდა.

1990იანი წლების მეორე ნახევრის ერთ–ერთი ყველაზე აღსანიშნავი მიღწევა სამომხმარებლო საქონელზე იმპორტის ზრდა იყო. 1995–2000 წლებში სამომხმარებლო საქონლის იმპორტი 38.3%-ით გაიზარდა. ეს გამოწვეული იყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობითა და ევროკავშირთან საბაჟო კავშირის ფორმირების საბოლოო სტადიაში გადასვლით. თურქეთის ეკონომიკის აღმავლობისა და შემოსავლების დონის ზრდასთან ერთად დაფიქსირდა სამომხმარებლო საქონლის იმპორტის წილის შემცირება. ამ მაჩვენებელმა 2004 წელს 16.9 % მიაღწია და 2005 წელს 16.2% გახდა. აღსანიშნავია რომ სამომხმარებლო საქონლის იმპორტი თურქეთის მთლიან იმპორტზე უფრო მერყევია. ეკონომიკის აღმავლობის პერიოდში დადებითი სამომავლო მოლოდინი განსზღვრავს მომხმარებელთა მოთხოვნას. უკანასკნელი 10–15 წლის მანძილზე დაფიქსირებულმა ეკონომიკურმა ზრდამ განაპირობა მომხმარებელთა მოთხოვნის გაზრდა.

1995–2002 წლებს შორის მთლიან იმპორტთან შედარებით საინვესტიციო საქონლის იმპორტი შედარებით ნელა იზრდებოდა. ეს ტენდენცია შეიცვალა 2003

წელს. 2004 წელს საინვესტიციო საქონლის იმპორტის წილმა მთლიანი იმპორტის 23.7 % შეადგინა.

### **ვაჭრობის ზღვრული ეფექტი**



ვაჭრობის ზღვრული ეფექტი განსაზღვრავს ქვეყნის კეთილდღეობას საბაჟო კავშირის შექმნის შემდეგ. კავშირის წევრობა აძლევს ქვეყნებს საშუალებას, აწარმოონ საქონელი დაბალ ფასად და შესაბამისად გაზარდონ მოგება. ეს იწვევს შემოსავლების შემოდინებას, საბაჟო კავშირში ხოლო ექსპორტიორ ქვეყნებს კი მოგების საგრძნობლად გაზრდის საშუალებას აძლევს.

როგორც გრაფა 3.1. და 3.2. გვიჩვენებს, რამდენიმე პერიოდის გაანალიზებაა საჭირო თურქეთის ექსპორტ-იმპორტის შესახებ სრული სურათის შესაქმნელად. ამის ერთ-ერთი მიზეზი 1994–2001 წლებში თურქეთში მომხდარი ეკონომიკური კრიზისია. ამის გამო გადავწყვიტეთ, თურქეთსა და ევროკავშირს შორის ექსპორტ-იმპორტზე სავაჭრო გაერთიანებების გავლენის შესწავლა სამ პერიოდად დაგვეყო.

ევროკავშირის წილი თურქეთის ვაჭრობაში 1990–1995 წლებში არსებული 45%-დან 1996–2000 წლებში 51%-მდე გაიზარდა, ხოლო 2001–2004 წლებში კი 52.2%-ს მიაღწია. როგორც ვხედავთ, ევროკავშირი თურქეთის ძირითადი სავაჭრო პარტნიორია, ხოლო სავაჭრო გაერთიანების ხელმოწერის შემდეგ ეს ტენდენცია სულ უფრო და უფრო სტაბილური ხდება.

1960–1970-იან წლებში თურქეთი ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ნედლეულის ექსპორტიორი იყო, დღესდღეობით კი გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია ექსპორტის 80% შეადგენს. ამის პარალელურად თურქეთის წილი ევროკავშირის ექსპორტში(იმპორტში) მისი კანდიდატი ქვეყნების მიმართ 19%(16%)ია, და მას პოლონეთის შემდეგ (ექსპორტი–24%, იმპორტი 16%) მეორე ადგილი უკავია. თურქეთში მომუშავე უცხოური ფირმების უმეტესობა ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან არის. ამჟამად ტექნოლოგიების ტრანსფერის მთავარი წყაროა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. თურქულმა ფირმებმა 1980–1992 წლებში 707 საპატენტო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას მოაწერეს ხელი, მათგან 80% დაკავშირებული იყო გადამამუშავებელი მრეწველობასთან. ამ პერიოდში ტექნოლოგიების

ტრანსფერის მხრივ მთავარი როლი გერმანულმა და ბრიტანულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ითამაშეს. თურქმა მუშებმა დააარსეს საკუთარი საწარმოები ევროკავშირში და აძლიერებდნენ სავაჭრო და საინვესტიციო საქმიანობას ამ რეგიონში.



### 3.2 თურქეთის საგარეო ვაჭრობის რეგრესიული ანალიზი

ექსპორტ–იმპორტის შესახებ არსებული მონაცემების პირდაპირი ანალიზი გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია მთლიანი პერიოდის დაყოფა სამ ქვეპერიოდად: 1. 1990–1995; 2. 1996–2000; 3. 2001–2006; თითოეული ქვეპერიოდი ხასიათდება ექსპორტისა და იმპორტის ზრდის განსხვავებული მაჩვენებლებით. მაგრამ ამავე დროს მონაცემები ექსპორტ–იმპორტის შესახებ მსგავსებებსაც გვიჩვენებს: 1. ხსენებული პერიოდებისთვის ზრდის განაკვეთები ერთნაირია; 2. თუ პირველ პერიოდს ავიღებთ საანგარიშებო ბაზად, ვნახავთ, რომ მეორე პერიოდის განმავლობაში ექსპორტიც და იმპორტის კლებულობდა, ხოლო მესამე პერიოდის დროს კი ეს ორივე მჩვენებელი ზრდას განიცდიდა. ყოველივე ეს გვიჩვენებს 1990–2005 წლებში ეკონომიკის რეალურ ცვლილებებს. ჩვენი მიზანი ამჯერად არის დავთვალოთ ხსენებული განაკვეთები და შევადაროთ ისინი სარწმუნო სტატისტიკური ბაზით. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ ვიყენებთ რეგრესულ ანალიზს.

ცხრილი 3.7 თურქეთის ექსპორტი ევროკავშირში (მილიონი დოლარი)

(პერიოდი 1)	(პერიოდი 2)	(პერიოდი 3)
1990 4,232	1996 11,549	2001 16,118
1991 5,420	1997 12,248	2002 18,459
1992 6,356	1998 13,498	2003 24,484
1993 7,599	1999 14,348	2004 34,451
1994 8,635	2000 14,510	2005 38,394
1995 11,078		

წყარო: [www.dtm.gov.tr](http://www.dtm.gov.tr) (ბოლო ვიზიტი: 11.05.2008)

დაკვირვების წლები აღებულ იქნა დამოუკიდებელ ცვლადად: თითოეული პერიოდის წლები დაინომრა შესაბამისად 1990-1995 პირველი პერიოდისთვის, 1996-2000 მეორე პერიოდისათვის და 2001-2006 მესამე პერიოდისთვის, როგორც ექსპორტ–იმპორტის ცხრილები 3.7 და 3.8 გვიჩვენებს. ექსპორტისა და იმპორტის



ფულადი მაჩვენებლები (მილიონი დოლარი) ალბულ იქნა დამოკიდებულ ცვლადებად.

**ცხრილი 3.8 თურქეთის იმპორტი ევროკავშირიდან (მილიონი დოლარი)**

პერიოდი 1	პერიოდი 2	პერიოდი 3
1990 9,563	1996 23,138	2001 18,280
1991 10,268	1997 24,870	2002 23,321
1992 11,256	1998 24,075	2003 31,695
1993 13,875	1999 21,401	2004 45,434
1994 10,915	2000 26,610	2005 49,152
1995 16,861		

წყარო: [www.dtm.gov.tr](http://www.dtm.gov.tr) (ბოლო ვიზიტი: 11.05.2008)

რეგრესიული ანალიზის შედეგები ნაჩვენებია 3.9–3.20. გამოსახულებებში: აღსანიშნავია, რომ პერიოდების ექსპორტის და იმპორტის ზრდა შეგვიძლია გამოვსახოთ რეგრესული გამოსახულებით.

**ცხრილი 3.9. თურქეთის ექსპორტი ევროკავშირში (მილიონი დოლარი) (პერიოდი 1)**

1990	4,232
1991	5,420
1992	6,356
1993	7,599
1994	8,635
1995	11,078

წყარო: [www.dtm.gov.tr](http://www.dtm.gov.tr) (ბოლო ვიზიტი: 11.05.2008)

კორელაციის კოეფიციენტი=0.97

**ცხრილი 3.10. დისპერსიული ანალიზი (ANOVA)**

თავისუფლების				
დისპერსიის წყრო	ხარისხი	SS	MS	ფიშერის კრიტერიუმი
რეგრესია	1	29,08048	29,08048	134,603
ნაშთი	4	0,864185	0,216046	
ჯამური	5	29,94467		
	მნიშნელობა	სტანდარტული	სტიუდენტის	
		ცდომილება	კრიტერიუმი	
თავისუფალი წევრი	2,708	432.7126		6.258658102
ქორდა კოეფიციენტი	1,289	111.1103		11.60185305

$$E_t = 1,289 * t + 2,708.2 \quad (3.1)$$

მოყვანული სტატისტიკული ანალიზის შედეგებიდან სჩანს, რომ ადგილი აქვს ექსპორტის მნიშნოლოვან ზრდას წლების მიხედვით, რაზეც მეტყველებს კორელაციის კოეფიციენტის (0.97) და ფიშერის კრიტერიუმი (134.6) მაღალი მნიშნოლობები.

მიღებული რეგრესიული განტოლების (3.1) ადეკვატურობას ადასტურებს სტიუდენტის კრიტერიუმის მაღალი მნიშნელობების (6.25 მნიშნოლოვნათ მეტია ვიდრე ცხრილს, რომელიც უდრის 0.066<sup>85</sup>) . ეს უკანასკნელი გვაძლევს უფლებას ვთქვათ რომ ექსპორტის ზრდის განაკვეთი უდრის რეგრესიული განტოლების ქორდა კოეფიციენტის მნიშნელობას 1.289 (მილიონი/წელიწადში).

**ცხრილი 3.11. თურქეთის ექსპორტი ევროკავშირში (მილიონი დოლარი) (პერიოდი 2)**

1996	11,549
1997	12,248
1998	13,498
1999	14,348

<sup>85</sup> სტიუდენტის კრიტერიუმის ცხრილის მნიშნოლობა დარჩენელი შემთხვევებისათვის არ არის მოყვანილი, ვინაყდან თავისუფლების ხარისხის მცირე მნიშნოლობებისათვის ის პრაქტიკულათ უცვლელია.

2000 14,510

წყარო: [www.dtm.gov.tr](http://www.dtm.gov.tr) (ბოლო ვიზიტი: 11.05.2008)

კორელაციის კოეფიციენტი=0.95

**ცხრილი 3.12. დისპერსიული ანალიზი (ANOVA)**

დისპერსიის წყრო	თავისუფლების			ფიშერის
	ხარისხი	SS	MS	კრიტერიუმ ი
რეგრესია	1	6435248	6435248	61.29143
ნაშთი	3	314982.8	104994.3	
ჯამური	4	6750231		
	კოეფიციენტები	სტანდარტული ცდომილება		სტუდენტის კრიტერიუმ ი
თავისუფალი წევრი	1,0824	339.8436		31.84994
ქორდა კოეფიციენტი	0,802.2	102.4667		7.828884
$E_2=0.802*t+1,0824$				(3.2.)

(3.2) რეგრესიული განტოლება გვიჩვენებს, რომ ზრდის განაკვეთი უდრის 0.802 (მილიონი დოლარი/წელი) რომელიც ნიშნავს რომ, ექსპორტის ზრდის რაოდენობა უფრო ნაკლებია ვიდრე საბაჟო კავშირში შესვლამდე იყო (1,289 მილიონი დოლარი). ეს იმაზე მეტყველებს, რომ საბაჟო კავშირის ეფექტი მოკლე ვადიან პერიოდში (1996-2000 წ.) არ არის გაზდილი როგორც იყო მოსალოდნელი. კორელაციის კოეფიციენტი (0.95), სტიუდენტის კრიტერიუმი (7.82) და ფიშერის კრიტერიუმი (61.2) (ცხრილი.3.12) გვიჩვენებს რომ გამოსახულება 3.12 სავსებით ადექვატურია, ასე რომ მიღებული შედეგები სარწმუნოა.

**ცხრილი 3.13. თურქეთის ექსპორტი ევროკავშირში (მილიონი დოლარი)**

(პერიოდი 3)

2001	16,118
2002	18,459
2003	24,484
2004	34,451
2005	38,394

წყარო: [www.dtm.gov.tr](http://www.dtm.gov.tr) (ბოლო ვიზიტი: 11.05.2008)

კორელაციის კოეფიციენტი=0.96

**ცხრილი 3.14. დისპერსიული ანალიზი (ANOVA)**

დისპერსიის წყრო	თავისუფლების ხარისხი	SS	MS	ფიშერის
				კრიტერიუმ
				ი
რეგრესია	1	3.67 +08	3.67 +08	75.49562
ნაშთი	3	14565618	4855206	
ჯამური	4	3.81 +08		
		სტანდარტული	სტიუდენტის	
		კოეფიციენტები	ცდომილება	კრიტერიუმი
თავისუფალი				
წევრი	8,218.183	2311.001	3.556114	
ქორდა				
კოეფიციენტი	6,054.311	696.7931	8.688822	

$$E_3 = 6,054.3 * t + 8,218 \quad (3.3)$$

(3.3) რეგრესიული განტოლება გვიჩვენებს, რომ ზრდის განაკვეთი უდრის 6,054 (მილიონი/წელი). ეს ნიშნავს, რომ საბაჟო კავშირში შესვლის გრძელვადიან პერიოდში თურქეთის ექსპორტი საკმაოდ გაიზრდა (2000-2005 წ.), რაზეც მეტყველებს კორელაციის კოეფიციენტის (0.95), სტიუდენტის კრიტერიუმის (8.68-) და ფიშერის კრიტერიუმის (75.4) მაღალი მნიშვნელობები (იხ. ცხრილი.3.14). გარდა ამისა ისინი გვიჩვენებენ, რომ გამოსახულება 3.13 სავსებით ადეკვატურია, ასე რომ მიღებული შედეგები სტატისტიკურად სარწმუნოა.

საბოლოოდ ჩვენ ხაზი გავუსვით სტიუდენტის კრიტერიუმის (t-time) მაღალ მაჩვენებელს სამივე პერიოდისათვის (8.6) რაც აგრეთვე გვარწმუნებს შედეგების უტყუარობაში.

ახლა ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ ზრდის მაჩვენებლები: უმაღლესი ფიქსირდება მესამე პერიოდში, ის ოთხჯერ მეტია პირველი პერიოდის შესაბამის მაჩვენებელზე და შვიდჯერ მეტი მეორე პერიოდის მაჩვენებელზე.

ანალოგიური ანალიზი შეგვიძლია იმპორტისთვისაც წარმოვადგინოთ ცხრილი 3.15. თურქეთის იმპორტი ევროკავშირიდან, (მილიონი დოლარი) (პერიოდი 1)

1990	9,563
1991	10,268
1992	11,256
1993	13,875
1994	10,915
1995	16,861

წყარო: [www.dtm.gov.tr](http://www.dtm.gov.tr) (ბოლო ვიზიტი: 11.05.2008)

კორელაციის კოეფიციენტი=0.63

**ცხრილი 3.16. დისპერსიული ანალიზი (ANOVA)**

დისპერსიის წყარო	თავისუფლების ხარისხი	SS	MS	ფიშერის კრიტერიუმი
რეგრესია	1	24072893	24072893	7.053897
ნაშთი	4	13650833	3412708	
ჯამური	5	37723726		
		სტანდარტული კოეფიციენტი	სტიუდენტის ცდომილება	სტიუდენტის კრიტერიუმი
თავისუფალი წევრი	8,018	1719.791	4.662195	
ქორდა კოეფიციენტი	1,172.857	441.6015	2.655917	

$$E=1,172*t+8,018 \tag{3.4}$$

(3.4) რეგრესიული განტოლება გვიჩვენებს, რომ იმპორტის ზრდის სამუალო მაჩვენებლები პირველი პერიოდისთვის უდრის 1,172 (მილარდი დოლარი). როგორც ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში კორელაციის კოეფიციენტის (0.96),

ფიშერის კრიტერიუმის (7.05) და სტიუდენტის კრიტერიუმის (2.65), (იხ. ცხრილი 3.16.) ადასტურებენ შედეგების სტატისტიკურ სარწმუნოებას.

**ცხრილი 3.17. თურქეთის იმპორტი ევროკავშირიდან, (მილიონი დოლარი) (პერიოდი 2)**

1996	23,138
1997	24,870
1998	24,075
1999	21,401
2000	26,610

წყარო: [www.dtm.gov.tr](http://www.dtm.gov.tr) (ბოლო ვიზიტი: 11.05.2008)

კორელაციის კოეფიციენტი=0.080

**ცხრილი 3.18. დისპერსიული ანალიზი (ANOVA)**

დისპერსიის წყრო	თავისუფლების ხარისხი	SS	MS	ფიშერის კრიტერიუმ o
რეგრესია	1	1207563	1207563	0.261318
ნაშთი	3	13863140	4621047	
ჯამური	4	15070703		

თავისუფლების ხარისხი	SS	MS	
თავისუფალი წევრი	2,2976	2254.585	10.19092
ქორდა კოეფიციენტი	3,47	679.7828	0.511193

$$3,475 * t + 2,2876 \quad (3.5)$$

(3.5) რეგრესიული განტოლება გვიჩვენებს, რომ იმპორტის ზრდის მაჩვენებლები მეორე პერიოდისთვის შესაბამისია 3,47 აგრეთვე დაფიქსირდა კორელაციის

კოეფიციენტისა (0.080), ფიშერის კრიტერიუმის (0.26) და სტიუდენტის კრიტერიუმი (0.51) (იხ. ცხრილი 3.18.) მაღალი მნიშვნელობები.

ცხრილი 3.19. თურქეთის იმპორტი ევროკავშირიდან, (მილიონი დოლარი) (პერიოდი 3)

2001	18,280
2002	23,321
2003	31,695
2004	45,434
2005	49,152

წყარო: [www.dtm.gov.tr](http://www.dtm.gov.tr) (ბოლო ვიზიტი: 11.05.2008)

კორელაციის კოეფიციენტი = 0.96

### 3.20. დისპერსიული ანალიზი (ANOVA)

დისპერსიის წყრო	თავისუფლების ხარისხი	SS	MS	ფიშერის კრიტერიუმი
რეგრესია	1	7.03 +08	7.03 +08	92.95395
ნაშთი	3	22695096	7565032	
ჯამური	4	7.26 +08		
სტანდარტული				
	კოეფიციენტები		ცდომილება	t
თავისუფალი წევრი	8,419		2884.707	2.918598
ქორდა კოეფიციენტი	8,385		869.7719	9.641263
E=8,385*t+8,419				(3.6)

(3.6) რეგრესიული განტოლება გვიჩვენებს, რომ იმპორტის ზრდის მაჩვენებლები პირველი პერიოდისთვის შესაბამისია 8,385 აგრეთვე დაფიქსირდა კორელაციის კოეფიციენტისა (0.96) და ფიშერის კრიტერიუმის (92.9) და სტიუდენტის კრიტერიუმი (9.64), (ცხრილი 3.18.).

თურქეთის ექსპორტის ზრდის და იმპორტის ზრდის შედარებით ჩვენ ვხედავთ რომ;

პირველი პერიოდი: ექსპორტის პირველი პერიოდის ზრდის მაჩვენებელი (წლებს შორის) შეადგენს 1 მილიარდ 289 მილიონ დოლარს და იმპორტის ზრდის მაჩვენებელი (წლებს შორის) შეადგენს 1 მილიარდ 172 მილიონ დოლარს. ეს შედეგი გვიჩვენებს რომ ექსპორტი მოიცავს უფრო მეტ ზრდას.

მეორე პერიოდი: ექსპორტის ზრდის მაჩვენებელი (წლებს შორის) შეადგენს 802 მილიონი დოლარს და იმპორტის ზრდის მაჩვენებელი (წლებს შორის) შეადგენს 3 მილიარდ 47 მილიონ დოლარს. აქ უკვე აშკარად ჩანს, რომ იმპორტის ზრდა უფრო მაღალია.

მესამე პერიოდის ექსპორტის ზრდის მაჩვენებელი (წლებს შორის) შეადგენს 6 მილიარდ 54 მილიონ დოლარს და ამ პერიოდის იმპორტის ზრდის მაჩვენებელი (წლებს შორის) შეადგენს 8 მილიარდ 385 მილიონ დოლარს. აქ უკვე ექსპორტი იწყებს სწრაფ ზრდას და უახლოვდება იმპორტის ზრდას.

ეს ყველაფერი გიჩვენებს, რომ თურქეთის არჩევანი (საბაჟო კავშირში გაწევრიანება) სწორი გადაწყვეტილებაა. რა თქმა უნდა, მეორე პერიოდი იყო უარესი, იმიტომ რომ თურქული კომპანიებისთვის ძნელი იყო ამ ახალ საბაჟო და რამდენიმე სხვა კანონმდებლობასთან შეჩვევა.



## თავი IV. თურქული კომპანიების დამოკიდებულება საბაჟო კავშირის მიმართ

### მონაცემების შეგროვება და რესპოდენტები

კვლევა ჩატარდა 70 კომპანიაში სტამბულში, დენიზლიში, ანკარასა და სამსუნში 2005 წლის მარტსა და აპრილში. მე პერსონალურად ვეწვიე 30 კომპანიას, ხოლო დანარჩენ კომპანიებში ანკეტების გავავრცელე სხვადასხვა ქალაქში. რესპოდენტები შერჩეული იყვნენ მოსახერხებელი შერჩევის ანუ დაჯგუფების გზით. 150 ანკეტა გავრცელდა და 70 მათგანი იყო დაბრუნებული. გამომხაურების დონემ შეადგინა 47 პროცენტი. ეს მისაღები იყო, რადგან მკვლევარი ელოდებოდა გამომხაურების გაცილებით დაბალ დონეს. საერთო ტიპიური გამომხაურების დონე არის 50 პროცენტზე მეტი, „კარგი“ გამომხაურება არის 60 დან 70 პროცენტამდე (Kervin, 1992<sup>86</sup>). აქედან გამომდინარე, ამორჩევის მეთოდი (იმ კომპანიებზე რომლებიდანაც მოვიდა გამომხაურობა გაკეთდა აქცენტი და კვლევისთვის ისინი იყვნენ შერჩეული), აღმოჩნდა ყველაზე შესაფერისი კვლევის ადმინისტრირებისთვის. მანამდე კითხვარის პრეტესტი ჩატარდა რესპოდენტების მცირე ჯგუფში და შედეგი დამაკმაყოფილებელი იყო.

კვლევა ჩატარდა კომპანიების მფლობელებთან ან მათ წარმომადგენლებთან. კომპანიების იმ წარმომადგენლებმა, რომლებსაც ჰქონდათ სავაჭრო ურთიერთობები ევროპის ქვეყნებთან და იცნობდნენ საბაჟო კავშირის პირობებს შეავსეს ანკეტები და ამით მიიღეს კვლევაში მონაწილეობა.

შეკითხვებზე პასუხები დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა ზეგავლენა ჰქონდა მათ ფირმაზე საბაჟო კავშირის შეთანხმებას. თუ მათი შემოსავლები აღემატებოდა დანაკარგს, მაშინ მათი აზრით, კავშირს ჰქონდა დადებითი ეფექტი თურქულ ვაჭრობაზე, ხოლო თუ დანაკარგები მოგებაზე მეტი იყო, მაშინ მათი აზრით, საბაჟო კავშირს ჰქონდა უარყოფითი გავლენა თურქულ ვაჭრობაზე.

### ანკეტა

მონაცემები იყო შეგროვებული ჩემს მიერ ადმინისტრირებადი (თვითადმინისტრირებადი) ანკეტებით, თითოეულის შევსების ხანგრძლივობა

<sup>86</sup> Kaynak E., Kucukemiroglu O., Akmal S., (2000), Journal of Marketing, Issue 9/10, გვ. 1221-1241

შეადგენდა დაახლოებით 15 წლთს. ანკეტა ჯერ შედგა ინგლისურად და მერე გადართარგმნა თურქულად თურქული კომპანიებისათვის. შემდეგ ბიზნეს პროფესორმა და თურქული ენის პროფესორმა, რომელიც ასევე არის ინგლისურის კარგი მცოდნე, შეამოწმეს თურქული თარგმანი. საბოლოოდ ანკეტის თურქული თარგმანი ხელახლა გადაითარგმნა ინგლისურად ოთხი სტიუდენტის მიერ, რათა დავრწმუნებულიყავით, რომ ნათარგმნი ანკეტა იგივე შინაარსის იყო, როგორც თავდაპირველად ინგლისურად ჩამოყალიბებული ვერსია. კვლევა ეფუძნებოდა ანკეტებს, რომელიც შედგებოდა ორი ნაწილისაგან: პირველი შედგებოდა კითხვების სერიისაგან, რომელიც იყო მიმართული საბაჟო კავშირის ეფექტებზე თურქეთის ვაჭრობაზე. მეორე სერია კი შედგებოდა კითხვებისაგან საბაჟო კავშირის ეფექტებზე მათ ბიზნესზე. განსაკუთრებული ძალისხმევა იყო გამოყენებული, რომ ანკეტა ყოფილიყო რაც შეიძლება მარტივი სტრუქტურის, ლექსიკისა და ზომის მიხედვით.

**ცხრილი 4.1. სავაჭრო ორგანიზაციების მიმართ თითოეული პოზიციის საშუალო ქულები**

ფაქტორები	საშუალო ქულა
მუშახელის ფასმა აიწია თურქეთში და ერთ-ერთი უპირატესობა თურქი მეწარმეებისა გაქრა საბაჟო კავშირის შემდეგ	2.94
თურქეთი გახდა ცენტრი ევროკავშირის ფირმებისთვის და ისინი გადაიტანენ პროდუქტებს ცენტრალურ აზიაში, შავი ზღვის რეგიონში	2.93
ფირმების სარგებელი გაიზარდა საბაჟო კავშირის შემდეგ	2.91
საბაჟო კავშირმა დააასუსტა თურქული კომპანიების კონკურენტუნარიანობა	2.84
ევროპულ ბაზრებზე შეღწევა მაღალ საბაჟო შესაძლებლობებს მოუტანს თურქ მეწარმეებს	2.71
უცხოური პირდაპირი ინვესტიციები გაიზარდა საბაჟო კავშირის შემდეგ	2.69
მცირე საწარმოები დაზარალდა საბაჟო კავშირის შემდეგ, იმიტომ რომ მათ ჰქონდათ დაბალი ხარისხის ტექნოლოგია და მცირე ცოდნა	2.67

საბაჟო კავშირმა შექმნა უფრო მეტი სავაჭრო შესაძლებლობები თურქეთსა და ევროკავშირს შორის	2.64
თურქეთის ინფრასტრუქტურა განვითარდა საფინანსო თანამშრომლობით და ასევე გაიზარდა თანამშრომლობა ევროკავშირსა და თურქულ ფირმებს შორის ერთობლივი პროექტების საშუალებით	2.64
საბაჟო კავშირი არის დიდი ტყუილი	2.63
სავაჭრო კავშირი ეხმარება თავის მეწარმეებს, რაც უარყოფითად მოქმედებს თურქ მეწარმეებზე	2.53
საბაჟო კავშირის შეთანხმების შემდეგ თურქ მეწარმეთა კონკურენტუნარიანობა და ხარისხი ამაღლდა	2.36
სრულუფლებიან წევრობამდე საბაჟო კავშირის წევრად გახდომა დიდი შეცდომა იყო	2.31
საბაჟო კავშირი მოიტანს მეტ სარგებელს თურქეთის სრული გაწევრიანების შემდეგ ევროკავშირში	2.21
საერთო საშუალო	2.07
საშუალო ქულები არის დაფუძნებული 5 ქულიან შეფასების სკალაზე შუალედით 1-დან=ძლიერ ვეთანხმები 5-მდე=ძლიერ არ ვეთანხმები	

გამოკვლევის მექანიზმი ყურადღებას ამახვილებდა შემდეგ სფეროებზე:

- 1 საბაჟო კავშირის ეფექტი თურქეთის ვაჭრობაზე
- 2 საბაჟო კავშირის ეფექტი ინდივიდუალურ ფირმებზე
- 3 საბაჟო კავშირის ეფექტი პირდაპირ უცხოურ ინვესტირებაზე (FDI)

მაგალითის შეფასება

ცხრილი 4.1. ასახავს თვითოეული გარემოების ფაქტორის საშუალო ქულების შედეგებს რომელიც გამოყენებული იყო კვლევაში. განცხადებები პირველ ცხრილში დაწყობილია საშუალო ქულების სიდიდისა და მნიშვნელობის მიხედვით. ყველაზე დიდი საშუალო ქულა 2.94 იყო მიენიჭა განცხადებას, რომ მუშახელის ფასმა აიწია, რაც აჩვენებს რომ, თურქული ფირმები დაზარალდნენ მუშახელის მაღალი ღირებულების გამო. წინამდებარე განაცხადებაზე პასუხი მოწმობს, რომ მუშახელის კვალიფიკაცია გაიზარდა, რამაც გავლენა იქონია მის

ღირებულებაზე. შემდეგმა მტკიცებამ, რომ თურქ მეწარმეთა უპირატესობა გაქრა საბაჟო კავშირის შეთანხმების შემდეგ და საბაჟო კავშირმა შეასუსტა თურქული ფირმების კონკურენტუნარიანობა (2.84), მიიღეს შედარებით მაღალი ქულები. რაც მხარს უჭერს იმ იდეას, რომ საბაჟო კავშირის შეთანხმებამ უარყოფითად იმოქმედა მცირე და საშუალო ბიზნესზე. ბევრი მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოები დაიხურა ამ შეთანხმების შემდეგ. ისინი ფიქრობენ, რომ თურქეთი გახდა ევროკავშირის ქვეყნების ცენტრი და ისინი გადაიტანენ პროდუქტებს ცენტრალურ აზიაში, შავი ზღვის რეგიონის და შუა აზიის ქვეყნებში ( 2.93) და მტკიცება „უცხოური პირდაპირი ინვესტიციები გაიზარდა საბაჟო კავშირის შემდეგ“ (2.69) ნიშნავს რომ უცხოური ფირმები უფრო მეტ ინვესტიციებს ახორციელებენ თურქეთში საბაჟო კავშირის შეთანხმების შემდეგ. თუ დავაკვირდებით 3 გრაფიკს 1995 წელს ევროკავშირის პირდაპირი ინვესტიციები იყო 62,91% 1996 წელს 85.28%, 1997 წელს 60.92%. აქ არის დიდი ვარდნა 2002 წელს, რაც არის თურქეთში 2001 წლის კრიზისის შედეგი.

ბიზნესმენები ფიქრობენ, რომ ფირმების სარგებელი გაიზარდა საბაჟო კავშირის შედეგად (2.91) და ევროკავშირის ბაზრებზე გასვლა უზარმაზარი სავაჭრო შესაძლებლობებია თურქი მეწარმეებისთვის (2.71). ბევრმა კომპანიამ დაიწყო ბიზნესი თურქეთში საბაჟო კავშირის შემდეგ. თურქულმა ფირმებმა შეთანხმება დადეს მათთან და გაზარდეს საკუთარი პროდუქციის ხარისხი. მეორე მხრივ, ისინი არ ეთანხმებიან იმ აზრს, რომ საბაჟო კავშირს ექნება უფრო მეტი პოზიტიური ეფექტი სრული წევრობის შემდეგ.(2.21). ეს მტკიცება არის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შედეგი.

მე მოველოდი მაღალ ქულას ამ შეკითხვაზე, თურქ და ევროპელ სპეციალისტებს სჯერათ, რომ საბაჟო კავშირს დიდი ეფექტი აქვს ევროკავშირის წევრობაზე. ყველაზე დაბალი ქულა აქვს მტკიცებას, რომ საბაჟო კავშირის წევრობა იყო დიდი შეცდომა სრულ წევრობამდე (2.31). ეს მტკიცებები განიხილეს მეცნიერებმა, ზოგიერთი ეთანხმებოდა მათ და ზოგიც არა. თუმცა ბიზნესმენები ფიქრობენ, რომ საბაჟო კავშირზე ხელის მოწერა დადებითი ეფექტის მქონეა ევროკავშირის სრულ წევრობამდე რადგან ევროკავშირში სრული გაწევრიანება პირველ ეტაპზე შედარებით იაფი სამუშაო ძალის და კვალიციური

სპეციალისტების გადინებასთან იქნება დაკავშირებული რაც გამოიწვევს კონკურენტულ უპირატესებათა შესუსტებას და სხვა.

მტკიცებები - „ევროკავშირის ბაზარზე გასვლა მოუტანს უზარმაზარ სავაჭრო შესაძლებლობებს თურქ მეწარმეებს“ (2.71) - შესაძლებელია გამოწვეული იყოს იმით, რომ თურქულმა ფირმებმა გაზარდეს პროდუქციის ხარისხი. ამ მტკიცებათა მაღალი ქულები აღნიშნავს, რომ თურქმა მეწარმეებმა მიიღეს მეტი სავაჭრო შესაძლებლობები და დაიწყეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. იმისთვის, რომ დაეკმაყოფილებინათ ევროკავშირის სტანდარტები, ბევრი ფირმა განახლდა. თუ ჩვენ დავაკვირდებით, ზოგიერთმა სექტორმა მოიპოვა პოპულარობა და დაიწყო მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოება. ეს სექტორებია: მანქანათმშენებლობის სექტორი და ფერადი ტელევიზორების წარმოების სექტორი. ფერადი ტელევიზორების წარმოება გაიზარდა 1.8 მილიონი ცალიდან 8.8 მილიონამდე 1996-2000 წლებში. ტექსტილი და მზა ტანსაცმლის წარმოება: ეს სექტორი 1998 წელს საერთო მანუფაქტურული ნაწარმის 19%-ს შეადგენდა, საერთო პროდუქციის 5.5%-ს, 21%-ს და გაიზარდა 39% -მდე საერთო თურქული ექსპორტის ფარგლებში. ელექტრონული მრეწველობა: საბაჟო კავშირის შედეგად ნედლეულის ფასი დაეცა და ამ სექტორის წლიური პროდუქცია 1996-2000 წლებში გაიზარდა 14%-ით, ექსპორტი-38%-ით. ექსპორტი გაიზარდა 500 მილიონი დოლარიდან 1.2-1.3 მილიარდ დოლარამდე. საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქცია: 1995-2000 წლებში მაცივრების წარმოება გაიზარდა 1.7 მილიონიდან 2 მილიონ ცალამდე, სარეცხი მანქანები 866000 დან 1.3 მილიონამდე, მტვერსასრუტები 879000-დან 1.2 მილიონამდე, მსუბუქი ავტომანქანები 222000-დან 306000-მდე, ავტობუსები 12000-დან 47000-მდე.<sup>87</sup>

---

<sup>87</sup> Cakirci E. (2001), Ekonomik Gelismeler ve Turkiye – AB Iliskleri (Economic Developmen and EU-Turkey Relations), Tutibay Publishing, Turkey, p.319

4.1. ფაქტორული ანალიზი თურქული კომპანიებისათვის

ცხრილი 4.2. საბაჟო კავშირისადმი პოზიციის ფაქტორების ანალიზი

	ფაქტორის წონა			
	1	2	3	4
<b>ფაქტორი 1: პესიმისტური მიდგომა საბაჟოკავშირის მიმართ</b>				
საბაჟო კავშირი ეხმარება თავის მეწარმეებს, რაც უარყოფითად მოქმედებს თურქ მეწარმეებზე	.749	.191	.058	.112
საბაჟო კავშირმა დააასუსტა თურქული კომპანიების კონკურენტუნარიანობა	.713	.076	.026	.057
მცირე საწარმოები დაზარალდა საბაჟო კავშირის შემდეგ, იმიტომ რომ მათ ჰქონდათ დაბალი ხარისხის ტექნოლოგია და მცირე ცოდნა	.604	.028	.107	.020
საბაჟო კავშირი არის დიდი ტყუილი	.602	.209	.322	.367
სრულუფლებიან წევრობამდე საბაჟო კავშირის წევრად გახდომა დიდი შეცდომა იყო	.576	.074	.202	.539
<b>ფაქტორი2: ოპტიმისტური მიდგომა საბაჟო კავშირის მიმართ</b>				
საბაჟო კავშირმა შექმნა უფრო მეტი სავაჭრო შესაძლებლობები	.083	.829	.107	.089

თურქეთსა და ევროპას შორის				
საბაჟო კავშირის შეთანხმების შემდეგ თურქ მეწარმეთა კონკურენტუნარიანობა და ხარისხი ამაღლდა	.140	.806	.290	.009
ფირმების სარგებელი გაიზარდა საბაჟო კავშირის შემდეგ	.342	.542	.231	.128
საბაჟო კავშირი მოიტანს მეტ სარგებელს თურქეთის სრული გაწევრიანების შემდეგ ევროკავშირში	.141	.501	.208	.404
<b>ფაქტორი 3: ოპორტუნისტული მიდგომა საბაჟო კავშირის მიმართ</b>				
ევროპულ ბაზრებზე შეღწევა უდიდეს სავაჭრო შესაძლებლობებს მოუტანს თურქ მეწარმეებს	.008	.010	.784	.032
უცხოური პირდაპირი ინვესტიციები გაიზარდა საბაჟო კავშირის შემდეგ	.198	.280	.705	.118
თურქეთი გახდა ცენტრი ევროკავშირის ფირმებისთვის და ისინი გადაიტანენ პროდუქტებს ცენტრალურ აზიაში, შავი ზღვის რეგიონსა და შუა აზიაში	.193	.136	.623	.050
<b>ფაქტორი 4: ურთიერთანამშრომლობის მსურველები</b>				
თურქეთის ინფრასტრუქტურა	.043	.093	.380	.765

განვითარდა საფინანსო თანამშრომლობით და ასევე გაიზარდა თანამშრომლობა ევროკავშირსა და თურქულ ფირმებს შორის ერთობლივი პროექტების საშუალებით				
მუშახელის ფასმა აიწია თურქეთში, და ერთ-ერთი უპირატესობა თურქი მეწარმეების გაქრა საბაჟო კავშირის შემდეგ	.030	.078	.021	.521

ფაქტორის ანალიზი წარმოშობს ჰიპოთეტურ კონსტრუქციებს, ეწ. ფაქტორებს, რომლებიც წარმოადგენენ ცვლადების კრებულს. (Harman, 1967<sup>88</sup>). ფაქტორების ანალიზის ძირითადი კომპონენტური მეთოდი გამოყენებული იყო ვარიანსის მონაცვლეობაში (როტაციაში). ვარიანსის როტაციის შედეგად მიღებული ფაქტორები მოცემულია ცხრილში 4.2.

*პირველი ფაქტორი* ცხრილი 4.2. „ საბაჟო კავშირი ეხმარება თავის მეწარმეებს, რაც უარყოფითად მოქმედებს თურქ მეწარმეებზე”(749), „საბაჟო კავშირმა დააასუსტა თურქული კომპანიების კონკურენტუნარიანობა” (.713), „მცირე საწარმოები დაზარალდა საბაჟო კავშირის შემდეგ იმიტომ, რომ მათ ჰქონდათ დაბალი ხარისხის ტექნოლოგია და მცირე ცოდნა” (.604).

*მეორე ფაქტორი* ცხრილში 4.2. შედგება: „ საბაჟო კავშირმა შექმნა უფრო მეტი სავაჭრო შესაძლებლობები თურქეთსა და ევროპას შორის” (.829). „საბაჟო კავშირის შეთანხმების შემდეგ თურქ მეწარმეთა კონკურენტუნარიანობა და ხარისხი ამაღლდა” (.806). „ფირმების სარგებელი გაიზარდა საბაჟო კავშირის შემდეგ” (.542), და „ საბაჟო კავშირი მოიტანს მეტ სარგებელს თურქეთის სრული გაწევრიანების შემდეგ ევროკავშირში” (.501).

<sup>88</sup> Kristopher J. Preacher and Robert C. MacCallum, (2003)Repairing Tom Swift’s Electric Factor,Analysis Machine, Understanding Statistics, 2(1), 13–43



მესამე ფაქტორი ცხრილში 4.2. აერთიანებს შემდეგ ჯგუფს: „ევროპულ ბაზრებზე შეღწევა უდიდეს სავაჭრო შესაძლებლობებს მოუტანს თურქ მეწარმეებს“(784), „უცხოური პირდაპირი ინვესტიციები გაიზარდა საბაჟო კავშირის შემდეგ“(705), „თურქეთი გახდა ცენტრი ევროკავშირის ფირმებისთვის და ისინი გადაიტანენ პროდუქტებს ცენტრალურ აზიაში, შავი ზღვის რეგიონსა და შუა აზიაში” (.623),. ეს ფაქტორი შეადგენს მთლიანი ვარიანსის 11.99%-ს (ფაქტორის წონა).

მეოთხე ფაქტორი აერთიანებს შემდეგ ჯგუფს: „თურქეთის ინფრასტრუქტურა განვითარდა საფინანსო თანამშრომლობით და ასევე გაიზარდა თანამშრომლობა ევროკავშირისა და თურქულ ფირმებს შორის ერთობლივი პროექტების საშუალებით” (.765), „მუშახელის ფასმა აიწია თურქეთში და ერთ-ერთი უპირატესობა თურქი მეწარმეებისა გაქრა საბაჟო კავშირის შემდეგ” (.521).

ცხრილი 4.3. ფაქტორის ანალიზის შედეგები – პოზიცია საბაჟო კავშირის მიმართ

ფაქტორები	მნიშვნელობის წონის %	დაჯამების მაჩვენებელი <sup>89</sup> %
ფაქტორი 1: პესიმისტური		
პოზიცია საბაჟო კავშირის მიმართ	16.944	16.944
ფაქტორი 2: პოზიტიური		
პოზიცია საბაჟო კავშირის მიმართ	14.901	31.845
ფაქტორი3:		
ოპორტუნისტული		
პოზიცია საბაჟო კავშირის მიმართ	14.271	46.116
ფაქტორი4:		
თანამშრომლობის მსურველები	10.735	56.851

<sup>89</sup> გვიჩვენებს ფაქტორების მნიშვნელობის წონების ჯამს (მაგალითად 25,146 = 13,993 + 11,154 და ა. შ.)

#### 4.2.საიმედოობის ანალიზი

ამ კვლევაში იყო გამოყენებული კრონბაჰერის კოეფიციენტი ალფა საზომების საიმედოობის შეფასებისთვის. ნუნალი (Nunnally, 1976<sup>90</sup>) გვიჩვენებს საიმედოობის კოეფიციენტს 0.6 ან მასზე მეტს, როგორც საბაზისო საზომის. კრონბაჰერის კოეფიციენტი 1 იქნება ინდიკატორი უნი-სივრცულობის შკალაში. როდესაც კრონბაჰერის ალფა იყო გამოთვლილი ყველა 14 შკალისთვის, აღმოჩნდა, რომ ის იყო 0.653. ამან შესაძლებელი გახადა, რომ მთლიანი შკალა ყოფილიყო უნი-სივრცული (uni-dimensional). კრონბაჰერის ალფა კოეფიციენტი 0.653 შეიძლება იყოს განხილული, როგორც მისაღები მაღალი საიმედოობის კოეფიციენტი. ამაზე დაყრდნობით შეიძლება დავუშვათ, რომ ყველა 14 გამოყენებული ელემენტი (შეკითხვა) ზომავს ერთსადაიმავს მოსაზრებას (პოზიცია საბაჟო კავშირის მიმართ). შესაბამისად, შემაჯამებელი საზომი შეიძლება იყოს გამოყენებული იმისთვის, რომ პოზიცია საბაჟო კავშირის მიმართ და რესპოდენტების ქულები წარმოადგინოთ (იხილეთ ცხრილი 4.4).

#### ცხრილი 4.4. საიმედოობის სტატისტიკა


	კრონბაჰერის ალფა	ელემენტების (შეკითხვების) რაოდენობა
ყველა	0.653	14
ფაქტორი 1	0.721	5
ფაქტორი 2	0.637	4
ფაქტორი 3	0.620	3
ფაქტორი 4	0.348	2

ფაქტორი 1 შედგება 5 ელემენტისგან შიდა კონსისტენციის საიმედოობით 0.653, ფაქტორი 2 შედგება 4 ელემენტისგან და აქვს საიმედოობა 0.721; ფაქტორი 3 შედგება სამი ელემენტისგან და აქვს საიმედოობა 0.620, ფაქტორი 4 შედგება ორი ელემენტისგან და მათი საიმედოობა არის 0.348. მიუხედავად იმისა რომ მეოთხე

<sup>90</sup> Nunnally, JC & Bernstein, IH 1994, 'Psychometric theory', 3rd edn, Mc-Graw-Hill, New York.


ფაქტორის საიმედოობა შედარებით დაბალია, ფაქტორის კოეფიციენტი საკმაოდ პოლარიზებულია. (იხილეთ ცხრილი 4.4.).

**დიაგრამა 4.1. გაიზარდა თუ არა თურქული კომპანიების ექსპორტი ევროკავშირში საბაჟო კავშირის შემდეგ**




როგორც ვხედავთ, დიაგრამიდან 4.1. 70 ფირმის ანკეტებში, 53% ფირმების მფლობელები ან წარმომადგენლები პასუხობდნენ, რომ მათი ვაჭრობის მოცულობა გაიზარდა საბაჟო კავშირის შემდეგ და 47 % ფირმამ უარყოფითად უპასუხა. ეს შედეგი ნიშნავს, რომ მეტმა ფირმამ გაზარდა ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში საბაჟო კავშირის შეთანხმების შემდეგ.

**დიაგრამა 4.2. გაიზარდა თუ არა თურქული კომპანიების იმპორტი საბაჟო კავშირის შემდეგ**



დიაგრამა 4.2. აჩვენებს, რომ 51% ფირმების მეპატრონეები და წარმომადგენლები პასუხობდნენ, რომ იმპორტი გაიზარდა საბაჟო კავშირის შემდეგ, 49%-მა უარყო. ისევ აქ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმპორტი გაიზარდა საბაჟო კავშირის შეთანხმების შემდეგ. ამ ორი გრაფიკის შედეგად ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბაჟო შეთანხმების შემდეგ ვაჭრობის მოცულობა თურქეთსა და ევროკავშირს შორის გაიზარდა.

**დიაგრამა 4.3. თქვენ კომპანიამ მიღო თუ არა ფინანსური დახმარება საბაჟო კავშირის შემდეგ**



საბაჟო კავშირში შესვლის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის წარმოქმნილი არასახარბიელო უარყოფითი გარემოებები.

სარწმუნოა, რომ ეს შეთანხმება უდიდეს გავლენას ახდენს ამ ტიპის ფირმებზე. იმისთვის, რომ დავეხმაროთ ამ ტიპის ფირმებს, ევროკავშირი ახდენს მათი ზოგიერთი ხარჯის სუბსიდირებას. ამიტომ ჩვენ დავამატეთ ანკეტას შეკითხვა - „ჩვენ ვიღებთ ფინანსურ დახმარებას საბაჟო კავშირის შემდეგ“, რათა გვეჩვენებინა, რამდენი მათგანი იღებდა გრანტს ევროკავშირისგან. დიაგრამა 4.3. აჩვენებს, რომ 23% მიიღო საფინანსო დახმარება საბაჟო კავშირის შემდეგ და 77% თქვა, რომ არ მიუღიათ.

#### **თავი V. ქართული კომპანიების დამოკიდებულება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობისადმი**

შრომის ეს ნაწილი იკვლევს ქართული ფირმების დამოკიდებულებას რეგიონული ინტეგრაციის მიმართ. ამისათვის რესპონდენტებს დაევალოთ, ეფასუხად 26 კითხვაზე, რათა განესაზღვრათ ქართული ფირმების დამოკიდებულებისა და სხვა გარემო ფაქტორები. გამოვიყენეთ ფაქტორული ანალიზები ვარიანტს როტაციასთან ერთად, რათა განისაზღვროს ის ფაქტორები, რომლებიც ხაზს უსვამს ქართული ფირმების განწყობას რეგიონული ინტეგრაციის მიმართ. ქვემოთ მოცემულია დამატებითი მიზნები და ამოცანები.

- ქართული ფირმების მიერ BSEC-ისადმი დამოკიდებულების, რეგიონული პოლიტიკის მიღების და შავი ზღვის რეგიონში ინტეგრაციის პროცესის გაგება, რომელიც განხორციელდა საქართველოს მრეწველობის სხვადასხვა დარგში მოღვაწე კომპანიების გამოკითხვითა და მათთვის კითხვარების დარიგებით. კვლევა ჩატარდა ცენტრალურ და რეგიონალ დონეზე (თბილისსა და სხვა ქალაქებში) თანამშრომლობის სიღრმის და მრეწველობასთან დაკავშირებული პრობლემების მიმართ დამოკიდებულების დასადგენად. აგრეთვე იმის გასაგებად, აღიქმება თუ არა ფირმებისა და მთავრობის (ცენტრალური და ადგილობრივი) წევრების მიერ ერთობლივი მუშაობა, როგორც დახმარება რეგიონალ ინტეგრაციულ გაერთიანებაში მონაწილეობის პრობლემების გადასაწყვეტად.

ვცადეთ, გაგვერკვია დამოკიდებულება ქართული კომპანიების დამოკიდებულება მთავრობასთან თანამშრომლობის ამჟამინდელი დონისა და შავი ზღვის ქვეყნების მთავრობებთან ეკონომიკური კავშირის შექმნის კონცეფციისადმი. სამრეწველო/სამთავრობო კავშირის მიმართ დამოკიდებულების გარდა, აგრეთვე დადგინდა ამ კავშირისთვის აუცილებელი კომპონენტების რაოდენობა და პერსონალური სურვილი ასეთი კავშირში მხარდაჭერისა. ამ ასპექტში არსებობს რამდენიმე რეკომენდაცია საქართველოს მთავრობის მიმართ, რომელიც ეხება ეკონომიკურ პოლიტიკას და განვითარებისა და ზრდის ძირითადი რეგიონული სტრატეგიის შემუშავებას.

იმის დადგენა, თუ საქართველოს ეკონომიკის რომელი სექტორი ფუნქციონირებს ყველაზე უკეთ საშუალებას გვაძლევს ახალი კომპანიებისთვის (ან უკვე არსებული) რეკომენდაციების მიცემისა, თუ რომელ დარგში მოახდინონ ინვესტირება.

- ქართული ფირმების დამოკიდებულების დადგენა რეგიონის ქვეყნების მიმართ, თუ როგორ უყურებენ ისინი განვითარების პროცესს მეზობელ ქვეყნებში და მათი დამოკიდებულება BSEC-ს მიმართ როგორც ევროკავშირის წევრობის რეგიონული კანდიდატის სტატუსის მოპოვების ხელშემწყობი პირობა.

შავი ზღვა არის გზაჯვარედინი ევროპასა და აზიას შორის, ისევე როგორც რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთს შორის. ინტერესი ამ რეგიონის მიმართ გაძლიერდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. რეგიონი მნიშვნელოვანია ენერჯეტიკის, უსაფრთხოების, სამხედრო სტრატეგიისა და კულტურის მხრივ. ცენტრალური აზიიდან და ახლო აღმოსავლეთიდან წამოსულმა ნავთობმა და გაზმა უნდა გაიაროს შავი ზღვის გადამზიდველი გზები და ნავთობსადენები ევროპასა და დასავლეთის სხვა ქვეყნებამდე მისაღწევად. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენი მსოფლიოს ამ რეგიონს ძალიან საინტერესოს ხდის.

სხვა მნიშვნელოვანი პროექტებია ბაქო-თბილისი-ერზრუმის (BTE) გაზსადენი, რომელიც BTC-ის პარალელურად იფუნქციონირებს და დაგეგმილი, რომელიც შეაერთებს თურქული გაზის ქსელს ევროპასთან რუმინეთის, უნგრეთისა და ავსტრიის გავლით. რეგიონის ისეთი ქვეყნები, როგორცაა საქართველო და უკრაინა, მხარდაჭერას იღებენ აშშ-სგან NATO-ს და ევროკავშირის

გაწევრიანების პროცესში, რათა რეგიონი უსაფრთხო და სტაბილური გახდეს. ენერგეტიკა არ გახლავთ ერთადერთი რამ, რაც რეგიონს მნიშვნელოვანს ხდის. აქ არსებობს სხვა საკითხებიც, რომლებიც გაცილებით უფრო პრობლემურია, როგორცაა, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემები, გარკვეული ტერორისტული დაჯგუფებები და ა.შ.

1992 წელს, თურქეთის ინიციატივის წყალობით, ადრიატიკიდან დაწყებული, კასპიის ზღვის რეგიონით დასრულებული, ყველა ქვეყანამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლითაც დაარსდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა (BSEC). მისი წევრებია: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთი, თურქეთი, სერბეთი და უკრაინა. თითოეულ წევრს საკუთარი ინტერესი გააჩნია ამ კავშირში გაწევრიანებისას. თურქეთს სურს, გააჩნდეს კონტროლის უფრო მაღალი ხარისხი რეგიონზე, ხოლო რუსეთის მიზანია, განავრცოს თავისი ძალაუფლება ამ რეგიონზე, რამეთუ კავშირის წევრების დიდი ნაწილი ადრე მისი დაქვემდებარების ქვეშ იმყოფებოდა.

საქართველოსათვის BSEC-ი არის ნაბიჯი ევროპისკენ და საქართველოს მომავალი მიზანია გაახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ – 90-იან წლებში, საქართველომ ახალი საგარეო სავაჭრო ეკონომიკური ორიენტირი აირჩია, მაგრამ ეს ნაბიჯები დაგვიანებით იქნა გადადგმული. მიუხედავად იმისა, რომ ყურადღება მიექცა ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და მისი ორიენტაციის სრულყოფას, ექსპორტის ხელშეწყობას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, საზღვარგარეთის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამართლებრივ-სახელშეკრულებო ბაზის გაფართოებას და უსაფრთხოების განმტკიცებას, ასევე ქვეყნის საწარმოო პოტენციალის სრულად ამოქმედების ხელშეწყობას, საგარეო სავაჭრო ეკონომიკური განვითარების მკაფიოდ გამოუკვეთელმა სტრატეგიამ საქართველო ცალმხრივი, დაუბალანსებელი საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების კურსით წაიყვანა. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორის, მშპ-ის ვარდნის თვალსაზრისით, საქართველო 1990-იანი წლების პირველი ნახევრისთვის ერთ-ერთი პირველი გახდა.

1992 წლის 24-25 ივნისს შავი ზღვის აუზის ქვეყნებმა – საქართველომ, თურქეთმა, ბულგარეთმა, რუმინეთმა, უკრაინამ და რუსეთმა, აგრეთვე ”მეორე ემელონის” ქვეყნებმა, რომელთაც არ აქვთ გასასვლელი შავ ზღვაზე, მაგრამ დამოკიდებულნი არიან მასზე – მოლდოვამ, აზერბაიჯანმა, ალბანეთმა და საბერძნეთის მხარემ, სულ 11-მა ქვეყანამ მოაწერა ხელი შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას. ” შ ჩ” (ზისეკი) არსი მდგომარეობდა შავი ზღვის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში, მის მშვიდობისა და სტაბილიზაციის ზონად გადაქცევაში. ”ზისეკის” არსებობის ისტორიაში მნიშვნელოვანი იყო 1994 წლის 30 ივნისს ქ. თბილისში ჩატარებული შეხვედრა, როდესაც ხელი მოეწერა ”შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის” დამფუძნებელ შეთანხმებას. ბანკის მიზანია შავი ზღვის აუზის ფარგლებში რეგიონალური ასპექტების მხარდაჭერა და დახმარებების აღმოჩენა.

1993 წელს საქართველომ ევროკავშირის საპარლამენტო ასამბლეაში სპეციალური სტუმრის სტატუსი მოითხოვა. ამ დღიდან იღებს დასაბამს საქართველო-ევროპის საბჭოს მჭიდრო თანამშრომლობა. ევროპის საბჭო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციაა, რომელიც განიხილავს ევროკავშირის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს გარდა თავდაცვის საკითხებისა. იგი შეიქმნა 1949 წლის 5 მაისს ლონდონში, 10 სახელმწიფოს – ბელგიის, დანიის, ირლანდიის, იტალიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთისა და შვეიცარიის მიერ. ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ევროპის საბჭოს წევრი იმ პირობით, თუ აღიარებს კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებების გარანტიებს, მის ტერიტორიაზე მცხოვრები თითოეული ადამიანის ძირითადი თავისუფლების პრინციპებს. 1999 წლის 14 აპრილს საქართველომ ხელი მოაწერა ”ევროპის საბჭოს წესდების” სარატიფიკაციო სიგელს, რომელსაც შეერთების სიგელი ეწოდება.

2000 წლის 14 ივნისს საქართველოს ეკონომიკის განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო, როდესაც იგი გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (ვმო) 137-ე წევრი.

ვერც საქართველო, ვერც სხვა პატარა ან თუნდაც დიდი ქვეყანა ვერ მოახერხებს ისეთი ეკონომიკური ან პოლიტიკური მოდელით განვითარებას, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა დამკვიდრებულ ევროპულ ფასეულობებთან. მით



უმეტეს ის ვერ მოახერხებს ასეთ შემთხვევაში მდგრადი სტაბილური განვითარების უზრუნველყოფას, რადგანაც ევროპულ ინტეგრაციის პროცესში მონაწილეობას თავისი წესები გააჩნია. დაახლოება ევროპის კავშირთან მოითხოვს ქვეყნის ისეთ ტრანსფორმაციას, რომელიც ევროპასთან ერთგვაროვან რეჟიმში ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

საქართველოსთვის ევროკავშირთან ურთიერთობის პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა 1992 წლის 22 მარტი, როდესაც ევროგაერთიანებამ სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამავე წლის დეკემბერში ჩაეყარა საფუძველი დიპლომატიურ ურთიერთობებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის.

1993 წლიდან ევროკავშირმა მიზნად დაისახა გაემრავალფეროვნებინა თავისი საგარეო ურთიერთობები მთელი რიგი რეგიონებისა და ქვეყნებისათვის დახმარებების გაწევით. ერთ-ერთი რეგიონი, რომელსაც ევროკავშირმა დიდი დახმარება გაუწია სამხრეთ კავკასია იყო. 1993 წელს ქ. ბრიუსელში ევროკომისიის მიერ მოწვეულ კონფერენციაზე მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომლის საფუძველზეც სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებისთვის შემუშავებულ იქნა რეგიონული პროგრამა – თღ ჩ ჩ და მის მიზნებად ტრანსპორტის ტრადიციული სახეობების – რკინიგზის, საავტომობილო გზების, საზღვაო პორტების, ტერმინალების – მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია, აგრეთვე, ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ევროპულ დერეფანთან მიერთება განისაზღვრა.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა 1994 წელს გაიხსნა. ამავე წლის დეკემბერში, ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ერთობლივი სხდომა, სადაც განხილულ იქნა თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები. სწორედ აქ მოხდა ევროკომისიისთვის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ძირითადი ტექსტის შემუშავება.

ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობებში, გამოიყო 3 ძირითადი მიმართულება:

1. საქართველოსთვის სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქტებით დახმარების აღმოჩენა;
2. პარტნიორობისა და თანამშრომლობის ორმხრივი ხელშეკრულების

მომზადება;

3. საქართველოსთვის ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების აღმოჩენა

TACIS, TRACECA, ECHO და სხვა პროგრამების ფარგლებში.

1995 წლის 17 ივლისს ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ქვეყნებისთვის, ასევე ტაჯიკეთისა და ყირგიზეთისთვის 1995-96 წლებში საკვები და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით დახმარების აღმოჩენის შესახებ. საერთო ჯამში ამ მიზნისთვის გამოიყო 197 მლნ. ეკიუ, საიდანაც საქართველოს ერგო 47 მლნ. ეკიუ. ასეთი სახის და ოდენობის უსასყიდლო დახმარებას მესამე ქვეყნების მიმართ, ევროკავშირის ისტორიაში პრეცედენტი არ ჰქონია.

თანდათან გამოიკვეთა ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების სფერო ამიერკავკასიაში და კერძოდ – საქართველოში. 1996 წელს ევროკომისიამ მოამზადა მნიშვნელოვანი დოკუმენტი “ევროკავშირის სტრატეგია ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან ურთიერთობაში”, რომელიც ითვალისწინებდა სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის პოზიციების შემდგომ განმტკიცებას.

1995 წლის ივლისში ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დაეწყო საქართველოსთან მოლაპარაკება პარტნიორული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების მოსამზადებლად, რომელიც მოიცავდა აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკასთან დაახლოებასა და მომავალი შესაძლო ინტეგრირების პირველ ეტაპს. გადაწყვეტილება ითვალისწინებდა საქართველო-ევროკავშირის შორის ურთიერთობათა თვისებრივად ახალ დონეზე აყვანასა და თანამშრომლობას.

ევროპული ინტეგრაციის პროცესებში ჩართვის საქმეში და საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა 1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში ხელმოწერილ შეთანხმებას “ევროკავშირისა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ”, რომელმაც შექმნა საერთაშორისო სამართლებრივ-იურიდიული ბაზა საქართველოსა და ევროკავშირის შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობებისთვის.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები არასოდეს ისახავდნენ მიზნად შესაბამისი ქვეყნების ევროკავშირში გასაწევრიანებლად მომზადებას. პოშ-ს ჩარჩო შეიქმნა იმ მიზნით, რომ დახმარებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად აღმოცენებულ სახელმწიფოებს გაემყარებინათ თავიანთი სუვერენიტეტი და შეექმნათ დემოკრატიისა და ლიბერალური ეკონომიკის მქონე საზოგადოება. პრაქტიკულად ეს შეთანხმებები ევროპული შეთანხმებების ანალოგიურია, მხოლოდ პოლიტიკური დიალოგის, ეკონომიკური ურთიერთგახსნილობისა და მოქალაქეთა გადაადგილების შედარებით უფრო დაბალი დონის უზრუნველყოფით.

შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ არის ორმხრივი შეთანხმება, რომელიც ევროკავშირსა და საქართველოს შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას უწყობს ხელს. მას საფუძვლად უდევს მრავალპარტიული დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების საერთო ვალდებულებები. იგი პოლიტიკური კავშირების მეტად განვითარებას, ვაჭრობისადმი ხელშეწყობას, საქართველოში მიმდინარე რეფორმათა მხარდაჭერასა და საქართველოში იმ აუცილებელ პირობათა შექმნას ემსახურება, რომლებმაც, შეიარაღებასა და თავდაცვის სფეროთა გარდა, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების გაღრმავება უნდა უზრუნველყონ.

PCA ძალაში შევიდა 1999 წლის 1 ივლისს.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მთავარი მიზნებია:

- მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგისთვის სათანადო სტრუქტურის შემუშავება, რამაც პოლიტიკური ურთიერთობების განვითარება უნდა უზრუნველყოს;
- საქართველოს ძალისხმევის მხარდაჭერა დემოკრატიის გაძლიერებაში, ეკონომიკის განვითარებასა და საბაზრო ეკონომიკაზე საბოლოოდ გადასვლაში;

- მხარეებს შორის ვაჭრობისა და ინვესტირების, აგრეთვე ჰარმონიული ეკონომიკური ურთიერთობების მხარდაჭერა და ამ გზით მათი მყარი ეკონომიკური

განვითარების ხელშეწყობა;

- სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალური, ფინანსური, სამოქალაქო, სამეცნიერო, ტექნოლოგიური და კულტურული თანამშრომლობისთვის საფუძვლის ჩაყრა.

შეთანხმება ათწლიანი პერიოდით დაიდო, შემდგომში კი ავტომატურად გაგრძელდება, თუკი საქართველომ ან ევროკავშირმა არ მოინდომეს მისი შეწყვეტა. ეს არ ნიშნავს, რომ შეთანხმება დროთა განმავლობაში არ შეიცვლება. ის არ არის

უცვლელი სტრუქტურა – პირიქით, შესაძლებელია მისი განვითარება ევროკავშირისა და საქართველოსათვის სასურველი მიმართულებით, ევროკავშირისა და საქართველოში მიმდინარე განვითარების შესაბამისად, განსაკუთრებით კი საბაზრო ეკონომიკის განვითარებასა და დემოკრატიის მშენებლობაში საქართველოს წინსვლის გათვალისწინებით.

შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის სერიოზულ **პოლიტიკურ დიალოგს**. პოლიტიკური დიალოგი ასახავს ორივე მხარის ვალდებულებას, ხელი შეუწყონ საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას და დაიცვან ეუთო-ს (ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის ორგანიზაცია) პრინციპები და დებულებები. ამ თვალსაზრისით ევროკავშირი აღიარებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა თავის წვლილს შეიტანს ევროპაში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში.

ევროკავშირი და საქართველო შეთანხმდნენ, მიანიჭონ ერთმანეთს **უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი** საქონლით ვაჭრობაში. ეს ნიშნავს, რომ საექსპორტო-საიმპორტო ურთიერთობისას ვერც ერთი მხარე ვერ დააწესებს უფრო მაღალ საბაჟო გადასახადებს და მოსაკრებლებს, ვიდრე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ნებისმიერი სხვა ქვეყნისათვის, ე. ი. მსოფლიოს უმეტესი დანარჩენი ქვეყნებისათვის არის დაწესებული.

ამ ზოგად წესს მხოლოდ ორი გამონაკლისი აქვს, რომლებიც გათვალისწინებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებში. ევროკავშირი აღიქმება ერთ ქვეყანად და საქართველო არ სარგებლობს საბაჟო გადასახადისაგან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით, რომელსაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები ერთმანეთს ანიჭებენ. ის არც იმ უპირატესი ხელშეკრულებებიდან მიიღებს სარგებელს, რომლებიც ევროკავშირს დადებული აქვს ცენტრალური ევროპის იმ რამდენიმე ქვეყანასთან, საბოლოოდ ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრები რომ უნდა გახდნენ.

შეთანხმება კრძალავს ქვოტების (რაოდენობრივი შეზღუდვების) დაწესებას საქართველოში წარმოებული პროდუქციის ევროკავშირში იმპორტირებაზე და პირიქით.

მხარეები ერთმანეთს მიანიჭებენ თავ-თავიანთ ტერიტორიაზე სხვა ქვეყნებისთვის გამიზნული საქონლის თავისუფალი ტრანზიტის უფლებას. საქონელი, რომელიც დროებით არის დაშვებული საქართველოს ან ევროკავშირის ტერიტორიაზე, ანუ რომელიც იმპორტირებულია, რათა შემდგომში ხელახლა იქნას ექსპორტირებული, არ ექვემდებარება საიმპორტო გადასახადებსა და მოსაკრებლებს.

**ბიზნესი და ინვესტიციები** – ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები თავიანთი ქვეყნის ტერიტორიაზე საქართველოს კომპანიებს, მათ ფილიალებსა და შვილობილ საწარმოებს ანიჭებენ მესამე ქვეყნებზე არანაკლები უპირატესობის რეჟიმს. ამგვარად, ნებისმიერ ქართველ მეწარმეს შეუძლია ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ოფიციალურად აწარმოოს სამეურნეო საქმიანობა ევროპის ტერიტორიაზე. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ მათ ტერიტორიაზე მომუშავე მეორე მხარის მოქალაქის მიმართ არ განხორციელდება დისკრიმინაცია შრომის პირობების, ანაზღაურებისა და სამუშაოდან გათავისუფლების სფეროში.

**ფულადი გადასახადები და კაპიტალის მოძრაობა** – საქართველო და ევროკავშირი შეთანხმდნენ, დაუშვან, რომ ფულადი გადასახადები მიღებული საქონლისა თუ მომსახურებისათვის, აგრეთვე გადახდა მათი მოქალაქეების გადაადგილებასთან დაკავშირებით განხორციელდეს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში.

ორივე მხარემ ხელი უნდა შეუშალოს ინტელექტუალური, სამრეწველო და კომერციული საკუთრების არალეგალურ იმპორტირებას ან გაყიდვას. ამ თვალსაზრისით საქართველომ უნდა გააუმჯობესოს **ინტელექტუალური, სამრეწველო და კომერციული საკუთრების უფლებათა დაცვა**, რათა ხელი შეუშალოს პროექტების, სავაჭრო ნიშნების, პატენტების, პროგრამების, სამხატვრო ნამუშევრებისა და ა.შ. უკანონო გამოყენებას, და უნდა უზრუნველყოს დაცვის ისეთი დონე, როგორც ევროკავშირში არსებობს.

**სამართლებრივი თანამშრომლობა** – საქართველოსაც და ევროკავშირსაც კარგად აქვთ გაცნობიერებული ის გარემოება, რომ როგორც ამჟამად არსებული, ისე მომავალი კანონმდებლობის თანამეგობრობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, განსაკუთრებით კი ბიზნესთან დაკავშირებულ საკითხებში, მნიშვნელოვანი წინაპირობაა უფრო მჭიდრო ეკონომიკური კავშირების განვითარებისათვის. საქართველომ თავისი კანონმდებლობა თანდათანობით ევროკავშირის კანონმდებლობას უნდა მიუსადაგოს. თავის მხრივ, ევროკავშირი საქმიანი პარტნიორებისთვის ევროკავშირიდან და საქართველოდან ერთიმეორის ტერიტორიაზე ინვესტირებისა და ბიზნესის სფეროში ხელშეწყობას უზრუნველყოფს. ევროკავშირი მზად არის, საჭიროებისთანავე გაუწიოს საქართველოს აღნიშნული დახმარება.

**ეკონომიკური თანამშრომლობა** – შეთანხმებაში განსაზღვრულია ის სფეროები, სადაც ევროკავშირი და საქართველო ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებასა და გაფართოებას გეგმავენ. ეს სფეროებია: ეკონომიკური და სოციალური განვითარება; საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით; ადამიანური რესურსების განვითარება; მეწარმეობის განვითარების (მათ შორის, პრივატიზაციის, ინვესტიციებისა და ფინანსური სამსახურების განვითარების) ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობა და საკვები პროდუქტები; ენერჯეტიკა; ტრანსპორტი; ტურიზმი; გარემოს დაცვა; რეგიონული თანამშრომლობა.

2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირის (მინისტრთა) საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვის შესახებ. ამის შემდეგ საქართველოს ევროკავშირთან

ურთიერთობები ახალ ფაზაში შევიდა და კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. ხსენებული პოლიტიკა, რომელიც ევროკავშირის გაფართოების ბოლოდროინდელი, მის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ტალღის გამოძახილს წარმოადგენს, მონაწილე ქვეყნებს ახალი სახის, ძალზე მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებას სთავაზობს.

ევროკავშირის “სამეზობლო ინიციატივა” ეფუძნება ისეთი ღონისძიებების რეალიზაციას, როგორებიცაა:

- იმ საერთო სტანდარტებისა და წესების ჩამოყალიბება, რომლებმაც, ევროკავშირის გაფართოების შემდეგ ჩამოყალიბებულ შიდა ბაზარზე, “სამეზობლო ინიციატივაში” მონაწილე ქვეყნების შეღწევა უნდა უზრუნველყონ;
